# ლელო

№218 (12 288) 15 სექტემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



ნაკრების კონსულტანტი ანრი ბრონკანი და კაპიტანი ილია ზედგინიძე გუშინდელ ვარჯიშზე. უკანა პლანზე - რატი ურუშაძე, ავთანდილ კოპალიანი, ილია მაისურაძე, გოდერძი შველიძე

**დღეს, 23:00. D ჯგუფი**

**ირლანდია-საქართველო**

ბორდო. სტად შაბან-დელმა

ირლ: 15. გირვან დემპსი 14. შეინ ჰორგანი 13. ბრაიან ოდრისკოლი (კაპ) 12. გორდონ დარსი 11. დენის ჰიკი 10. რონან ოგარა 9. პიტერ სტრინგერი; 1. მარკუს ჰორანი 2. რორი ბესტი 3. ჯონ ჰეიესი 4. დონჩა ოკალაჰანი 5. პოლ ოკონელი 6. საიმონ ისტერბი 7. დევიდ ვოლისი 8. დენის ლიმი /16. ჯერი ფლენერი 17. საიმონ ბესტი 18. მალკოლმ ოკელი 19. ნილ ბესტი; 20. აიზეკ ბოსი 21. პედი ვოლისი 22. ჯორდან მერფი

საქ: 15. ოთარ ბარკალაია 14. გიორგი ელიზბარაშვილი 13. რევაზ გიგაური 12. დავით კაჭარავა 11. გიორგი შკინინი 10. მერაბ კვირიკაშვილი 9. ბიძინა სამხარაძე; 1. მამუკა მაგრაქველიძე 2. გოდერძი შველიძე 3. ავთანდილ კოპალიანი 4. ილია ზედგინიძე (კაპ) 5. მამუკა გორგოძე 6. ილია მაისურაძე 7. რატი ურუშაძე 8. გიორგი ჩხაიძე /16. აქვსენტი გიორგაძე17. დავით ხინჩაგიშვილი 18. ლევან დათუნაშვილი 19. ზვიად მაისურაძე; 20. ირაკლი აბუსერიძე 21. მალხაზ ურჯუკაშვილი 22. ოთარ ელოშვილი

მსაჯი: ვეინ ბარნსი (ინგ)

14

# იქნებ ამათ უკეთ გამოუვიდეთ?

ნიკოლოზ აბაშიძე

4 წლის წინ, ავსტრალიის მსოფლიო თასზე, პირველი ორი მარცხის შემდეგ **კლოდ სორელი** ადგა და თითქმის მთელი გუნდი გამოცვალა სამხრეთ აფრიკასთან მატჩის წინ. თამაშის საშუალება მისცა ყველას, ვინც იქამდე მოედანზე არ გასულიყო - მათ შორის რამდენიმე საერთოდ ნაკრების დებიუტანტი გახლდათ. მწვრთნელმა თხუთმეტეულში ძირითადი შემადგენლობის ორი-სამი მოთამაშე დატოვა.

მტრისას, რაც ამ გადაწყვეტილებამ აჟიოტაჟი გამოიწვია. პირადად მე დავწერე - ეხლა ეს სამხრეთი აფრიკა რომ მოგვდგეს და რამდენიც მოესურვება, იმდენი ლელო გაგვიტანოს, ხომ ახი იქნება და მერე რაღაში დაგვჭირდება ურუგვაისთან მოგება-მეთქი?

მაშინ ყველას პანიკურად გვეშინოდა 100-ქულიანი დამარცხების. მეორე დღეს რაგბის რამდენიმე მწვრთნელს დავეკითხეთ აზრს. ყველამ იგივე შიში გამოთქვა და სორელი გაამტყუნა. საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა მხოლოდ ერთმა კაცმა. - რა იცი შენ, იქნებ ამ სათადარიგოებმა უკეთ ითამაშონო? მწვრთნელი ძალიანაც სწორად მოქცეულაო.

ის თამაში ყველას ახსოვს - 19:46, **დავით დადუნაშვილის** ერთადერთი ლელო და ჩვენი გუნდის 20-წუთიანი გაბრწყინება მეორე ტაიმში, ხოლო ის ერთადერთი ადამიანი, ვისი ვარაუდიც გამართლდა, **დავით კილასონია** იყო.

დღეს სიტუაცია თითქმის ანალოგიურია. თითქმის იმიტომ, რომ ავსტრალიაში ჩვენმა გუნდმა ცუდად ითამაშა პირველი ორი თამაში და მწვრთნელმაც ამის შემდეგ შეცვალა შემადგენლობა; ახლა პირიქითაა - არგენტინასთან მატჩი ალბათ საუკეთესო იყო საქართველოს ნაკრების ისტორიაში და მაინც, მწვრთნელებმა 11 მორაგბე გამოცვალეს. ისევე, როგორც 4 წლის წინ, 22-კაციან რაზმში წერია ყველა, ვინც არგენტინასთან მოედანზე არ გასულა. ანალოგია კიდევ ისაა, რომ ამ თამაშის შემდეგ გადამწყვეტი, უსიკვდილოდ მოსაგები ბრძოლა გველის ნამიბიასთან.

შემადგენლობა რომ შეიცვლებოდა, ცხადი იყო, ოღონდ რამდენით? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე კაცის დატოვება არგენტინასთან ნაომარი ხალხიდან - თუნდაც თითო გარემარბისა და შუამარბის (ვთქვათ, **ირაკლი გიორგაძისა** და **ხამაშურიძის**), მაგრამ ახლა აღარ ღირს ამაზე საუბარი. რაც არის, ეს არის. მწრთნელებმა ასე გადაწყვიტეს და შედეგი კი ხვალ გამოჩნდება.

უმეტესობა დაახლოებით ასეთ სურათს მოელის: ირლანდიამ კარგად ნახა, რომ არგენტინის შერკინებამ ვერაფერი დაგვაკლო, ამიტომ თამაშის გაშლას შეეცდება და უამისოდაც, ირლანდია უფრო გაშლილად მოთამაშე გუნდია. თავდადების გარდა რა უნდა დაუპირისპიროს ჩვენმა უკანა ხაზმა მათ ოსტატობას ან თავად როგორ უნდა შეუტიოს? ამ კითხვებზე პასუხები ძნელი გასაცემია და ამიტომაც, ირლანდიასთან მეტი სხვაობით წაგებაა მოსალოდნელი.

კი ბატონო, ლოგიკურია, მაგრამ კილასონიას ოთხიწლისწინანდელი ვარაუდიც ძალაშია. რა იცი, იქნებ ამათ უკეთ გამოუვიდეთ? ამათაც არანაკლებ სურთ საკუთარი ხალხისა და მთელი მსოლიოს თვალწინ თავის გამოჩენა.

თან, ირლანდიის ნაკრებშიც არ არის დალაგებული ვითარება. ამის შესახებ მე-14 გვერდზე წაიკითხავთ, აქ კი სამი გამონათქვამს მოვიყვანთ უშუალოდ თამაშის შესახებ.

ედი ოსალივანი, **ირლანდიის მწვრთნელი**: - საქართველომ ძალიან შეცვალა შემადგენლობა, მაგრამ მე დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ისინი ყველანი ფრანგულ კლუბებში თამაშობენ, და ძლიერი მორაგბეები არიან. არა მგონია, რომ იოლი სალამო გველოდეს. ჩვენ გვჭირდება რაკის კარგად მოსუფთავება და იქიდან ბურთის სწრაფად გატანა 10 ნომრისთვის. თუ ეს მოვახერხეთ, ნამიბიასთან მატჩისგან სრულიად განსხვავებულ თამაშს ვაჩვენებთ.

მამუკა მაგრაქველიძე, **საქართველო ნაკრების ბურჯი**: - ჩვენ კარგად გავაანალიზეთ არგენტინასთან შეცდომები და შეგვიძლია შევუტიოთ კიდეც - ეს აუცილებელი იქნება, რადგან 80 წუთი დაცვაში ჯდომა ძალიან ძნელია. პირადად მე არასოდეს მითამაშია ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ და ერთი სული მაქვს, სანამ მოედანზე გავალ. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად ვარ.

ილია ზედგინიძე, **საქართველოს ნაკრების კაპიტანი**: - ჩვენს გუნდში ბევრი ახალგაზრდა მოთამაშეა, რომლებმაც არგენტინასთან მატჩიდან ბევრი რამ ისწავლეს და დანარჩენ მატჩებში უფრო მოუმატებენ. ირლანდიასთან უფრო თავისუფლად უნდა ვითამაშოთ და შესატევი შანსები ვეძიოთ - მარტო დაცვაში ომით და ფეხით თამაშით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ.

და ბოლოს, "პლანეტ რაგბის" ტრადიციული პროგნოზი: ირლანდია 45 ქულით.

ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილიური რეპორტაჟების სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

CAMPEONATO MUNDIAL DE JUDÔ RIO 2007



ლაშა გუჯეჯიანი (მარჯვნივ) კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე

# ერთი ბრინჯაო, სამი ლიცენზია და ჩემპიონობის შანსი



ირაკლი ცირეკიძე ამ დილით ნახევარფინალში ჭიდაობდა

ირაკლი თავაძე
რიო დე ჟანეიროდან

ერთი ბრინჯაო და ორი ლიცენზია - ასეთია მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღის ქართული მონაგარი. მსოფლიო პირველობის ბრინჯაო ზედიზედ მეორედ მძიმეწონოსანმა **ლაშა გუჯეჯიანმა** მოიპოვა, ტურნირის დებიუტანტი **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) კი მეხუთე ადგილზე გავიდა და ამჯერად მხოლოდ პეკინის ოლიმპიადის საგზურს დასჯერდა.

გუშინ, შეჯიბრების მეორე დღეს ნახევარფინალში გავიდა **ირაკლი ცირეკიძე** (90 კგ.). მისი ორი გადამწყვეტი ბრძოლა ჩვენი დროით ამ დილით გაიმართებოდა. **გიორგი ბაინდურაშვილი** (81 კგ.) ბრაზილიელ ტიაგო კამილოსთან დამარცხდა და დამამშვიდებელ ტურნირში უნდა ეჭიდავა. მას ოლიმპიური ლიცენზიისა და ბრინჯაოს მედლის შანსი კიდევ ჰქონდა დარჩენილი.

11

# ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა!

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## ზირაქაშვილი ნამიბიასთან ითამაშებს

**გუშინ** საფრანგეთში დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, დავით ჩავლეიშვილს.

- ირლანდიასთან მატჩის წინ, გუნდში, როგორც ყოველთვის, საომარი განწყობაა. ყველამ ერთად გავაანალიზეთ არგენტინასთან შეხვედრისას დაშვებული შეცდომები და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხვალ რაც შეიძლება ნაკლები ხარვეზი გვქონდეს. შევეცდებით, ულელოდ არ დავტოვოთ მოედანი. მართალია, ძალების თანაბრად გადანაწილების მიზნით, შემადგენლობა საგრძნობლად გადავახალისეთ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის - ჩვენი მთავარი დევიზია ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ბრძოლა...

**- ტრავმების მხრივ რა მდგომარეობაა?**

- დაშავებულია მხოლოდ ორი მორაგბე - დავით ზირაქაშვილი და პაატა ჯიმშელაძე. ზირაქაშვილს ნეკნები აქვს დაშავებული, მაგრამ ნამიბიასთან აუცილებლად ითამაშებს. რაც შეეხება ჯიმშელაძეს, მას ექიმები ორშაბათს დაუსვამენ საბოლოო დიაგნოზს. საბედნიეროდ, სხვა მოთამაშეებიდან ყველა მწყობრშია.

კობა ხატისაშვილი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. V ტური

www.pfl.ge

## ლოკომოტივი-მგლები

**0:1**

14.09. თბილისი. მ. მესხი
500 მაყურებელი

0:1 ქირია (55)

ლოკომოტივი: გვარამაძე – ფოფხაძე, გუშარაშვილი, მალიჩავა (73. ტიკურიშვილი), ხოხონიშვილი – გულორდავა, სამხარაძე, ჟღენტი, ლალაძე (65. დ. ჩაგელიშვილი) – მიქაძე, იმედაძე (57. კირკიტაძე).

სათადარიგოები: *მიგინეიშვილი, ა. კობიაშვილი, გ. კვახაძე, ლ. ჩაგელიშვილი.*

მგლები: ივარდავა – ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე – ქირია, ჯოჯუა, ვართაგავა, ხუბუა (88. ნურნუმია) – კრასოვსკი (79. გაბედავა), ბაკარანძე (90. ლიპარტია).

სათადარიგოები: ჭითანავა, ნარსია, ქომეთიანი, ხუხია.

გაფრთხილება: მიქაძე (13), ხუბუა (35), ვართაგავა (40), ქირია (56), ჯოჯუა (71).

გაძევება: მიგინეიშვილი (88).

არბიტრი: მ. ურუშაძე.

**10.** ბაკარანძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს. ვერც მან და ვერც კრასოვსკიმ კარში დარტყმა ვერ შეძლეს - მცველები გადაეფარნენ.

**20.** ფლანგიდან ექონიას ჩაწოდება ბაკარანძემ გაატარა, ხუბუამ ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა.

**36.** კრასოვსკის დარტყმული მცირედით ასცდა გვარამაძის კარს.

**52.** ქირიას მიერ შესრულებული ჯარიმა ოდნავ ასცდა მიზანს.

**55.** 0:1 ქირიამ თითქმის იმავე პოზიციიდან შეასრულა ჯარიმა და ამჯერად გაიტანა.

**56.** მასპინძლებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში. სანამ სტუმრები გოლს ზეიმობდნენ მათი კარი დაუცველი აღმოჩნდა, მაგრამ ცენტრიდან სამხარაძის დარტყმული ოდნა ასცდა ივარდავას კარს.

**66.** სამხარაძის ჩაწოდებას ჩაგელიშვილმა თავური შეაგება, ააცილა.

**70.** ზუგდიდელთა საჯარიმოში დანიშნული თავისუფალი დარტყმით "ლოკომოტივმა" ვერ იხეირა.

**75.** სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობისას ჩაგელიშვილმა მოულოდნელად ძლიერად დაარტყა "მგლების" კარში, მაგრამ ივარდავამ რეაგირება მოასწრო და რთული ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**78.** ივარდავა ამჯერად ტიკურიშვილის დარტყმულს გადაეფარა.

**80.** ზუგდიდელებმა ქირია გაიყვანეს დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ თბილისელმა მცველებმა განმუხტეს ვითარება.

**89.** სტუმართა საჯარიმოში მიქაძე პენალტს ითხოვდა, მაგრამ არბიტრმა ურუშაძემ სიმულაციისთვის საპირისპირო მხარეს ჯარიმა დანიშნა. თუმცა მიქაძეს მეორეჯერ ყვითელი ბარათი ალარ აჩვენა.




ნუგზარ სუარიძის ფოტო

# მგლების ხორუმი ვაკეში

გუშინ ვაკეში გამართული მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. საწყისმა 45-მა წუთმა ულიმლამოდ ჩაიარა, მეორე ტაიმი კი საინტერესო გახლდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ მესხის არენა უმაღლესი ლიგის დებიუტანტებისთვის იღბლიანი აღმოჩნდა. ვაკეში ჯერ იყო და "მესხეთმა" მოიპოვა სამი ქულა, გუშინ კი კიდევ ერთმა დებიუტანტმა, "მგლებმა" იზეიმა წარმატება. ზუგდიდელთათვის ეს სტუმრად მოპოვებული პირველი სამი ქულა გახლდათ.

სტუმრებმა დისკვალიფიცირებული **ლევან ყენიას** გარეშე დარჩენილი "ლოკომოტივი" პირველ ტაიმში პირწმინდად დაჯაბნეს. მეორე ნახევარში მასპინძლებმა უკეთესი თამაში კი აჩვენეს, მაგრამ ზუგდიდელებმა კარის მშრალად შენახვა შეძლეს, რაც **მანუჩარ ივარდავას** დამსახურებაა.

მატჩს თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძეც** დაესწრო. უფრო მეტიც, "დინამოს" ოპერატორმა გუშინდელი თამაში ვიდეოფირზეც ასახა. რატომ? იმიტომ, რომ მომდევნო ტურში 22 სექტემბერს, "დინამოს" "მგლებთან" გასვლითი მატჩი ელის და **დუშან უჰრინის** გუნდი სათანადოდ აპირებს ამ თამაშისთვის მომზადებას.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, პირველ ნახევარში მხოლოდ სამი მომენტი მოვინიშნეთ და სამივე სტუმართა შექმნილი იყო, თუმცა შესვენებაზე მეტოქეები უგოლოდ გაიყარნენ. მეორე ტაიმი ზუგდიდელებმა აქტიურად დაიწყეს. ტაიმის სტარტზე **დავით ქირიამ** თითქმის ტყუპი ჯარიმა შეასრულა. პირველად მას მიზანმა უმტყუნა, მეორეჯერ კი მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

"ლოკომოტივი" მხოლოდ მიღებული გოლის შემდეგ გამოცოცხლდა. გატანილი ბურთის სიხარულით გართული სტუმრები კინაღამ მომენტალურად დაისაჯნენ, მაგრამ ცენტრიდან **ირაკლი სამხარაძის** დარტყმული ოდნავ ასცდა ზუგდიდელთა კარს. თბილისელებმა ამის გარდა კიდევ 4 სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ორჯერ ივარდავამ იმარჯვა, ორჯერაც ლოკომოტიველებს უმტყუნა მიზანმა. ტაიმის ბოლოს **მიქაძე** თერთმეტმეტრიანს ითხოვდა, მაგრამ არბიტრმა **ურუშაძემ** სიმულაციისთვის სტუმართა სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა. პენალტი ასპროცენტიანი რომ ყოფილიყო მასპინძლები ალბათ უფრო მწვავედ გააპროტესტებდნენ მსაჯის გადაწყვეტილებას. არბიტრს კი მეტი პრინციპულობა მართებდა, მას მიქაძე უნდა გაეფრთხილებინა, თუმცა დაინდო, რაკი ფეხბურთელს მანამდე ერთი ყვითელი ბარათი მიღებული ჰქონდა.

### მატჩის შემდეგ

**გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი):** "მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გამოვიყენეთ. ზუგდიდელებმა კი საჯარიმო დარტყმით გაიტანეს. ძალიან კი გვინდოდა, მაგრამ ქულის გადარჩენაც კი ვერ შევძელით".

**ბესიკ შეროზია (მგლები):** "მატჩი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მართალია 1:0 მოვიგეთ, მაგრამ შეიძლებოდა შეხვედრა ფრედ დასრულებულიყო, ანაც წაგვეგო კიდეც. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა გუნდმა ბოლომდე შეძლო კარის მშრალად შენახვა. უმაღლესი ლიგაში, ეს ჩვენი პირველი გასვლითი მოგება იყო. ჩემი ფეხბურთელები მომავალ მატჩებშიც წარმატებით იასპარეზებენ, ამისი ნამდვილად მჯერა".

### რჩეული

**მანუჩარ ივარდავა**

ამ თამაშში საკმაოდ აქტიური გახლდათ დავით ქირია. შეხვედრის ერთადერთი გოლის ავტორიც ის გახლდათ. დიდი სამუშაო გასწია ვლადიმერ ჯოჯუამ. შეტევებში კარგად ერთვებოდა ზურაბ ექონია და კრასოვსკი-ბაკარანძის დუეტიც არ იყო ინერტული. თუმცა, მაინც მეკარე მანუჩარ ივარდავა გამოვარჩიეთ - არაერთხელ იხსნა "მგლები" და დიდწილად მისი დამსახურებაა ზუგდიდელთა მიერ მოპოვებული სამი ქულა.

დავით ცაბაძე



### საგოლო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-2 | 13 |
| 2. მესხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 10 |
| 4. დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 5. მგლები | 5 | 3 | 0 | 2 | 4-3 | 9 |
| 6. სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 7. ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 8. ამერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 9. ბორჯომი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 10. სპარტაკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-3 | 5 |
| 11. დილა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-8 | 3 |
| 12. ლოკომოტივი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 3 |
| 13. ბათუმი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-4 | 1 |
| 14. მერანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-6 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 3 |
| გ. ნოდ. [illegible]ელიძე (ზესტაფონი) | 3 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| გ. ჩიტაია (დილა) | 2 |
| სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| რ. ჯღიქია (ოლიმპი) | 2 |
| შ. ჯღიქია (ბორჯომი) | 2 |
| ჩასემი (სიონი) | 2 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |

### დღეს. 16:00

სპარტაკი-დინამო, მერანი-ბათუმი
ბორჯომი-ამერი

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# რვა ყვითელი და ჩასემის მწვანე

## მე კამერუნელი ვარ

**სიონი-ვიტ ჯორჯია**

**3:1**

14.09. ბოლნისი. თ. სტეფანია
800 მაყურებელი

1:0 სანიკიძე (3. პ), 1:1 გელაშვილი (9. კლიმიაშვილის პასით), 2:1 რაქვიაშვილი (26. სანიკიძის პასით), 3:1 ჩასემი (59. კვიტაიშვილის პასით)

სიონი: იაშვილი - სვანიძე, ბოიომო, ქურასბედიანი (80. მენთესაშვილი), რაქვიაშვილი - სანიკიძე, ოქროპირიძე, ბაჯელიძე, ნადირაძე, კვიტაიშვილი (70. ვაშაკიძე) - ჩასემი (65. ქარდავა),

*სათადარიგოები: სტურუა, კვიციანი, ქუთათელაძე, გაგუა*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, კვახაძე, ლომაია, კაიშაური - რაზმაძე, მ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, ბეჭვაია (62. მელქაძე) - სახოკია (56. ბერიშვილი), გელაშვილი (62. ლუჭაშვილი)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, ინგჯია, კიკნაძე*

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (26), ლომაია (27), კვახაძე (27), კლიმიაშვილი (49), ჩასემი (58), ნადირაძე (60), იაშვილი (89), ოქროპირიძე (90)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

2. ლექსო კვახაძის პასით ზაზა სახოკია გავიდა კარგ პოზიციაზე, მაგრამ იჩქარა და დარტყმაც გაუცუდდა.

3. 1:0 ლევან ბაჯელიძემ კვახაძესთან ორთაბრძოლაში 11-მეტრიანი მოიპოვა და ლევან სანიკიძემ უზადოდ შეასრულა პენალტი.

9. 1:1 ირაკლი კლიმიაშვილმა კარგად გაუჭრა პასი ნიკა გელაშვილს, რომელმაც დავით სვანაძესთან ორთაბრძოლაში იმარჯვა და გიგა იაშვილსაც საგოლედ დაურტყა.

15. ბაჯელიძის ჩაწოდებულზე გიორგი ოქროპირიძემ დაარტყა, მაგრამ ბურთი კარიდან განზე წავიდა.

26. 2:1 სანიკიძემ მარჯვენა ფლანგზე კარგად იდრიბლინგა, მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა და კარიდან ზურგით მდგომმა თემურ რაქვიაშვილმა ლამაზად ჩაახვია ბურთი ვიტელთა კარში.

36. ერიკ რომეო ჩასემმა არცთუ ძლიერად დაარტყა და გრიგოლ ბედიაშვილმა ხელებში მოიგდო ბურთი.

39. გიორგი კვიტაიშვილის პასს ბაჯელიძემ დარტყმა მიაყოლა, თუმცა მიზანმა დაალალატა.

56. სანიკიძის ნაკუთხურალ ბურთს ფრიდოლინიმ ფეხი დაუხვედრა და ოდნავ ააცილა კარს.

58. 3:1 კვიტაიშვილმა ჩასემი ბედიაშვილთან პირისპირ დატოვა, გამერუნელი მეკარეს გასცდა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

65. გიორგი დათუნაშვილმა 6-7 მეტრიდან ვერ დაუმიზნა "სიონის" კარს.

70. სვანაძის ჯარიმა ბედიაშვილმა კუთხურზე მოიგერია.

87. კლიმიაშვილი-ლუჭაშვილის კომბინაცია გიორგი დათუნაიშვილმა ისე დაასრულა, რომ ბურთი ძელ-ხარიხის გადაკვეთას გაარტყა.

89. პაატა დათუნაიშვილმა ოციოდე მეტრიდან ოდნავ ააცილა კარს.

სანაკრებო პერიპეტიების შემდეგ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი განახლდა. ვერ მოიგო ჩემპიონმა "ოლიმპმა", იმარჯვეს ზუგდიდელებმა; "ზესტაფონმა" ძნელად მოიგო და ისევ ლიდერია. მთავარი ამბავი კი ბოლნისში მოხდა - **გიორგი ყიფშიძის** გაწვრთნილმა გუნდმა ნაქებ "ვიტ ჯორჯიას" ისეთი ალიყური აჭამა, რომ...

გუშინ "სიონის" დღე იყო. ბოლნისელებმა ისეთი ცეცხლი დაანთეს მოედანზე, ვიტელებს ცეცხლგამძლე კოსტუმები რომ ჩაეცვათ, მაინც ხელმოცარულები დატოვებდნენ ბოლნისს.

ფეხბურთელთა კონტინგენტის მხრივ, "სიონსა" და "ვიტ ჯორჯიას" შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის, მაგრამ "ვიტ ჯორჯია" გაცილებით უფრო შეთამაშებული გუნდია, გაცილებით უკეთესი სეზონისწინა შეკრება გაიარა, გაცილებით უკეთესად დაიწყო სეზონი და ამიტომაც "სიონთან" შეხლაში მისი შანსი უფრო დიდად იზომებოდა.

მაგრამ ძალიან ბევრი რამ შეუძლია მონდომებას. გუშინ სიონელები შეუპოვარნი იყვნენ, ხოლო ვიტელებს ასეთი მონდომება არ ეტყობოდათ და თამაშიც არ წაუვიდათ.

ბოლნისელებს დიდად მიეხმარათ სწრაფი გოლი. გამთანაბრებელიც მალევე გაიტანეს სტუმრებმა, მაგრამ "სიონს" უკვე თავდაჯერებულობა ეტყობოდა და გამარჯვებამდეც მიიყვანა საქმე.

"ვიტ ჯორჯიამ" ბევრი შეცდომა დაუშვა დაცვაში. გამოჩნდა, რომ **რამაზ მუმლაძის** გუნდს ნახევარდაცვის ცენტრში ლიდერი აკლდა, რომელიც ძნელბედობის ჟამს გუნდის თამაშის წარმართვას შეძლებდა.

მეორე ტაიმში "სიონმა" ზედმიწევნით დაცვითი ტაქტიკა აირჩია, თუმცა ვიტელებს სივრცეს მარჯვედ უზღუდავდა და სტუმრებმაც ძალიან ცოტა სახიფათო მომენტი შექმნეს.

მუმლაძემ შეცვლებით ცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ვერც ამან გაუმართლა.

მატჩის არბიტრმა რვა ყვითელი ბარათი ააფრიალა. დაძაბული ბრძოლა იყო და ვნებანი ბობოქრობდნენ. **ჩასემმა** გოლი რომ გაიტანა, მაისურა გაიხადა, რომლის შიგნით კიდევ ერთი, მწვანე მაისურა ეცვა - კამერუნის ნაკრებისა და ისიც გაიძრო - ტრიბუნაზე მოისროლა და ყვითელი ბარათიც ამად ერგო.

**რაქვიაშვილმა** კი გოლი ისე აღნიშნა, რომ მავთულღობეს შეახტა და შეატორტმანა - **დავით ხარიტონაშვილმა** არც მას დაამადლა გაფრთხილება.

იყო გაწევ-გამოწევაც მეტოქე ფეხბურთელთა შორის, თუმცა სერიოზულ ინციდენტამდე საქმე არ მისულა.

### მატჩის შემდეგ

**რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია):** *"საინტერესო მატჩი გამოვიდა, ვიცოდით, რთული თამაში რომ გველოდა. "სიონს" ყველაფერი უკეთესად გამოუვიდა. "ვიტ ჯორჯიამ" კი თავისი თამაში ვერ ითამაშა".*

**გიორგი ყიფშიძე (სიონი):** *"სიონმა" სეზონში ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ჩვენ საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე გუნდს მოვუგეთ, რაც დიდი სტიმულია "სიონისთვის" და მისი გულშემატკივრებისთვისაც".*

### რჩეული

**ერიკ რომეო ჩასემი**

**ჩასემმა კლასი გვიჩვენა. მოხდენილი გოლი გაიტანა და საერთოდაც ხარისხიანად ითამაშა. მისმა გარჯამ მნიშვნელოვნად განაპირობა "სიონის" გამარჯვება.**

**დავით თავართქილაძე**
ბოლნისი-თბილისი



მატჩის რჩეული ჩასემი

ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან

# აზერბაიჯანთან უფრო თავისუფლად ვგრძნობდი თავს



**დიმიტრი ტატანაშვილი** იღბლიანი კაცია. შარშანდელ სეზონში ბევრი თამაში ტრავმის გამო გააცდინა და ამის მიუხედავად მაინც "ამერის" ბომბარდირი გახდა. შევიდოდა შეცვლაზე და 20-25 წუთში თავის საქმეს აკეთებდა.

მერე იყო თასის ფინალში "ზესტაფონთან" გაბრწყინება, გადამწყვეტი გოლი, უეფას თასზე "ბელხატოვთან" შთამბეჭდავი თამაში და კლაუს ტოპმიოლერიც დაინტერესდა. ჯერ უკრაინასთან შეცვლაზე ნახა, შემდეგ უკვე აზერბაიჯანთან ძირითადში დააყენა. "ამერის" თავდამსხმელმა იმედები გაამართლა და ბაქოში ქართველებიდან ერთადერთი გოლი მიითვალა...

- მიხარია, რომ ტოპმიოლერი მენდო. ეტყობა, მე და საქართველოში მოთამაშე რამდენიმე კაცმა დავიმსახურეთ მისი ყურადღება. არ დავმალავ და მიწვევის იმედი მქონდა, საკმაოდ დიდი ხნით ადრე მითხრეს, რომ გვაკვირდებოდა, ყურადღებას გვაქცევდა, "ბელხატოვის" შემდეგ კი რეალური იმედი გამიჩნდა და მიწვევამაც ძალიან გამახარა.

**- ნაკრებში დებიუტი ყოველთვის რთულია. შენ კიდევ უფრო რთულ დროს ითამაშე, გამგელებული უკრაინის წინააღმდეგ. ნერვიულობა დაგეტყო კიდეც, აზერბაიჯანთან უფრო თავისუფალი ჩანდი.**

- დაძაბული თავისთავად ვიქნებოდი, ფსიქოლოგიურად რაც არ უნდა კარგად მოვმზადებულიყავი. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში თამაში, მით უფრო, ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერთან, იოლი ნაღდად არაა. ჩემთვის მთავარი მაინც ის იყო, თუ რა თბილად მიგვიღეს გამოცდილმა ფეხბურთელებმა. ძალიან მეგობრული სიტუაცია დამხვდა.

**- ტოპმიოლერის გადაწყვეტილებამ ყველა გაგვაოცა, როდესაც უკრაინასთან მარჯვენა ნახევარმცველად დაგაყენა. ამ პოზიციაზე როდესმე გითამაშია?**

- არასდროს, მაგრამ ამ დროს საჭირო იყო მენთეშაშვილის შეცვლა, ზურამ იმდენი ირბინა, ძალა აღარ დარჩა. საჭირო იყო და მარჯვენა ფლანგზე ვითამაშე. ეს ნაკრებია და მწვრთნელი რომ გენდობა, ესეც ბევრს ნიშნავს. თუმცა ბოლო წუთებში დემეტრაძეს პოზიცია გავუცვალე და თავდასხმაში გადავედი.

**- ერთი საინტერესო მომენტი მახსოვს. როდესაც კლაუს ტოპმიოლერი "ამერი"-"სიონის" შეხვედრას შენზე დასაკვირვებლად დაესწრო, ძალიან ანერვიულდი.**

- შეიძლება, ცოტათი ვინერვიულე, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. "ბელხატოვის" შემდეგ ორი შეხვედრა მთლიანად გუნდს ჩაგვივარდა. ალბათ, მორალურად და ფიზიკურად გადავილალეთ და ეს განწყობაზეც დაგვეტყო. იმ დღეს ტვინის შერყევაც მივიღე და ორი დღე დავისვენე.

თუმცა არ დავმალავ, ტოპმიოლერის დასწრებამ ცოტათი ამანერვიულა. რომ მიყურებდა, ესეც მძაბავდა.

**- აზერბაიჯანშიც?**

- იქ უფრო თავისუფლად ვგრძნობდი თავს.

**- ნაკრების თამაში ფეხბურთელს რენტგენში ატარებს და მისი პლუს-მინუსებიც ჩნდება. ტოპმიოლერმა შენზე თქვა, რომ ორთაბრძოლებში მოიკოჭლებ. თავად რას მიაქციე ყურადღება?**

- ტოპმიოლერამდე ამ ნაკლზე თვითონაც ვიცოდი, მართალია ეს კაცი. ყველა მოთამაშე საკუთარ თავს აკვირდება და მეც ვიცი, ფიზიკური მომზადება მაკლია. ტრავმის გამო, ბევრი დავკარგე, სამი მოსამზადებელი შეკრება გამიცდა და ფორმაში ახლა შევდივარ. ჯანის მოსამატებლად ბევრი უნდა ვიმუშაო.

**- რაც შეეხება პლუსებს, ნაკრებში რომელიმე ასეთი თვისება თავს შეატყვე?**

- ეს სხვამ უნდა შეაფასოს... ალბათ, გოლის ალღო მაქვს. ბაქოში ზუსტად იმ ადგილას და იმ დროს ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი. ისე გული მწყდება, რომ ვერ მოვიგეთ. აზერბაიჯანელებს ნამდვილად ვჯობდით.

**- თამაშის შემდეგ ტოპმიოლერი თუ გესაუბრა, ანუ შენი სანაკრებო პერსპექტივა თუ დაინახე?**

- საუბრის დრო არც ყოფილა, თუმცა საკმაოდ თბილად დავშორდით.

**- ჩვენთან უკვე სკოლის მოსწავლეებიც უცხოეთში ცდილობენ სათამაშოდ გაღწევას. შენ ნაკრებში ითამაშე და ბუნებრივია, ეს სურვილი არავიზე ნაკლებად არ გექნება...**

- რა დასამალია, ევროპაში წასვლა მსურს, მაგრამ ჯერ კონკრეტული მიწვევა არ მაქვს და მთლიანად კლუბზე ვარ გადართული. "ამერი" წლეულს ჩემპიონიც უნდა გახდეს და თასიც შეინარჩუნოს.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გაცილებით იაფი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

**დილა-ზესტაფონი**

**1:2**

14.09. გორი. თ. ბურჯანაძე
600 მაყურებელი

0:1 გ. ჭელიძე (16), 0:2 გ. ჭელიძე (74), 1:2 სადალაშვილი (81)

დილა: ილურიძე - ბალაშვილი, კობახიძე, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი - ბალიაშილი, ნოზაძე (64. შატაკიშვილი), ბ. ჩიტაია, სადალაშვილი - სულთანიშვილი (66. ტლაშაძე), სამადაშვილი (79. თურმანიძე)

*სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, მასურაშვილი, კურტანიძე, ი. თაყაძე*

ზესტაფონი: ჭანტურია - თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, ონიანი - კესანი, ტორესი, ვიეირა, გოცირიძე (73. იონანიძე) - ფიფია (64. ბიტოო), გ. ჭელიძე (80. ღონღაძე)

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ნ. კვასხვაძე, ხიდეშელი, ჩხეტიანი

გაფრთხილება: დ. ხანიშვილი (12), ჭელიძე (19), ბ. ჩიტაია (58), საჯაია (65)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**11.** ფიფიას ჩაწოდებულ კუთხურზე კესანმა დაასწრო ყველას და მახვილი კუთხიდან თავით დარტყმული ბადეს გარედან გაარტყა.

**16.** 0:1 ჭელიძემ კარიდან 30 მეტრში მიიღო ბურთი, მინაზე დაუშვებლად დაარტყა და წინ გამოსულ ილურიძეს თავს ზემოთ გადაუგდო.

**20.** სულთანიშვილის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ნოზაძემ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადაცდა მცირე მანძილით.

**25.** გორელთა კონტრშეტევისას სამადაშვილმა სულთანიშვილი მონახა, რომელმაც შეუჩერებლივ ძლიერად დაარტყა, თუმცა შემსრულებულს სიზუსტე დააკლდა ოდნავ.

**38.** ბალაშვილის წამოწყებული სწრაფი კონტრშეტევა ნოზაძემ ძლიერი დარტყმით დაასრულა, ბურთი მცირედით აცდა მარხენა ძელს.

**45.** ფიფია შედის მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში და კართან მიახლოებისას ცხრიანში ურტყამს. ილურიძე ეფექტური ნახტომით იგერიებს.

**55.** გოცირიძემ მარცხენა ფრთიდან წამოიწყო კონტრშეტევა, გზად ოთხ მოწინააღმდეგეს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებს უწია, სადაც დავით ხანიშვილმა შეძლო მისი შეჩერება.

**70.** სამ მოწინააღმდეგეს შორის მოქცეულმა ბექა ჩიტაიამ პენალტის ნიშნულთან ეულად მდგარი ტლაშაძე ვერ შენიშნა და თავად სცადა გატანა, თუმცა კუთხე ოდნავ მახვილი იყო და ჭანტურიას ვერ აჯობა.

**74.** 0:2 კარიდან ახლა უკვე დაახლოებით 35 მეტრში მყოფმა გიორგი ჭელიძემ პირველის ანალოგიურად დაურტყა ილურიძეს და კვლავ გაუტანა.

**81.** 1:2 გორელებმა მარცხენა ფრთიდან ნიკოლოზ სადალაშვილი მოძებნეს, რომელმაც საჰაერო ბრძოლა მოუგო მეურვეს და ჭანტურია უშანსოდ დატოვა.

**85.** ფლანგზე სწრაფ გარღვევას ყონატასი კარის გასწვრივ ჩაწოდებით აგრძელებს, სადაც იონანიძემ ბურთზე გასვლა დააგვიანა და მომენტი ვერ გამოიყენა.



ზესტაფონმა გორში გიორგი ჭელიძის დუბლით მოიგო

# საფრთხე იქიდან, საიდანაც არ ელი

სასტარტო გამარჯვების შემდეგ „დილა" იმ გუნდებმა გამოცადეს, რომლებიც საქართველოში ამინდს ქმნიან. გორელები ზედიზედ ოთხჯერ დამარცხდნენ და თავს მხოლოდ იმით თუ დაიმშვიდებენ, რომ „ამერთან", ვიტ ჯორჯიასთან, "„ზესტაფონთან" მინიმალური სხვაობებით წააგეს და ყველა მეტოქეს უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ზესტაფონსაც" საბრძოლო მზადყოფნაში დახვდა **მამუკა ვარდოსანიძის** გუნდი. ჩემპიონატის ლიდერთან პაექრობისას მასპინძლები, ცხადია, ფრთხილად ირჯებოდნენ და პირველ 15 წუთში არ მიწოლიან **ჭანტურიას** კარს ისეთი ჟინით, როგორც დანარჩენი დროის განმავლობაში. დებიუტში სტუმრებს გამოკვეთილი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა ვერ ქმნიდნენ სახეირო მომენტებს. ზესტაფონელები აკონტროლებდნენ მოედნის ცენტრს, სადაც მათი შუახაზელი კესანი არა მხოლოდ კანის ფერით, ინდივიდუალური გარჯითაც გამოირჩეოდა. გაბონელი ლეგიონერი შემტევ თანაგუნდელთ კარგი პასებითაც ამარაგებდა, მათთან გამკლავებას კი მასპინძელი მცველები რიგიანად ახერხებდნენ. „დილას" საფრთხე იქიდან შეექმნა საიდანაც არ ელოდა - მე-16 წუთზე არც **გიორგი ჭელიძის** შორეულ დარტყმას ელოდა ვინმე და არც გამოცდილი **ილურიძის** მოუმზადებლობას, რომელიც წინ იყო გამოსული და ვერ შესწვდა ბურთს, 0:1.

„დილა" გაშვებული გოლის შემდეგ გვარიანი შემართებით ამოქმედდა. შეუტია და ოთხ წუთში **სულთანიშვილის** წაქცევისთვის დანიშნული სახიფათო ჯარიმაც მოიმკო. **ნოდარ ნოზაძეს** ეხერხება საჯარიმოების რიგიანი შესრულება, ამჯერადაც კარგად შეასრულა, მაგრამ ოდნავ დააკლდა სიზუსტე.

გორელთა გააქტიურების პარალელურად **კესანის** ცენტრი დაეკარგა და **თემურ მახარაძის** შეგირდები შეტევებს უკვე მარცხენა ფრთიდან **ბექა გოცირიძის** აქტიურობის ხარჯზე ახორციელებდნენ, თუმცა ამ ფლანგზე **გიორგი ბალაშვილი** თამაშობდა ჩვეულებისამებრ საიმედოდ. ფლანგური იერიშების წარმატებით გამნეიტრალებელმა „დილის" კაპიტანმა რამდენჯერმე თავისი გუნდის სახიფათო შეტევასაც დაუდო სათავე.

საერთოდ მიმდინარე სეზონში „დილის" მწვრთნელები თავდასხმის ხაზით არიან უკმაყოფილონი. მათი თამაში ვერც ამ ჯერზე იყო სახარბიელო. არ შეიძლება არ აღინიშნოს ზესტაფონელ მცველთა თითქმის უშეცდომო მოქმედება ამ შეხვედრაში.

ტაიმის ბოლომდე უშეღავათო ბრძოლა არ შეწყვეტილა, რაც ბუნებრივია თამაშს საკმაოდ საინტერესოს ხდიდა და ყველაფერთან ერთად თამაში მაყურებელმაც გაალამაზა. მინდორზე ფეხბურთელები არ უდებდნენ ტოლს ურთიერთს, ტრიბუნაზე - გულშემატკივრები. დიდი ხანია „თენგიზ ბურჯანაძეზე" ასეთი ხმაური და შეწყობილი შეძახილები არ ყოფილა.

შესვენებაზე ერთგვარად ჩამცხრალი ჟინი მეორე ტაიმში კვლავაც განახლდა. დაძაბულობამ შედარებით იმატა კიდეც და მობურთალნი უფრო ხისტადაც ათამაშდნენ, ამიტომაც იყო, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში არბიტრის სასტვენი ტრიბუნების სტვენასაც არ ჩამორჩებოდა სიხშირით.

მეორე ტაიმში გუნდებს არ შეუქმნიათ იმდენი საგოლე მომენტი, რამდენიც პირველ ნახევარში, გოლი კი მაინც მეტი გავიდა. მატჩის დასრულებამდე 16 წუთით ადრე ამჯერად კარიდან დახლოებით 35 მეტრში მყოფმა გიორგი ჭელიძემ კიდევ ერთხელ მიიღო მოულოდნელი გადაწყვეტილება და შორი მანძილიდან ილურიძეს მეორედაც გაუტანა.

0:2-მა ისე გააშმაგა „დილა", დარჩენილ წუთებში ფეხბურთელებმა მგონი საკუთარ თავსაც აჯობეს. შვიდ წუთში **სადალაშვილმა** ჭანტურიას კარიც აიღო. ამის შემდგომ მასპინძელთა სტიმულმა უფრო იმატა, თუმცა ჩემპიონატის ლიდერთან ორბურთიანი უპირატესობის ათიოდ წუთში ამოქაჩვა რასაკვირველია მეტისმეტად რთული საქმეა.

**მატჩის შემდეგ**

თემურ მახარაძე **(ზესტაფონი)**: *"ძალიან რთული მატჩი იყო. ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები მრავლად რომ იყოს, ჩვენი ჩემპიონატი ერთობ საინტერესო იქნებოდა. „დილა" საკმაოდ კარგი გუნდია, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმა დავალება წარმატებით შეასრულეს და მოვიგეთ".*

მამუკა ვარდოსანიძე **(დილა)**: *"ოთხი თამაში ზედიზედ წავაგეთ და ცხადია ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. გაოგნებულები ვართ, რომ ასეთმა გამოცდილმა გოლკიპერმა მსგავსი შეცდომები დაუშვა. ჩემი ფეხბურთელები ლიდერთან ერთგვარად შებოჭილნი გამოვიდნენ, ამიტომაც, ყველფერთან ერთად, მოგვიწევს ბიჭების ფსიქოლოგიური მომზადებაც".*

**რჩეული:**

გიორგი ჭელიძე

**„ზესტაფონმა" რა თქმა უნდა დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ გიორგი ჭელიძეს რომ ასეთი „არაფრიდან მოტანილი" გოლები არ გაეტანა, ღმერთმა იცის, ტაბლოზე რა ანგარიში დაფიქსირდებოდა. იმერლების თავდამსხმელი მართალია სხვებს მთელი თავით არ სჯობდა, მაგრამ გამარჯვებაში მისი წილი უდიდესია.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# კანონზომიერება და უფანტაზიო ჩემპიონი

**ოლიმპი-მესხეთი**

**0:0**

14.09. რუსთავი. ფოლადი
500 მაყურებელი

ოლიმპი: მ. ალავიძე - ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე - გეწაძე, ქებაძე, ჟივკოვიჩი (46. კახელიშვილი), დვალიშვილი (88. მესხი), ნავალოვსკი (46. დევდარიანი) - რ. ჯიქია, ჯილდასი

*სათადარიგოები: გ. კობახიძე, ჩივაძე, კოშკაძე, ნ. მგელაძე*

მესხეთი: სომხიშვილი - აკოფიანი (57. კობესაშვილი), გ. ნადირაშვილი, ჟვანია, ლეკიშვილი - თურმანიძე, ძამსაშვილი, ინასარიძე (87. კევლიშვილი), ზ. ჩხეტიანი (80. მ. თაყაძე), გვირჯიშვილი - კაიდარაშვილი

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, მ. ღონღაძე, სუდაძე, რუსია*

გაფრთხილება: სილაგაძე (48), ზ. ჩხეტიანი (51), ჟვანია (58), რ. ჯიქია (69), გ. ნადირაშვილი (69), სომხიშვილი (84)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**35** წთ. მატჩის პირველი ნახევრადმომენტი - გეწაძის უვნებელ დარტყმას სომხიშვილი დაუხვდა.

**39.** ქებაძის დარტყმა "მესხეთის" მეკარემ მოიგერია.

**43.** ორი მცველის გარემოცვაში მოქცეულმა კაიდარაშვილმა სუსტად დაარტყა, ბურთს ალავიძე დაეუფლა.

**50.** ჯილდასის დარტყმა კარს საკმაო მანძილით ასცდა.

**69.** მცირე გუნდური წაკინკლავება ორი ფეხბურთელის გაფრთხილებით დასრულდა.

**73.** მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი - გეწაძის მიერ შორიდან შესრულებული ეფექტური ჯარიმა სომხიშვილმა მოიგერია.

**82.** ჯილდასმა ვარდნაში ეფექტურად დაარტყა და ბურთი კარს სულ მცირედით ააცილა.

"ოლიმპს" რომ წინა ხაზში საგრძნობი პრობლემები აქვს, ეს ჩემპიონთა თასის მატჩებმაც წარმოაჩინა და ჩემპიონატის სტარტმაც. ალბათ, რუსთაველთა ახალი მწვრთნელის, **ანატოლი პისკოვეცის** მოღვაწეობის ნაწილობრივ შეფასება უკვე შეიძლება. უკრაინელი სპეციალისტის შეგირდებმა მხოლოდ "ბათუმთან" "ამერთან" ითამაშეს შედეგიანად და მეტ-ნაკლებად გამართულად, "ვიტ ჯორჯიასა" და "მესხეთთან" კი მეტისმეტად სწორხაზოვანნი და უფანტაზიონი იყვნენ.

მართალია, მასპინძლები მცირე სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ვერაფრით ვიტყვით, რომ ახალციხელებმა დაუმსახურებელი ქულა მოიპოვეს. ის კი არა, სტუმრებს შეტევაში უფრო რისკიანად და თამამად რომ ეთამაშათ, შინ ეგებ სამი ქულაც წაეღოთ.

"მესხეთის" დაცვა საიმედოდ იდგა, როგორც სტენოგრამიდან ხედავთ, "ოლიმპს" სახიფათო მომენტების შექმნა ძალიან უჭირდა. მთელ შეხვედრაში პისკოვეცის ფეხბურთელებს ორად ორი რეალური საგოლე შანსი ჰქონდათ. **გეწაძის** ჯარიმას **სომხიშვილი** დაუხვდა, მატჩის მიწურულს კი **ჯილდასს** დააკლდა სულ ცოტა იშვიათი სილამაზის გოლამდე.

შეხვედრას **კლაუს ტოპმიოლერი** დაესწრო, რომელსაც ძნელი წარმოსადგენია, გუშინდელი თამაშის რომელიმე მონაწილე მოსვლოდა თვალში.

გადიოდა დრო და სტუმართა ჩანაფიქრის შესრულება უფრო და უფრო რეალური ხდებოდა. "ოლიმპმა" ვერც "მესხეთის" მასირებულ დაცვას მოუხერხა რამე და ვერც გადამწყვეტი შტურმის განხორციელება შეძლო. არადა, არბიტრმა მატჩის ძირითად დროს ოთხი წუთი დაამატა. მოკლედ, კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ რუსთავში სამართლიანი შედეგი დაფიქსირდა, რამაც "ოლიმპი" ექსჩემპიონის წოდებას მიუახლოვა, "მესხეთი" კი ერთი დღით ცხრილის მეორე საფეხურამდე ამოიყვანა.

კიდევ ის იყო, რომ საპატიო ლოჟასთან ახლოს მსხდომი ახალციხელი გულშემატკივრები **ლევან ფანიაშვილის** მიმართ გამოხატავდნენ ხმაურიან უკმაყოფილებას, რასაც უკვე ლოჟაში მსხდომთა უკმაყოფილება მოჰყვა. საბედნიეროდ, კონფლიქტი მხოლოდ სიტყვიერი იყო.

მატჩის რჩეულად კი ვერავის დავასახელებთ, არც "ოლიმპიდან" ბრწყინავდა ვინმე და "მესხეთმაც" კოლექტიური თავდადებით მიაღწია ფრეს.

**მატჩის შემდეგ**

ანატოლი პისკოვეცი **("ოლიმპი")**: *"ვვარაუდობდით, რომ მეტოქე დაცვიდან ითამაშებდა და ასეც მოხდა. მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევა ვერ შევძელით. შედეგი რა თქმა უნდა, მიუღებელია, მაგრამ გარწმუნებთ, "ოლიმპს" კრიზისი არა აქვს, ყველაფერი ნორმალურადაა".*

კობა თედიაშვილი **("მესხეთი")**: *"ვიცოდით, რომ წინ რთული მატჩი გველოდა, აქცენტი ფრეზე გავაკეთეთ. ბიჭებს თავგანწირული ბრძოლისთვის დიდ მადლობას ვუხდი".*

**ლევან ჯანეზაშვილი**
რუსთავი-თბილისი



მესხეთის მწვრთნელი კობა თედიაშვილი

ფუტზალი

# იბერია დამარცხდა

ევროპის ფუტზალის თასზე თბილისის "იბერიამ" მეორე მატჩი ჩაატარა. შეგახსენებთ, პირველ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა ხორვატულ "გოსპიჩთან" ფრედ, 2:2 ითამაშა. სამწუხაროდ, მეორე დაპირისპირებაში "იბერიამ" რუმინულ "დევასთან" წააგო - 3:4. ამის მიუხედავად, "იბერიას" მაინც აქვს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი. საამისოდ ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილის დაკავებაა საჭირო.

ხორვატიაში მიმდინარე ტურნირის ბოლო მატჩს "იბერია" დღეს ატარებს სლოვენიურ "პუნტართან" და უცილობელი გამარჯვება სჭირდება.

ბოლო ტურის წინ ჩვენს ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დევა | 2 | 1 | 1 | 0 | 6-5 | 4 |
| 2. გოსპიჩი | 2 | 0 | 2 | 0 | 5-5 | 2 |
| 3. პუნტარი | 2 | 0 | 2 | 0 | 5-5 | 2 |
| 4. იბერია | 2 | 0 | 1 | 2 | 5-6 | 1 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge



ჰერბერტ ცანკერი

ახალგაზრდული ნაკრები

# ბრაზილია გაზაფხულზე გვესტუმრება

ცოტა ხნის წინათ ვწერდით, ქართულ და ბრაზილიურ მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის შესახებ, რომლის თანახმადაც 10 და 12 ოქტომბერს ჩვენს 21-წლამდელებთან ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებს საქართველოში ორი ამხანაგური შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა. შეთანხმება მიღწეული კი იყო, მაგრამ მატჩების ჩატარების შესახებ ხელშეკრულება არ გაფორმებულა. გუშინ კი გაირკვა, რომ ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების საქართველოში სტუმრობა გაზაფხულისთვის გადაიდო.

*"ბრაზილიური მხარე თბილისიდან ხელშეკრულების გაფორმებას ელოდა. თუმცა ობიექტურ მიზეზთა გამო ბრაზილიელთა საქართველოში ჩამოსვლა გაისისთვის გადაიდო. ბრაზილიელებმა ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის არგუმენტები მიიღეს. ყველა შეთანხმება, მათ შორის ფინანსური, ძალაში რჩება"*, - გვითხრა ჩვენი ფედერაციის წარმომადგენელმა მოლაპარაკებებში **ნიკო პატარქალიშვილმა**.



პეტარ სეგრტს (შუაში) და მის გუნდს მარტში ბრაზილიელები გამოცდიან

*"შეთანხმება მიღწეული კი იყო, მაგრამ 10 და 12 ოქტომბერს ჩვენი ეროვნული ნაკრები და მთლიანად ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა იტალიაში იქნება. გვინდა ბრაზილიელებს სათანადოდ დავხვდეთ, 10 და 12 ოქტომბერს კი ეს არ მოხერხდება. სწორედ ამიტომ, მოლაპარაკებათა შედეგად გადავწყვიტეთ, მატჩები გაისად გავმართოთ.*

*ბრაზილიელები მარტში ან აპრილში გვესტუმრებიან და ჩვენს 21-წლამდელებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. 25 ნოემბერს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართება. მალევე დადგინდება ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი დღეები და ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩების თარიღებიც ამის შემდეგ დადგინდება"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

**დავით ცაბაძე**

U 17

# ჯერ პორტუგალიაში, მერე ბულგარეთში

## ცანკერის 18 რჩეული შესარჩევისთვის

ხვალ, გამთენიისას საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრება. **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი პორტუგალიის 17-წლამდელთა ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ჩვენი გუნდი სანტარემში დაბინავდება. ცანკერის კრებული პორტუგალიელ ჭაბუკებთან პირველ შეხვედრას, 18 სექტემბერს, ლისაბონიდან 60 კმ-ით დაშორებულ კარტაშოში ჩაატარებს, 20-ში კი პირენეელებს სანტარემში დაუპირისპირდება.

იქიდან ჩვენი ნაკრები ბულგარეთს გაფრინდება. ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მატჩებს სწორედ ბულგარეთი უმასპინძლებს. მეტოქეებად კი ბულგარეთის გარდა ხორვატიისა და უნგრეთის ჭაბუკთა ნაკრებები გვეყოლება.

ჰერბერტ ცანკერმა უკვე დაასახელა იმ 18 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც პორტუგალიურ ტურნესა და ბულგარეთში გასამართი შესარჩევი ციკლის მატჩებში ჩვენი ნაკრების ღირსებას დაიცავენ:

მეკარეები: **1. დავით მეფარიძე (გაგრა), 12. თორნიკე ნიორაძე (დინამო).**

მცველები: **2. დათა რიგვავა, 5. დიმიტრი პაჭკორია (ორივე ოლიმპი), 3. ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), 4. თორნიკე კაკუბავა (დინამო), 6. ზვიად რობაქიძე (ოლიმპიკი).**

ნახევარმცველები: **7. ნიკა ძალამიძე (ბაია), 8. ლუკა გუგუჩია, 9. ნიკა შონია, 13. გიორგი გორდეზიანი, 17. გიორგი გურეშიძე (ყველა ოლიმპი), 14. გიგა მელიქიშვილი (კახეთი), 16. ჯანო ანანიძე (დინამო კ. უკრაინა), 18. ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი).**

თავდამსხმელები: **10. ირაკლი შეყილაძე, 15. დავით რაფავა (ორივე ბაია), 11. ლეგა მუმლაძე (ოლიმპი).**

რაც შეეხება ბულგარეთში გასამართ შესარჩევი ეტაპის კალენდარს ის ასეთია:

| 24 სექტემბერი |
|---|
| ბულგარეთი-უნგრეთი |
| საქართველო-ხორვატია |
| **26 სექტემბერი** |
| ბულგარეთი-ხორვატია |
| საქართველო-უნგრეთი |
| **29 სექტემბერი** |
| ბულგარეთი-საქართველო |
| უნგრეთი-ხორვატია |

ელიტრაუნდში ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. აქედან ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან მხოლოდ პირველადგილოსანი.

**დავით ცაბაძე**

ქართულ ქორწილში მესამედ

# ტოპმიოლერი მეჯვარეა



ეროვნული ნაკრების მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი** აზერბაიჯანთან გასვლითი მატჩის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. გუშინ გამთენიისას "თბილისი მარიოტში" მცხოვრებ კლაუსს მეუღლე **როზი** ესტუმრა. ცოლ-ქმარმა ტოპმიოლერებმა კარგა გვარიანად ისეირნეს რუსთაველის გამზირზე, მერე კი კლაუსმა რუსთავს მიაშურა და "ოლიმპი"-"მესხეთის" კალენდარულ მატჩს დაესწრო.

როგორც შევიტყვეთ კლაუსი და მისი მეუღლე ხვალ, 16 სექტემბერს, ქორწილში იქნებიან. **დუდუნა მაზმანიშვილისა** და **რენე სიპენის** ქორწილში კლაუს ტოპმიოლერი გერმანელი სიძის (ჟურნალისტია) მეჯვარეა.

ზეგ გამთენიისას კი კლაუს ტოპმიოლერი თბილისიდან პორტუგალიას გაემგზავრება, როზი კი სამშობლოში დაბრუნდება. მწვრთნელი პირინეებზე ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრების ამხანაგურ მატჩებს დაესწრება. კლაუს ტოპმიოლერი პორტუგალიიდან **ჰერბერტ ცანკერის** გუნდს ბულგარეთშიც გაყვება და შესარჩევი ციკლის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების ასპარეზობას მიადევნებს თვალს.

**ზურაბ ხიზანიშვილისა** და **ლაშა სალუქვაძის** ქორწილების შემდეგ, კლაუს ტოპმიოლერი ხვალ მესამედ იქნება ქართულ ქორწილში.

*"ჩემთვის დიდი პატივია ქართულ-გერმანულ ქორწილში მიპატიჟება. უფრო მეტიც, ჩემი თანამემამულის, ცნობილ ჟურნალისტის რენე სიპენის მეჯვარე ვარ. ზურაბ ხიზანიშვილისა და ლაშა სალუქვაძის ქორწილშიც ვიყავი და ის დღეები დღესაც სასიამოვნოდ მახსოვს. სხვა რა მეთქმის... დასაქორწინებელ წყვილს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდ სიყვარულს ვუსურვებ"*, - აღნიშნა კლაუს ტოპმიოლერმა.

**დავით ცაბაძე**

# ტარხანოვს მუჯირის იმედი აქვს

"კომსომოლსკაია პრავდის" სამარის ბიურომ რედაქციაში "კრილია სოვეტოვის" მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ ტარხანოვი** მიიწვია, რომელმაც ინტერნეტპრესკონფერენცია გამართა.

სამარელთა მწვრთნელს ერთ-ერთი კითხვა გუნდის ლიდერზე დაუსვეს, ასეთი ფეხბურთელი თუ გყავთო: *"ჯერ ვერ ვიტყვი რომ ლიდერი გვყავს, მაგრამ ამ როლში რეალურად დათო მუჯირი წარმომიდგენია. ასეთია მოედნის გარეთ და შეუძლია მოედანზე ლიდერი გახდეს. დათო კეთილი გულის კაცია და კომპანიის სული და გულია."*

თუმცა როგორც გაირკვა, დანიშვნის დროს ტარხანოვმა იჩქარა, როდესაც განაცხადა, რომ ქართველ ლეგიონერს კაპიტნის სამკლაური დაუბრუნდებაო: *"ჯერ ეს საკითხი ისევ ღიადაა. ყველას ახსოვს, რომ დათომ თავად თქვა უარი კაპიტნობაზე, რადგან მას ყველა მატჩში ცვლიდნენ. მეც იმის მომხრე ვარ, რომ კაპიტანი მოედანზე უნდა იყოს. მას თამაშიც რომ არ წაუვიდეს, მოედანზე ყოფნითაც შეუძლია გუნდის გამხნევება."*

**მერაბ მამულაშვილი**

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის

## არგენტინაში

ვიწვევთ 17-18 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა 6 თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და სავიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

*მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: 899-23-55-20. მსურველები არგენტინაში გაემგზავრებიან ოქტომბრის დასაწყისში.*



სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

გერმანია. ბუნდესლიგა. V ტურის წინ

# მზერა მიუნხენისკენ: ბაიერნი vs შალკე



ოტმარ ჰიტცფელდი

**გუშინ**

**ბორუსია (დ)-ვერდერი** *იხ. მე-15 გვერდი*

**დღეს**

**ბაიერნი-შალკე**
**შტუტგარტი-კოტბუსი**
**ლევერკუზენი-ბოხუმი**
**ნიურნბერგი-ჰანოვერი**
**არმინია-ჰანზა**
**აინტრახტი-ჰამბურგი**

**ხვალ**

**ვოლფსბურგი-კარლსრუე**
**დუისბურგი-ჰერტა**

დღეს ბუნდესლიგისა და საერთოდ ევროუქმეების ყველაზე თვალსასეირო და პრინციპული მატჩია: "ბაიერნი" "შალკეს" უმასპინძლებს. თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში მიუნხენური გრანდი, ამ კითხვას დღევანდელმა მატჩმაც უნდა გასცეს პასუხი. მაინც რატომ დადგა ასე საკითხი? რატომ და, **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდებმა პირველივე სერიოზულ მეტოქესთან წაიფორხილეს. წინა უქმეებზე მათ "ჰამბურგში" ორი ქულა დაკარგეს. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გერმანიაში ასეთი დასკვნა გაეკეთებინათ: "სუპერბაიერნი" უძლეველი ნამდვილად არ არის! ახლა, ინდიკატორის როლშია "შალკე", რომელმაც თავადაც უნდა დაამტკიცოს, შესწევს თუ არა უნარი, მრისხანე მეტოქეს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კონკურენცია გაუწიოს. მატჩის მნიშვნელობაზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: "ალიანს არენის" დაპირისპირება 142 ქვეყანაში ცოცხლად გადაიცემა.

ვიდრე წინასამატჩო სიტუაციის სხვა დეტალებს შევეხებოდეთ, დავძინოთ ისიც, რომ ბუნდესლიგაში დღეისთვის სწორედ ეს ორი გუნდია დაუმარცხებელი. შარშან "ბაიერნმა" შინ 2:0 მოიგო და საერთო ბალანსშიც მეტოქეზე აშკარა უპირატესობა აქვს: მიუნხენში ჩატარებულ 37 მატჩში მასპინძელმა 27 მოიგო და მხოლოდ 5-ჯერ დამარცხდა.

"ბაიერნში" მთავარი სიახლე ისაა, რომ გამოჯანმრთელდა **ლუკა ტონი** და მზადაა, წინა ხაზზე მხარში ამოუდგეს **მიროსლავ კლოზეს**. თუმცა ჰიტცფელდმა შეიძლება არ გარისკოს და იტალიელი გიგანტი მეორე ტაიმისთვის შემოინახოს. სხვა მხრივ, ახალი არაფერია: **ვილი სანიოლი, ფილიპ ლამი** და **ხოსე ერნესტო სოსა** კვლავ ტრავმირებულები არიან და "ბაიერნს" ვერაფრით დაეხმარებიან.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც გამოჯანმრთელდა და მწყობრში ბრუნდება, **ლევან კობიაშვილია**. ტონის არ იყოს, ტრავმის გამო სანაკრებო მატჩები ჩვენებურმაც გამოტოვა. სად ითამაშებს ის დღევანდელ შეხვედრაში? ეს კითხვა არ დაისმებოდა, რომ არა **კრისტიან პანდერის** ტრავმა. "ხუმარათა" მარცხენა მცველი გუშინდელ ვარჯიშზე დაშავდა. აქედან გამომდინარე, **მირკო სლომკამ** კობი შეიძლება სწორედ პანდერის ადგილზე დააყენოს. კიდევ ერთი პრობლემური პოზიციაა დაცვის ცენტრი, სადაც **მლადენ კრსტაიჩი** არ იქნება. სერბ მცველსაც ტრავმა აწუხებს.

## სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი:** კანი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ვან ბომელი, ზე რობერტო, ჰამით ალთინთოფი, რიბერი, შვაინშტაიგერი, კლოზე.

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, კობიაშვილი, ერნსტი, ჯოუნსი, ჰამილ ალთინთოფი, რაკიტიჩი, ასამოა, კურანი.

"შტუტგარტი" "კოტბუსს" დაუხვდება. დროა, **არმინ ფეეს** შეგირდებმა საჩემპიონო ფეხბურთი აჩვენონ. სხვათა შორის, ეს ის "კოტბუსია", რომელსაც შვაბები გასული ჩემპიონატის ბოლო ტურში შეხვდნენ, 2:1 გაიმარჯვეს და ჩემპიონებიც გახდნენ. ჯერჯერობით, "შტუტგარტი" ამყარებს ეჭვს, რომ "ვერცხლის სინი" შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ეჭვი ერთხელ და სამუდამოდ გაქარწყლდეს. თუმცა ეს ადვილი არ იქნება.

"კოტბუსს" შტუტგარტში არასოდეს მოუგია. **პეტრიკ ზანდერს** საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს, განსხვავებით კოლეგისგან, რომელსაც **მარიო გომესის** სახით თავდასხმაში მთავარი დამრტყმელი ძალა მოაკლდება.

რაიონულ დერბიში "ლევერკუზენი" მეორეადგილოსან "ბოხუმს" მასპინძლობს. ფარმაცევტებს მწარედ უნდა ახსოვდეთ გასული სეზონის ანალოგიური დაპირისპირება, რომელიც ბოხუმელთა გამარჯვებით 4:1 დასრულდა. თუმცა "ლევერკუზენს" საკუთარ კედლებში მაინც სოლიდური უპირატესობა აქვს. მატჩის მთავარი ინტრიგა იქნება ექსბოხუმელი ფორვარდი **თეოფანის გეკასი**, რომელიც ახლა "ლევერკუზენის" ღირსებას იცავს და დღეს ყოფილ თანაგუნდელებს შეუტევს. სხვათა შორის, 4:1-ის მატჩში ორი გოლი სწორედ გეკასმა გაიტანა.

"ნიურნბერგი" "ჰანოვერს" ძირითადი ფორვარდების გარეშე დახვდება. სლოვაკი **რობერტ ვიტეკი** ერთდროულად დისკვალიფიცირებულიცაა და ტრავმირებულიც. დაშავებულია რუსეთის ნაკრების წევრი **ივან საენკოც**. ოთხშაბათს, ჩეხეთი-ირლანდიის ნაკრებთა შეხვედრაში, ტრავმა მიიღო ნახევარმცველმა **ტომაშ გალაშეკმაც**. ასე რომ, "ნიურნბერგისა" ნამდვილად არ უნდა შეგშურდებათ. რაც შეეხება "ჰანოვერს", **დიტერ ჰეკინგის** განკარგულებაში არ იქნება ფორვარდი **თომას ბრდარიჩი**, რომელსაც ასევე ტრავმა აწუხებს.

ლიდერთა ჯგუფში მყოფი "არმინია" მიიღებს "ჰანზას", რომელსაც ჯერ ქულაც არ მოეპოვება. შესაძლოა, მორიგი მარცხი **ჰანს პაგელსდორფისთვის** საბედისწერო გამოდგეს. ამ გუნდების ბოლო ბილეფელდური დაპირისპირება 2004/05 წლების სეზონში შედგა და ფრედ 1:1 დასრულდა. სხვათა შორის, "ჰანზას" თავის დღევანდელ მეტოქესთან გასვლით შეხვედრებში მცირე უპირატესობა აქვს.

ფრანკფურტში სატურნირო ცხრილის მეზობლები იკრიბებიან: "აინტრახტი"-"ჰამბურგი". არ არის გამორიცხული, ჩრდილოურ კლუბს ბოლოჯერ უხელმძღვანელოს **ჰუუბ სტევენსმა**, რომლის მეუღლე სიმსივნეს ებრძვის. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ამაზე უკვე ისაუბრა პრესასთან, მანამდე კი კლუბის ხელმძღვანელობაც ჩააყენა საქმის კურსში. გავიხსენოთ, რომ ორი წლის წინათ, სტევენსი "ჰერტასაც" ამავე მიზეზით დაშორდა. რაც შეეხება საკადრო ამბებს, "აინტრახტს" ერთი დანაკლისი აქვს: ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ბერძენი ფორვარდი **იოანის ამანატიდისი**.

ტრადიციულად, ორი მატჩი კვირას გაიმართება. "ვოლფსბურგი" მიიღებს "კარლსრუეს", რომელსაც საკუთარ მოედანზე უკანასკნელად 1997/98 წლების სეზონში შეხვდა და 1:2 წააგო. ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობითაა. **ალექსანდრე იაშვილს** კვლავაც "კარლსრუეს" თადარიგში უნდა ველოდოთ. ცნობისთვის, "ვოლფსბურგს" საკუთარ კედლებში ჯერ არ მოუგია.

მეზობლების დაპირისპირებაა "დუისბურგი"-"ჰერტაც". მასპინძელთა შორის საეჭვო იყო ფორვარდ **მანასე იშიაკუს** თამაში. ნიგერიელი, რომელიც მიმდინარე ბუნდესლიგის ერთ-ერთი ბომბარდირია, ხუთშაბათის ვარჯიშზე დაშავდა, თუმცა, ბოლო ინფორმაციით, იშიაკუ მაინც შეუტევს დედაქალაქელთა კარს. ასე რომ, ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობითაა.



მირკო სლომკა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-1 | 10 |
| 2. ბოხუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-7 | 7 |
| 3. არმინია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 4. აინტრახტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 5. ჰამბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 6. ვერდერი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-7 | 7 |
| 7. შალკე | 4 | 1 | 3 | 0 | 8-5 | 6 |
| 8. დუისბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 9. ჰერტა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 10. ბორუსია | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 11. კარლსრუე | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 6 |
| 12. ჰანოვერი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 13. ლევერკუზენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-2 | 5 |
| 14. ვოლფსბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 15. შტუტგარტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 16. ნიურნბერგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 17. კოტბუსი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 18. ჰანზა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტური

# რა ელის იოლს?

## მანჩესტერს ორი ლიდერი, რონალდო და რუნი გამოუჯანმრთელდა...

**დღეს**

**ბირმინგემი-ბოლტონი**
**ჩელსი-ბლექბერნი**
**ევერტონი-მანჩესტერ იუნ.**
**პორტსმუთი-ლივერპული**
**სანდერლენდი-რედინგი**
**ტოტენჰემი-არსენალი**
**ვესტ ჰემი-მიდლსბრო**
**ვიგანი-ფულჰემი**

**ხვალ**

**მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა**

**ზეგ**

**დერბი-ნიუკასლი**

ტურის უმთავრესი მატჩი, რა თქმა უნდა, ჩრდილოლონდონური დერბია. ეს თამაში "ტოტენჰემის" თავკაცის, **მარტინ იოლის** ბედს გადაწყვეტს. "მამლებმა" სეზონი უსახურად დაიწყეს. ხუთი ტურის შემდეგ გუნდს მხოლოდ ერთი მოგება აქვს, ისიც აუტსაიდერ "დერბისთან". გასულ ზაფხულს კლუბმა შემადგენლობის გასაძლიერებლად სარეკორდო მოცულობის თანხა დახარჯა - 40 მილიონი გირვანქა. "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებდა, მაგრამ თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდება, კლუბი შარშანდელ შედეგსაც კი ვერ გაიმეორებს.

იოლის მდგომარეობას ართულებს სტატისტიკაც. "ტოტენჰემს" თანაქალაქელი რვა წელია, არ დაუმარცხებია. "მამლების" ბოლო გამარჯვება 1999 წლით თარიღდება, 2:1. იმჟამად მათი თავკაცი **ჯორჯ გრემი** იყო.

მასპინძლებს ინგლისის ნაკრების გარემარბი **აარონ ლენონი** გამოუჯანმრთელდათ. მან მუხლის ტრავმა მოიშუშა. ვარჯიში განაახლა თავდამსხმელმა **დარენ ბენტმაც**, ვის სანაცვლოდაც აგვისტოში უფრო მეტი გადაიხადეს, ვიდრე "ბარსელონამ" **ტიერის ანრიში** დახარჯა. კვლავ ვერ ითამაშებს კაპიტანი **ლედლი კინგი**, თუმცა გუნდი მის არყოფნას უკვე მიეჩვია. კინგს მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს და მისი დაბრუნების თარიღი უცნობია. განაცხადში არიან **ენტონი გარდნერი** და **მაიკლ დოსონი**, რომლებიც ავადმყოფობის გამო ვერ თამაშობდნენ.

"ტოტენჰემისაგან" განსხვავებით, "არსენალმა" ჩინებული სტარტი აიღო. "მეთოფეებმა" ოთხ თამაშში მხოლოდ ორი ქულა გაანიავეს და მეორე ადგილი უკავიათ. ეს იმ დროს, როცა ზაფხულში "არსენალი" თავის სიმბოლოს, ანრის გამოეთხოვა, რის გამოც უცილობელ კრიზისს უწინასწარმეტყველებდნენ. **ფილიპ სენდეროსი** დისკვალიფიცირებულია. გამოჯანმრთელდა ახალგაზრდა მცველი **ბაკარი სანია**. მას ზურგის ტრავმა აწუხებდა. **იენს ლემანს** იდაყვი ისევ აწუხებს. ძირითადში **მანუელ ალმუნიას** ვიხილავთ. **ვილიამ გალასი** საზარდულის, ხოლო **ემანუელ ებუე** კოჭის ტრავმებს იშუშებენ.

"არსენალის" განწყობაზე დადებითაც იმოქმედებს ისიც, რომ სანაკრებო პაუზისას **არსენ ვენგერმა** ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის კლუბის მეორე ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამშრომელი გახდა. მოსიე არსენს კვირაში 75 ათას გირვანქას გადაუხდიან. მასზე მეტს მხოლოდ კაპიტანი ვილიამ გალასი იღებს (კვირაში 80 ათასი)...

რთული მატჩი აქვს "მანჩესტერ იუნაიტედს". ის სტუმრად მესამე ადგილზე მყოფ "ევერტონს" ეთამაშება. **კრისტიანო რონალდომ** სასჯელი მოიხადა და სამმატჩიანი პაუზის შემდეგ ძირითადში ითამაშებს. **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდებს მინი-კრიზისის დაძლევა მართებთ. კრიზისი პირველ ტურებში განიავებულმა ქულებმა წარმოშვა. მიზეზი ის იყო, რომ გუნდს ჯოჯოხეთურად უჭირდა გოლების გატანა. "მენიუმ" ხუთ თამაშში მხოლოდ სამ გოლს და რვა ქულას მოუყარა თავი. ორი კვირის წინ "იუნაიტედს" **ლუის საა** დაუბრუნდა. ფრანგმა თავდამსხმელმა "სანდერლენდთან" პირველსავე მატჩში გოლი გაიტანა. გამოჯანმრთელდა **უეინ რუნიც**. ყოფილ კლუბთან მატჩისას ის განაცხადში იქნება, თუმცა მწვრთნელი ალბათ სათადარიგოდ შემოინახავს. რონალდოსა და რუნის დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ წინა ხაზში პრობლემები უნდა გადაიჭრას. ბოლოს და ბოლოს, **კარლოს ტევესიც** გაივლის ადაპტაციას და თანაგუნდელებს შეეშველება. მაგრამ საეჭვოა, არგენტინელმა ეს "ევერტონთან" მატჩში შეძლოს. ტევესი ნაკრებთან ერთად პლანეტის მეორე ბოლოში, ავსტრალიაში იმყოფებოდა. ის გუნდს თამაშამდე 48 საათით ადრე დაუბრუნდა. რა თქმა უნდა, დაღლილია და დღეს მისგან სასწაულებს არავინ ელის. სანაკრებო შეკრებებიდან დაშავებულები დაბრუნდნენ **დარენ ფლეტჩერი** და **ჯონ ოში**. მათ დღევანდელი მატჩი გაუცდებათ.

"ევერტონზე" იმას მოგახსენებთ, რომ კლუბი ამ სეზონსაც დიდი ამბიციებით შეეგება. ლივერპულელები გათამაშების ერთ-ერთი ლიდერები არიან. მათ თანაქალაქელი "ლივერპულისა" და "არსენალისაგან" მხოლოდ ბურთების უარესი ბალანსი განასხვავებთ. მთავარი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** საკადრო პრობლემებს ვერ გაექცა. ამერიკა-ბრაზილიის ამხანაგური მატჩისას მეკარე **ტიმ ჰოვარდმა** თითი მოიტეხა და "ეშმაკებთან" (მისი ყოფილი კლუბია) ვერ ითამაშებს. მის ადგილს გერმანელი **შტევან ვესელსი** დაიკავებს. საეჭვოა "გუდისონ პარკზე" დაბრუნებული ნახევარმცველის, **ტომას გრავესენის** ასპარეზობაც. ვეტერან დანიელს მუხლი აქვს გასიებული...

"ლივერპულის" თავკაცი **რაფა ბენიტესი** ძალიან უკმაყოფილოა. მას პრემიერლიგის თამაშების განრიგი არ მოსწონს. დღეს მერსისაიდელები "პორტსმუთს" ნაშუადღევს ესტუმრებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკრებებიდან დაბრუნებულ ფეხბურთელებს ძალების აღდგენის დრო ფაქტობრივად არ ჰქონიათ: *"ისინი ხუთშაბათ საღამოს ჩამოვიდნენ. ერთადერთი, რაც მოვასწარით, ის იყო, რომ უბურთოდ ვირბინეთ, მერე კი ყველა სახლში გავუშვი. ასეთ პირობებში ხარისხიან მომზადებაზე საუბარი ზედმეტია. გუნდის ფიზიკური და მენტალური მზადყოფნა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას."*

სენიორ რაფა **ჯეიმი კარაგერის** დაბრუნებას ელოდება. გამოცდილმა ცენტრალურმა მცველმა ორი მატჩი გამოტოვა, რადგან ნეკნი ჰქონდა გატეხილი. **სტივ ჯერარდმა** გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მან ორი სანაკრებო მატჩი ისე ჩაატარა, რომ ტრავმა არ გართულებია. უფრო მეტიც, ტკივილგამაყუჩებელი ნემსის გაკეთებაც კი არ გახდა საჭირო. ასე რომ, კაპიტანი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

"პორტსმუთს" ორი წამყვანი ფეხბურთელი უბრუნდება. მცველი **სოლ კემპბელი** საზარდულის ტრავმისაგან განიკურნა, თავდამსხმელ **ბენჯანი მვარუვარის** კი კისერი აღარ აქვს გაშეშებული. სენეგალელი ახალწვეული **პაპა ბუბა დიოპი** დებიუტისათვის ემზადება...

ორიოდ სიტყვას "ჩელსისა" და "ბლექბერნის" მატჩზეც მოგახსენებთ. "არისტოკრატებს" ფავორიტთაგან ყველაზე იოლი თამაში აქვს, რა თქმა უნდა, თუ "ბლექბერნი" იოლ მეტოქედ შეიძლება ჩაითვალოს. **ჟოზე მოურინიომ** უნდა გადაწყვიტოს, გარისკოს თუ არა **დიდიე დროგბა**. 29 წლის თავდამსხმელმა აღიარა, რომ მინდორზე გასასვლელად მზად არ არის. ორი კვირის წინ "ასტონ ვილასთან" მატჩისას (0:2) მას მუხლის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. დროგბას კოტ დივუარის ნაკრების შეხვედრაც გაუცდა. მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მკურნალობის გაგრძელება - აუცილებელი.

დროგბას გარდა, ვერ ითამაშებენ **ფრენკ ლემპარდი, მიხაელ ბალაკი, რიკარდო კარვალიო** და **უეინ ბრიჯი**. **ანდრეი შევჩენკო** განაცხადშია, სხვათა შორის, პირველად ამ სეზონში. "ბლექბერნი" **როკე სანტა კრუსის** სამედიცინო შემოწმების შედეგს ელის. მის გარდა, **ბენი მაკარტი** და **აარონ მოკოენაც** მწყობრში უნდა ჩადგნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| 2. არსენალი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 3. ევერტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 4. ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| 5. მანჩესტერ ს | 5 | 3 | 0 | 2 | 4-2 | 9 |
| 6. ნიუკასლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 7. ბლექბერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| 8. მანჩესტერ იუნ | 5 | 2 | 2 | 1 | 3-2 | 8 |
| 9. ვიგანი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| 10. ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 11. ასტონ ვილა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 12. მიდლსბრო | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 13. პორტსმუთი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |
| 14. ტოტენჰემი | 5 | 1 | 1 | 3 | 8-8 | 4 |
| 15. ფულჰემი | 5 | 1 | 1 | 3 | 8-10 | 4 |
| 16. ბირმინგემი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 17. სანდერლენდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 18. რედინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-8 | 4 |
| 19. ბოლტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-10 | 3 |
| 20. დერბი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-15 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. III ტურის წინ

# ადრიანო: ღამის კლუბიდან ძირითადში?

**დღეს**

სიენა-მილანი
ლაციო-ემპოლი

**ხვალ**

იუვენტუსი-უდინეზე
რეჯინა-რომა
ინტერი-კატანია
ფიორენტინა-ატალანტა
ნაპოლი-სამპდორია
პალერმო-ტორინო
ჯენოა-ლივორნო
პარმა-კალიარი

სერია A-ს მესამე ტური სანაკრებო დღეებს მოსდევს. იტალიის ეროვნულმა გუნდმა, ასე თუ ისე, წარმატებით ჩააბარა ორი სასექტემბრო გამოცდა და ახლა, ფეხბურთელები შინაურ ფრონტზე უფრო მეტი ხალისით გადაერთვებიან. შაბათს, "მილანი" სიენაში ითამაშებს. ვიდრე საკადრო და სხვა ამბებზე ვიტყოდეთ, ისიც უნდა გაცნობოთ, რომ ტოსკანური კლუბის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა სპონსორის მოთხოვნა და სტადიონს "მონტეპასკი არენა" უწოდა. "მონტეპასკი" "სიენის" მთავარი დამფინანსებელია. როგორც იცით, ამავე სახელწოდებას ატარებს ქალაქის საკალათბურთო გუნდიც. ასე რომ, უეფას ყოფილი პრეზიდენტის **არტემიო ფრანკის** სახელს ახლა მხოლოდ ფლორენციის სტადიონი ატარებს...

რაც შეეხება წინასამატჩო სიტუაციას. **კარლო ანჩელოტი** სიენაში ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშებს. ეს მისი საგარეო მოდელია. სავარაუდოდ, თავდასხმაში იქნება **ალბერტო ჯილარდინო**, ხოლო **ფილიპო ინძაგის** მწვრთნელი "ბენფიკასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის შემოინახავს. ჯილარდინოს უკან **კაკა** და **კლარენს ზეედორფი** განლაგდებიან. თუ არ ჩავთვლით **რონალდოს, სერჟინიოსა** და **პაოლო მალდინის** ტრავმებს, რასაც ანჩელოტი უკვე შეჩვეულია, "როსონერის" სერიოზული დანაკლისი არ აქვს. **კახა კალაძე** ძირითადში მოიაზრება.

"სიენის" მწვრთნელი **ანდრეა მანდორლინი** კი 4-3-3-ით აპირებს თამაშს. მანდორლინის სითამამე აღფრთოვანებას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ტოსკანელთა ფორვარდები, **მასიმო მაკარონე** და **მარიო ფრიკი**, ფორმაში არიან, მოსალოდნელია, რომ მწვრთნელი ორივეს ძირითადში გაამწესებს. შესაბამისად, სკამზე დარჩება **ენრიკო კიეზა**. როგორც ჩანს, ვეტერანს ასაკი უკვე ხელს უშლის. თუმცა "სიენისთვის" ის მაინც ფასეულ ძალად რჩება. სერიოზული დანაკლისი იქნება გამოცდილი მცველის **ვალერიო ბერტოტოს** არყოფნა. აქვე გავიხსენოთ, რომ "მონტეპასკი არენაზე" წინა სეზონის შეხვედრა დრამატულად წარიმართა და სტუმართა გამარჯვებით 4:3 დასრულდა. სხვათა შორის, ეს იყო რონალდოს პირველი მატჩი "მილანის" შემადგენლობაში. და მარტო ეს არა - "კიჟამ" დუბლიც მიითვალა. ამჯერად, "მილანს" მის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა.

შაბათსვე, "ლაციო" "ემპოლის" მასპინძელი იქნება. ამ გუნდებს ჯერ არ გაუმარჯვიათ. "ბიანკოჩელესტეს" ორიდან ორი ფრე აქვს ნათამაშები, შარშანდელის სეზონის აღმოჩენად მონათლულმა "ემპოლიმ" კი ორივე სასტარტო შეხვედრა დათმო. **დელიო როსის** თითო დანაკლისი აქვს დაცვასა და ნახევარდაცვაში, შესაბამისად, **სებასტიანო სივილიასა** და **სტეფანო მაურის** სახით. რაც შეეხება "ემპოლის", "გაძეტა დელო სპორტი", უკვე მერამდენედ, ჯიუტად წერს, რომ ტოსკანურ კრებულს ტრავმის გამო არ ეყოლება **ლევან მჭედლიძე**. ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი მართლაც ტრავმირებულია, მაგრამ თუ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს ვენდობით, მჭედლიძე პირველი გუნდის შემადგენლობაში არ ფიგურირებს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

კვირის მატჩებიდან ყურადღების ცენტრში იქნება მატჩები ლიდერთა მონაწილეობით. "იუვენტუსი", რომელსაც ორ ტურში ჯერ არაფერი დაუკარგავს, "უდინეზეს" მიიღებს. ფრიულური კლუბი "ბებერი ქალბატონისთვის" ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო და, ალბათ, გამონაკლისი არც ეს თამაში იქნება. ამ სეზონში უდინელთა აქტივშია ფრე ჩემპიონატის სასტარტო მატჩში "ინტერის" წინააღმდეგ, თანაც "სან სიროზე". თუმცა მეორე ტურში "ნაპოლისთან" შინ 0:5-ზე დამარცხებით, **პასკულე მარინოს** კრებულმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა. ტურინის "ოლიმპიკოზე" სტუმარი შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს. ტრავმების გამო არ იქნებიან **კრისტიან ობოდო, ჯამპიერო პინცი, რაფაელე დე მარტინო** და **დიას ფელიპე**. სამაგიეროდ, ითამაშებს ფორვარდი **ანტონიო დი ნატალე**, რომელმაც ოთხშაბათს კიევში დუბლი გააკეთა და "იუვესთან" პრინციპულ დაპირისპირებას კარგ ხასიათზე ხვდება. დანაკლისი აქვს "იუვენტუსსაც". "კალიარისთან" მატჩში გაძევების გამო, **ჯონათან ზებინას** ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მის ადგილს **ალესანდრო ბირინდელი** დაიკავებს.

ასევე უდანაკარგოდ მყოფი "რომა" რეჯოკალაბრიაში ჩადის, სადაც გასულ ჩემპიონატში 1:0 წააგო. მაგრამ ეს "რეჯინა" შარშანდელზე შედარებით სუსტია და, წესით, "რომას" რევანშის აღება დიდად არ უნდა გაუჭირდეს. **მასიმო ფიკადენტის** გუნდს ორიდან ორი ფრე აქვს. გუნდები საბრძოლო შემადგენლობებით ითამაშებენ. მოსალოდნელია, რომ **ლუჩანო სპალეტი** მარჯვენა მცველად ახალწვეულ **სისინიოს** დააყენებს.

"ინტერი" ულაპარაკო ფავორიტია "კატანიასთან" საშინაო მატჩში, რომელშიც **რობერტო მანჩინიმ**, შეიძლება, სიურპრიზი შემოგვთავაზოს. გაჩნდა ინფორმაცია, რომ "ნერაძურის" მწვრთნელი თავდასხმაში **ადრიანოსა** და **ხულიო კრუსის** ტანდემს გაამწესებს. ერთი მხრივ, ეს ლოგიკურია, რადგან ამის საშუალებას მეტოქე იძლევა, და პლუს ამას, **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** სანაკრებო მატჩების შემდეგ და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სტარტის წინ დასვენება სჭირდება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ გასულ უიქენდზე **ადრიანო** კიდევ ერთხელ შეამჩნიეს მილანის რომელიღაც ღამის კლუბში. ეს ინფორმაცია "კვოტიდიანომ" დაბეჭდა, თუმც რამდენად მართალია, ამაზე ჩვენ ნამდვილად ვერ დავდებთ თავს. იმას კი წყალი არ გაუვა, რომ ტრავმების გამო "ინტერს" სამი მცველი არ ეყოლება: **მარკო მატერაცი, კრისტიან კივუ** და **ვალტერ სამუელი**. მცველი "კატანიასაც" ჰყავს ტრავმირებული - **ანდრეა სოტილი**. დაშავებულები არიან ნახევარმცველი **ჯუზეპე კოლუჩი** და იაპონელი ფორვარდი **ტაკაიუკი მორიმოტოც**.




მანჩინი და ადრიანო

წესითა და რიგით, საინტერესო თამაში უნდა გამოვიდეს ფლორენციაში, სადაც "ატალანტა" ჩადის. ორივე გუნდს თითო მოგება და ფრე აქვს. გასულ წელს "იებმა" ბერგამოელებს დამაჯერებელი ანგარიშით, 3:1 სძლიეს. მართალია, "ფიო" ფავორიტია, მაგრამ მეტ-ნაკლები ალბათობით დღეს ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი. წინა ტურიდან გამომდინარე, იტალიელი მიმომხილველები გუნდებში მცირე კორექტივებს წინასწარმეტყველებენ. ასე მაგალითად, **ჩეზარე პრანდელიმ**, შეიძლება, ძირითადში დააყენოს **ზლატკო კუჟმანოვიჩი**, რომელიც **ფაბიო ლივერანის** შეცვლის. სერბმა ნახევარმცველმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა "მილანთან" დაპირისპირებაში და ბოლო წუთზე ცოტა რომ გამართლებოდა, "ფიორენტინა" "სან სიროდან" სამ ქულას წაიღებდა.

"სამპდორიის" თავკაცი **ვალტერ მაძარი** ვერც ამჯერზე მოახერხებს **ანტონიო კასანოს** ძირითადში დაყენებას. კასანომ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ახლა მკურნალობის პროცესს გადის. გენუელები ნეაპოლში ითამაშებენ, ნეაპოლი კი **ვინჩენცო მონტელას** მშობლიური ქალაქია. იქნება მონტელა ძირითადში? ალბათ, არა. მაძარი **კლაუდიო ბელუჩისა** და **ანდრეა კარაჩოლოს** წყვილს ჯერ არ შეცვლის, ისევე, როგორც მისი კოლეგა **ედოარდო რეია**, რომელიც უდინური 5:0-ის შემდეგ, წინა ხაზზე კვლავ **ეზეკილ ლავეცისა** და **მარსელო სალაიეტას** იმედად იქნება.

მოკლედ დარჩენილ სამ მატჩზეც. "პალერმოსა" და "ტორინოს" მატჩში მასპინძელს ოთხი საჭირო მოთამაშე დააკლდება. "ჯენოა" მიიღებს "ლივორნოს", რომლის მწვრთნელი **ფერნანდო ორსი**, ზედიზედ მესამე მარცხის შემთხვევაში, შეიძლება, უმუშევარი დარჩეს. საკუთარ მოედანზე პირველ გამარჯვებას გეგმავს "პარმა", რომელიც "კალიარის" მასპინძლობს. პარმელთა რიგებში მოსალოდნელია ინგლისიდან დაბრუნებული თავდამსხმელის **ბერნარდო კორადის** დებიუტი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-3 | 6 |
| 2. რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 3. მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4. ფიორენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 5. ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6. ატალანტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 7. სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8. ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |
| 9. კალიარი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 10. პალერმო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 11. ტორინო | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 12. რეჯინა | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 13. კატანია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 14. ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 15. პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 16. ჯენოა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 17. უდინეზე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| 18. სიენა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 19. ემპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 20. ლივორნო | 2 | 0 | 0 | 2 | 3-9 | 0 |

ინციდენტი

# სკოლარი ბოდიშს იხდის

## პორტუგალიელი მიმომხილველები ამბობენ, ბრაზილიელ მწვრთნელს, შეიძლება, კარისკენ მიუთითონ...

პორტუგალია-სერბეთის მატჩის (1:1) მიწურულს მომხდარმა ინციდენტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ჩხუბში ჩაება და მეტოქის ნახევარმცველ **ივიცა დრაგუტინოვიჩს** ხელიც კი მოუღერა. მწვრთნელისაგან ასეთი საქციელი ყოვლად მიუღებელი გახლავთ. უეფამ და პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოძიების ჩატარება გადაწყვიტეს. თუ დამტკიცდება, რომ სკოლარი სერბ ფეხბურთელს თავს დაესხა, თანამდებობიდან გათავისუფლება არ ასცდებაო, წერს პორტუგალიური პრესა. უეფა კი მას დისკვალიფიკაციასა და ფინანსურ სასჯელს შეუფარდებს.



ლუიშ ფელიპე სკოლარი ჩხუბის დროს

სეუ სკოლარიმ მომხდარის გამო მწუხარება გამოთქვა და საჯაროდაც მოიხადა ბოდიში. აი, რა განაცხადა მან საგანგებო პრესკონფერენციისას: *"მე კვარეშმას დაცვას ვცდილობდი. ის (დრაგუტინოვიჩი) ჩემ წინ აღიმართა, მაგრამ არ შევხებივარ. მას კვარეშმასათვის ხელის ჩარტყმა სურდა. მე კი ჩემს ფეხბურთელს გადავეფარე. ის თუ (დრაგუტინოვიჩი) ამბობს, რომ შევეხე, უსირცხვილოდ იტყუება. ეს ყველაფერი იმ დროს მოხდა, როცა კვარეშმა მსაჯისაკენ გაემართა, სერბმა ფეხბურთელმა კი მას გზა გადაუღობა. თუ უეფა ახსნა-განმარტებებს მომთხოვს, დაუყოვნებლივ გამოვცხადდები მის შტაბბინაში და ყველაფერს დაწვრილებით მოვახსენებ. პორტუგალიას ბოდიშს ვუხდი. ეს ჩემი მეორე სამშობლოა. ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, მაგრამ ხანდახან ასეთი რამ რაციონალურ და მოაზროვნე ადამიანებსაც ემართებათ ხოლმე. კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს - ფანებს, ფეხბურთელებს და მთელ პორტუგალიელ ხალხს."*

ინციდენტის მეორე გმირი დრაგუტინოვიჩი სერბ ჟურნალისტებს გაესაუბრა. ფეხბურთელს არ დაუმალავს, რომ მომხდარმა შოკში ჩააგდო: *"ეს სერიოზული დანაშაულია. სკოლარი შემეხო. დიახ, მან ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა. მწვრთნელი ასე არ უნდა იქცეოდეს. ფედერაციის ხელმძღვანელობას შევხვდები და ერთად გადავწყვეტთ, რა მოვიმოქმედოთ. კვარეშმას ველაპარაკებოდი, როცა ეს ამბავი ატყდა. ინციდენტი ვიდეოკამერებმა გადაიღეს. ჩანაწერში ყველაფერი ნათლადაა ასახული."*

სერბეთის ნაკრების თავკაცმა **ხავიერ კლემენტემ** ჟურნალისტები დაარწმუნა, რომ ეს საქმე უეფამდე მივა: *"მეტოქე ნერვებს აჰყვა. ის შედეგით უკმაყოფილო იყო, მაგრამ გაუგებარია, მწვრთნელმა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატი აქვს მოგებული, ასეთი რამ როგორ ჩაიდინა. თუ ის საკუთარ თავს ვერ აკონტროლებს, მაშინ უმჯობესია, სხვა სამსახური მონახოს. იმედი მაქვს, უეფას სადისციპლინო კომისია სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს."*

დასასრულს შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელებს A ჯგუფში მესამე ადგილი უკავიათ. მათ 17 ქულა აქვთ, ერთი ქულით მეტი ვიდრე სერბეთს, ორი ქულით ნაკლები, ვიდრე ფინეთს და ოთხი ქულით ნაკლები, ვიდრე ჯგუფის ლიდერ პოლონეთს, თუმცა ფინეთმა და პოლონეთმა ერთი მატჩით მეტი ჩაატარეს. ასე რომ, სკოლარის შეგირდებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ჯერ არ დაუკარგავთ.

### ოუენს ახალ კონტრაქტს უმზადებენ

**სემ ელერდაისი** შეეცდება, **მაიკლ ოუენი** ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაითანხმოს. "ნიუკასლის" მწვრთნელმა ინგლისის ოთხ გრანდს ნიშნი მოუგო, ძალიან შეცდით, რომ ამ ზაფხულს ოუენი 9 მილიონად არ წაიყვანეთო. თუ მაიკლი ხელშეკრულებას არ გააგრძელებს, გაისად უფრო იაფი ეღირება - სულ რაღაც 6 მილიონი გირვანქა. მთავარია, ფეხბურთელმა ტრავმა არ მიიღოს. ელერდაისს ეჭვი არ ეპარება, რომ 27 წლის თავდამსხმელი კარიერის საუკეთესო წლებს "სენტ ჯეიმს პარკზე" გაატარებს. ტრავმებით გამოწვეული თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ ოუენმა ორ სანაკრებო მატჩში სამი გოლი გაიტანა. ელერდაისმა იცის, რომ რაც მეტს შეაგდებს, მაიკლის მსურველთა რიცხვი მით უფრო გაიზრდება: *"ყველაფერს ვილონებთ, რათა მან ისე იგრძნოს თავი, რომ "ნიუკასლიდან" წასვლა არცკი მოუნდეს. მთავარია, ჯანმრთელად იყოს. მინდა, თუ არა, რომ კარიერა აქ დაასრულოს? რა საკითხავია, რა თქმა უნდა, ძალიან მინდა."*

### ბლექბერნსაც ამერიკელი ყიდულობს

ამერიკელ მილიონერ **დენ უილიამსს** "ბლექბერნის" შეძენა უნდა. ის ვარდებს უკვე კარგა ხანია, უტრიალებს. უილიამსი მზადაა, 70 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ინგლისური წყაროები იუწყებიან, მისტერ დენმა ეს-ესაა, საკუთარ ბიზნესთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები მოაგვარა და ბრიტანეთში ჩამოსასვლელად ემზადება, რათა მოლაპარაკებები პირადად აწარმოოს. ზემოთ ხსენებული 70 მილიონიდან 45 მილიონი კლუბის აქციების შეძენაზე დაიხარჯება, 25 მილიონი კი იანვრის ტრანსფერებისას შემადგენლობის გაძლიერებაზე. **მარკ ჰიუზს** შეუძლია, მშვიდად იყოს - უილიამსი მისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებსო.

### ახალი კონტრაქტი ტოტის

რომაელმა პრეზიდენტმა **ფრანკო სენსიმ ფრანჩესკო ტოტის** ახალი კონტრაქტი შესთავაზა. სინიორ სენსიმ კაპიტანს შეატყობინა, რომ მოლაპარაკებების დაწყება სურს. მას ექვსწლიანი ხელშეკრულება აქვს გამზადებული. პირობები კი ისეთია, "ჯალოროსის" სიმბოლოს რომ ეკადრება. ტოტის დღევანდელი კონტრაქტი 2010 წელს იწურება. თუ შეთანხმება სამი წლით გახანგრძლივდება, ფრანჩესკო კარიერას "სტადიო ოლიმპიკოზე" დაასრულებს. ეს არა მხოლოდ პრეზიდენტის, არამედ მთელ "რომასა" და დედაქალაქს სურს.

### ადვოკაატი შეიძლება დარჩეს

**დიკ ადვოკაატი** შეიძლება სანკტ პეტერბურგის "ზენიტში" დარჩეს. ამისთვის მან ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოიპოვოს, ასეთია კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია. დიდი ხანია საუბარი მიდის იმაზე, რომ ჰოლანდიელმა ავსტრალიის ნაკრები უნდა ჩაიბაროს, თუმცა მათ შორის შეთანხმების მიღწევას საშველი არ დაადგა. *"ის პატიოსანი ადამიანი და მაღალი დონის სპეციალისტია. ჩვენ ვიცით, რომ ის მოლაპარაკებებს აწარმოებს ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციასთან, ამიტომ, ჯერჯერობით მას არაფერს ვთავაზობთ. თუკი ჩემპიონები გავხდებით ან ლიგის საგზურს მაინც მოვიპოვებთ, მას შეუძლია დარჩეს და მუშაობა ძველებურად განაგრძოს"*, - მოჰყავს "ზენიტის" სპორტული დირექტორის **კონსტანტინ სარსანიას** სიტყვები "სიდნი მორნინგ ჰერალდს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. III ტურის წინ

# ოსასუნასთან ლეო მესის გარეშე?

**დღეს**

**რეალი-ალმერია**
**ვალენსია-ვალიადოლიდი**
**ბილბაო-სარაგოსა**

**ხვალ**

**რასინგი-ლევანტე**
**მურსია-ატლეტიკო**
**მალიორკა-ვილიარეალი**
**დეპორტივო-ბეტისი**
**ესპანიოლი-ხეტაფე**
**სევილია-რეკრეატივო**
**ოსასუნა-ბარსელონა**

სანაკრებო პაუზის შემდეგ პრიმერა დივიზიონი მთელი ბრწყინვალებით განახლდება. მესამე ტურს გამოკვეთილი ცენტრალური შეხვედრა არ აქვს, თუმცა ამით ესპანეთის ჩემპიონატის ამ ტურს ვერ დავაკნინებთ. როგორც ყოველთვის, პირენეული ფეხბურთის გრანდების დაპირისპირებები სერიოზულ ინტერესს იწვევს. ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ყველაზე დაძაბული ორთაბრძოლა პამპლონაში გაიმართება. "ოსასუნა" "ბარსელონას" მასპინძლობს. ბუნებრივია, კატალონიელები ნავარაში მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ, თუმცა უნდა ალინიშნოს, რომ "ბარსაში" წარმოქმნილი პრობლემები დასახული მიზნის მიღწევას გარკვეულწილად ართულებს. საქმე ის არის, რომ **ლიონელ მესიმ** არგენტინის ნაკრებში მიკრო ტრავმა მიიღო. მოგეხსენებათ, "ალბისელესტე" ამხანაგური შეხვედრის გასამართად შორეულ ავსტრალიაში იმყოფებოდა. ლეოსთვის ეს მგზავრობა მეტად უიღბლო აღმოჩნდა. მას მარჯვენა ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. "ბარსელონის" ექიმები საგულდაგულო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მესის "ოსასუნასთან" თამაში სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ახალგაზრდა არგენტინელს ტრავმა არ გაურთულდეს, მაგრამ წინასწარ ამაზე თავს, რა თქმა უნდა, ვერავინ დადებს. კლუბის მთავარმა ექიმმა **ფრანკ რიიკაარდს** ურჩია, შეგირდი დაასვენოს, თუმცა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ლეო ნავარაში მაინც წაიყვანა. გამორიცხული არ არის, ის განაცხადშიც კი შეიყვანოს.

სანაკრებო შეკრებიდან **რონალდინიო** და **რაფა მარკესიც** გადაღლილები და მიკრო ტრავმებით დაბრუნდნენ. აღსანიშნავია, რომ მათ თავიანთი ეროვნული გუნდების მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს. "ბარსას" ექიმებმა მექსიკელსა და ბრაზილიელს მასაჟის სპეციალური კურსის ჩატარება დაავალეს. ფეხბურთელებმა მითითება უსიტყვოდ შეასრულეს. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, გაუჩო ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს. მარკესი კი მეგობრებს დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება. შეგახსენებთ, "ბილბაოსთან" მატჩში ოკეანისგაღმელი წითელი ბარათით დასაჯეს. სავარაუდოა, რომ ფრანკ რიიკაარდი მესამე ტურის მატჩის განაცხადში **ჯოვანი დოს სანტოსს** კვლავ შეიყვანს. უფრო მეტიც, კატალონიელი ჟურნალისტების მტკიცებით, ეს პატივი 17 წლის **ბოიან კრკიჩსაც** ექნება. თინეიჯერი ფორვარდი არ მალავს, რომ პრიმერადივიზიონურ დებიუტს მოუთმენლად ელის: *"თუ სენიორ რიიკაარდი მოედანზე შემიშვებს, დედამიწაზე ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიქნები. 17 - წლამდელთა ნაკრებში შესანიშნავად ვითამაშე, მაგრამ გულუბრყვილო არ ვარ და ვაცნობიერებ, რომ "ბარსელონა" სულ სხვა დონის გუნდია და შესაბამისად გაცილებით მაღალი დონის ტურნირებშიც ასპარეზობს. ცხადია, ძირითადში მოხვედრის პრეტენზია არ გამაჩნია. ამ ეტაპზე რამდენიმე წუთითაც დავკმაყოფილდები. მთავარია, მწვრთნელი მენდოს და საშუალება მომცეს პრიმერა დივიზიონში პირველი შეხვედრა ჩავატარო."*

"ბარსელონის" მსგავსად სანაკრებო შეხვედრებმა "რეალსაც" სერიოზული თავსატეხი გაუჩინა. ვიუწყებოდით, რომ ალბანეთში გამგზავრებამდე **ვესლი სნეიდერმა** ტერფის ტრავმა მიიღო. მადრიდელები შიშობდნენ, რომ ახალწვეული "ალმერიასთან" თამაშს ვერ შეძლებდა. კაცმა რომ თქვას, საამისო ალბათობა კვლავ არსებობს, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ სნეიდერი დღეს გაცილებით უკეთ გრძნობს თავს. ჰოლანდიელმა პარასკევის ვარჯიში სანახევრო დატვირთვით ჩაატარა. **ბერნდ შუსტერისათვის** საბედნიეროდ, მის შეგირდს ფეხი არ ასტკივებია. დღეს დილით, ვესლის საბოლოო სამედიცინო ტესტს ჩაუტარებენ. თუ ყველაფერი რიგზე იქნება, ბუნებრივია კვლავ ძირითადში მოხვდება და მორიგი გოლის გატანას შეეცდება. მიკრო ტრავმებს **სერხიო რამოსი** და **იკერ კასილიასიც** ვერ გაექცნენ. ესპანეთის ნაკრებში ჩატარებულმა შეხვედრებმა მათი ჯანმრთელობა უმნიშვნელოდ შეარყია. თუმცა ისიც ითქვა, რომ ცენტრალურ მცველსა და ძირითად მეკარეს სერიოზული არაფერი აწუხებთ. თუ ტკივილი მატჩამდე არ გაუვლით, მაშინ გამაყუჩებელ ინექციას გაუკეთებენ და წარმატებებს უსურვებენ.

"ატლეტიკოს" ასეთი ცუდი სტარტი მას შემდეგ არ ჰქონია, რაც სეგუნდა დივიზიონიდან პრიმერაში დაბრუნდა. და ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ დედაქალაქური კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის წინ ტრანსფერებში კოლოსალური თანხა დახარჯა. გულშემატკივრები **ხავიერ აგირეს** უკვე აგრესიული მზერით უყურებენ და კატეგორიულად ითხოვენ, რომ მექსიკელმა სპეციალისტმა სათამაშო სტრატეგია შეცვალოს. აგირეს ისლა დარჩენია, საზოგადოების წინაშე თავი იმართლოს: *"ძიების პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. გათამაშების ცხრილში ჩახედვისას უმალ მიხვდები, რომ "ატლეტიკოს" მისთვის არაბუნებრივი ადგილი უკავია. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა სიტუაცია უმცირეს დროში გავაუმჯობესოთ. მომდევნო ტურის შეხვედრაში სულ სხვა გუნდს იხილავთ. ვარჯიშებზე მრავალი ახალი ტაქტიკა გამოვცადეთ. ასე რომ, "მურსიას" სერიოზულ სიურპრიზს შევთავაზებთ. დარწმუნებული გახლავართ, შინ სამი ქულით დავბრუნდებით."*

აგირეს ალბათ, ის აგულიანებს, რომ გასვლითი შეხვედრის წინ საკადრო პრობლემებს არ აწყდება. "როხიბლანკოს" წამყვანი მოთამაშეები ჩინებულად გრძნობენ თავს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. მალიორკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ვალიადოლიდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5. მურსია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| 7. ალმერია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 8. ვილიარეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 9. ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 10. ბეტისი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 11. რეკრეატივო | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 12. რასინგი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 13. ოსასუნა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 14. სარაგოსა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15. ესპანიოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16. ატლეტიკო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 17. ბილბაო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 18. ხეტაფე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 19. დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 20. ლევანტე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |



როისტონ დრენტე და ვესლი სნეიდერი

# ნარინჯისფერი რევოლუცია

## ჰოლანდიელები სამეფო კლუბის დროშის ქვეშ

**ამ ზაფხულამდე, "რეალის" 105-წლიანი ისტორია მხოლოდ სამ ჰოლანდიელ ფეხბურთელს იცნობდა, რომელთაც სამეფო კლუბში უთამაშიათ. წლევანდელი აგვისტოს ფანჯრისას მადრიდელებმა სამი "ნარინჯისფერი" შეიძინეს ჯერ როისტონ დრენტე და ვესლი სნეიდერი, ხოლო მოგვიანებით არიენ რობენიც. მადრიდში ერთბაშად ოთხმა ჰოლანდიელმა მოიყარა თავი. ახალწვეულებს ესპანეთის დედაქალაქში რუუდ ვან ნისტელროი დახვდათ.**

"რეალის" პირველი ჰოლანდიელი ლეგიონერი მეოთხედი საუკუნის წინათ **ჯონ მეტგოდი** იყო. ის მაშინ 24 წლის გახლდათ და ნაკრებში გამოსვლის ოთხწლიანი სტაჟი ჰქონდა. ამ ფეხბურთელმა სახელი 80-იანი წლების "ალკმაარში" მოიხვეჭა, მაშინ, როცა მოკრძალებულ კლუბთან ერთად 1981 წლის უეფას თასის ფინალში ითამაშა. იქ კი, ორი მატჩის ჯამში, ინგლისურ "იფსვიჩთან" ვერას გახდა - 4:2, 0:3. ჯონისა და მისი თანაგუნდელების წარმატებებით აღფრთოვანებულმა სამეფო კლუბმა, კერძოდ პრეზიდენტმა **ლუის დე კარლოსმა**, ჰოლანდიელები სანტიაგო ბერნაბეუს თასზე დაპატიჟა. სტუმრებმა მიწვევა მიიღეს და ტურნირის ფინალშიც გაალწიეს, სადაც **ვუიადინ ბოშკოვის** გუნდს ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს. მასპინძელმა მხოლოდ პენალტების სერიაში მოახერხა თასის მოგება, უშუალოდ თამაშით კი ვერაფრით აჯობა დაცვას, სადაც, რა თქმა უნდა, მეტგოდი გამოირჩეოდა. ერთი წლის შემდეგ "ბერნაბეუ" უკვე ჯონის საშინაო არენად გადაიქცა. იქ გატარებულმა ორმა წელიწადმა ჰოლანდიელსა და მის ახალ კლუბს სახელი დიდად ვერ გაუთქვა, **ალფრედო დი სტეფანოს** განვრთნილმა კლუბმა ვერაფერი მოიგო და მადრიდელთა ლეგენდამ სამწვრთნელო სკამი **ამანსიო ამაროს** დაუთმო. ამარომ აღარ მოისურვა მეტგოდთან თანამშრომლობა და ფეხბურთელი დაუფიქრებლად გაუშვა ნისლიან ალბიონზე, "ნოტინგემ ფორესტში". მიუხედავად იმისა, რომ ჯონმა "რეალში" სწორედ იმ პერიოდში იასპარეზა, როცა კლუბს არცთუ საუკეთესო დროება ედგა, მას დღემდე კეთილად იხსენებენ. 86 თამაშში მან 7 გოლი გაიტანა. 1994 წლიდან დღემდე, ანუ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, მეტგოდი "ფეიენოორდში" მუშაობს. სულაც არაა შემთხვევითი, რომ ესპანელმა ჟურნალისტებმა მადრიდელთა დრენტეთი დაინტერესების შემდეგ კომპეტენტური კომენტარისთვის სწორედ ექსრეალელს მიმართეს.

მომდევნო "ნარინჯისფერი" "რეალში" მთელი 12 წლის დაგვიანებით გამოჩნდა. 1996 წელს **ფაბიო კაპელომ**, ჩაიბარა რა სამეფო გუნდი, **შუკერისა** და **მიატოვიჩის** გარდა, 20 წლის **კლარენს ზეედორფის** ყიდვაც მოითხოვა. ეს ის ზეედორფი იყო, რომელმაც ერთი წლით ადრე, 1995 წელს, დონ ფაბიოს ჩემპიონთა ლიგის ფინალში უამრავი თავსატეხი გაუჩინა. კლარენსმა მადრიდში სამი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ითამაშა. მას კაპელოსთან მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა პირველივე, თანაც საჩემპიონო სეზონის დასრულების შემდეგ, იტალიელი "მილანში" დაბრუნდა. ზეედორფის მომდევნო დამრიგებელი თანამემამულე **გუუს ჰიდინკი** იყო. მიუხედავად ამისა, ოსტატსა და შეგირდს საუკეთესო ურთიერთობა არ ჰქონიათ. ჰიდინკმა მადრიდში სეზონიც კი ვერ ჩაამთავრა და ადგილი უელსელ **ჯონ ტოშაკს** დაუთმო. ამაზეა ნათქვამი, ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო. მათს ურთიერთობას ძნელია, ნორმალური უწოდო. აი, ნაწყვეტი ზეედოფის ავტობიოგრაფიული წიგნიდან: *"ტოშაკმა მოთამაშეთა ტრანსფერებით დიდი ფული გააკეთა, მაგალითად, ჯერემისა და ელვირ ბალიჩის ყიდვისას. ეს ვიცი ძალიან კარგად ინფორმირებული წყაროსგან. ის ჩემი დიდი მეგობარი და ცნობილი ფეხბურთელია. ამიტომ მის სახელს ვერ დავასახელებ. მან დამარწმუნა, რომ ბრიტანელი მთელ ამ სიბინძურეში აქტიურად იყო ჩართული."* კლარენსს "რეალში" ყველასთან კონფლიქტი ჰქონდა. ამიტომ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და ის მილანის "ინტერს" 25 მილიონად მიჰყიდა.

გარდა ფეხბურთელებისა, "რეალში" ჰოლანდიელ მწვრთნელებსაც უმოღვაწიათ - უკვე ხსენებულ გუუს ჰიდინკსა (1998) და **ლეო ბეენჰაკერს** (1986-89, 1991). ამ უკანასკნელმა "რეალი" 1986 წლის სანაკრებო წარუმატებლობის შემდეგ ჩაიბარა. შეგახსენებთ, რომ მან ჰოლანდიის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა. ლეო პირენეებზე დებიუტანტი არ ყოფილა. მანამდე ის "სარაგოსას" ხელმძღვანელობდა. ბეენჰაკერმა "რეალში" ზეწარმატებული სამი წელიწადი გაატარა, მოიგო რა სამი ჩემპიონატი ზედიზედ. 1991 წელს ის ისევ დაბრუნდა კლუბისთვის უმძიმეს პერიოდში და ისევ წარმატებულად - გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანა.

1998 წელს ლორენსო სანსმა გადაწყვიტა, გაეცა ადეკვატური პასუხი "ბარსელონისა" და **ლუის ვან გაალისთვის**. მან გუნდის თავკაცად ჰიდინკი დანიშნა. "რეალში" მაშინაც განსაკუთრებული სიტუაცია იყო. მადრიდელებმა წინასასეზონო მზადება **ხოსე ანტონიო კამაჩოსთან** ერთად დაიწყეს, თუმცა დანიშვნიდან ერთი თვის თავზე ესპანელი გადადგა. ჰიდინკს ბეენჰაკერთან ორი რამ ჰქონდა საერთო: "რეალში" ნაკრებში მუშაობის შემდეგ მივიდა და ესპანურ ჩემპიონატში არც ის იყო ახალი კაცი - 90-იანების დასაწყისში "ვალენსიაში" საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა. მაგრამ მადრიდში ვერაფერს გახდა. ჰიდინკის სუსტი მუშაობით აღშფოთებულმა პრეზიდენტმა 1999 წლის იანვარში მას კარისკენ მიუთითა.

2006 წელს მადრიდში დიდი დაბრუნება შედგა. გუნდში ფაბიო კაპელო მოვიდა. სასურველი ფეხბურთელების სიაში ისევ აღმოჩნდა ჰოლანდიური გვარი: **რუუდ ვან ნისტელროი**. 30 წლის ფორვარდი იტალიელისთვის იდეალური კანდიდატურა იყო შეტევის გასაძლიერებლად. კაპელოს ალღომ არც ამჯერად უღალატა. მისმა რჩეულმა სეზონში 25 გოლი გაიტანა და "პიჩიჩის" ტიტული მოიპოვა. ვან ნისტელროიმ გაზეთ "ასის" ინტერნეტგამოკითხვაში შემდეგ კატეგორიებში გაიმარჯვა: "წლის ტრანსფერი", "წლის მოთამაშე", "წლის თავდამსხმელი", "წლის გოლი". კომენტარი, ვგონებთ, ზედმეტია. **რამონ კალდერონმა** თავდამსხმელის გმირობებით აღფრთოვანებულმა ერედივიზიონს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო და შემადგენლობის გასაძლიერებლად 41 მილიონი სწორედ ჰოლანდიელებში დახარჯა - **როისტონ დრენტე** და **ვესლი სნეიდერი** "რეალს" სწორედ ამდენი დაუჯდა.

დრენტე ძალიან ნიჭიერია, ამის უარყოფა ძნელია. მიუხედავად "ფეიენოორდის" ყოვლად უსახური სეზონისა, მან იმდენად შთამბეჭდავად ითამაშა, რომ მსოფლიოს ყველაზე იმედისმომცემი ახალგაზრდების სიაში ადგილი ულაპარაკოდ დაიკავა. ის ღვთაებრივად გამოიყურებოდა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც, სადაც მიიპყრო კიდეც "რეალისა" და არამარტო მისი ყურადღება. ხუმრობა ხომ არაა, მადრიდელების კონკურენტები იყვნენ "ბარსელონა" და "ჩელსი". "ფეიენოორდს" სულაც არ ხიბლავდა საკუთარ მარგალიტთან განშორება, მით უფრო, რომ აპრილში მასთან ხელშეკრულება 2011 წლამდე ჰქონდა გაგრძელებული. როტერდამელთათვის მადრიდელთა წინადადებაზე უარის თქმა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. რაც შეეხება თავად მოთამაშის პოზიციას, მეგობრები, ნათესავები, კლუბის ხელმძღვანელობა, ჯონ მეტგოდი, ყველა ერთ რამეს ურჩევდა ახალგაზრდა მოთამაშეს, კიდევ ერთი წელიწადი დარჩენილიყო "დე კუიპზე", მაგრამ განა ასეთი ადვილია ცივ გონებაზე მიიღოს ფეხბურთელმა გადაწყვეტილება, როცა მას "რეალი" იწვევს? დრენტე ჯერჯერობით ამართლებს ავანსებს.

სნეიდერი სულ სხვა ისტორიაა. თანამემამულისაგან განსხვავებით, მას არასოდეს ხიბლავდა მოგზაურობა კლუბიდან კლუბში. "აიაქსს" ის სამუდამო ერთგულებას ეფიცებოდა. თუმცა მისი ნებაც მაშინ გატყდა, როცა "რეალმა" მომხიბვლელი წინადადებით მიმართა. საინტერესოც იყო ჰოლანდიის ჩემპიონატისთვის აშკარად გადაზრდილი ვარსკვლავი რამდენად გამოიჩენდა თავს უფრო პრესტიჟულ და რთულ პირველობაზე. მან ხომ ჰოლანდიის უკანასკნელ ჩემპიონატში ცენტრალური ნახევარმცველისთვის "ზედმეტად ბევრი", 20 გოლი გაიტანა. სნეიდერის დარი დებიუტი ახალ კლუბში იშვითად ჰქონია ვინმეს: 2 თამაში 3 გოლი. მას უმალ შეარქვეს ახალი **ბექჰემი**. თანაც მადრიდში ვესლიმ სწორედ ინგლისელის 23-ნომრიანი მაისურა მოირგო. წარმოიდგინეთ, რომ თავად ინგლისელი ჟურნალისტები იმდენად აღფრთოვანდნენ მისით, რომ დაწერეს, ბექჰემზე უკეთესად უკვე თამაშობსო. დაგვეთანხმეთ, სერიოზული ავანსია.

დაბოლოს, კალდერონის მადა ამ ორი ვარსკვლავით არ ამოიწურა და "ჩელსიდან" **არიენ რობენიც** გადაიბირა. რობენზე ჯერ სათქმელი არაფერი გვაქვს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ჯერ ტრავმირებულია და "რეალის" თეთრი კვართი ჯერ არ მოურგია. მაგრამ გუნდში ოთხი ჰოლანდიელის ყოლა განა ნარინჯისფერი რევოლუცია არ არის? ჰოლანდიის ქართველ გულშემატკივრებს უკვე გაუჩნდათ სერიოზული საფიქრალი. მათი საყვარელი ფეხბურთელების სიმრავლეს ისინი "ბარსელონაში" იყვნენ მიჩვეულნი. ახლა "რეალშიც" იგივე ხდება. ერთდროულად ორი ესპანური გრანდის გულშემატკივრობა კი წარმოუდგენელია. ასე რომ, მათ მძიმე არჩევანის გაკეთება მოუწევთ.



არიენ რობენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

# მიყვარს სეზონის წარმატებით დაწყება

## რეალის დამრიგებელი პრიმერაში უმთავრეს კონკურენტებად სევილიასა და ბარსელონას ასახელებს, ჩემპიონთა ლიგაში კი მილანს უფრთხის...



**ორი მატჩი, ორი მოგება... შესანიშნავი თამაში და შემტევი სტილი, რომელიც ძალიან მოსწონს გულშემატკივრებს. მადრიდის "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა გაზეთ AS-ს მოუყვა ჩემპიონატში კარგი სტარტზე, ახალ მოთამაშეებზე, წინასასეზონო შეკრებებზე და ბევრ სხვა რამეზე.**

### სეზონის წინ

"არ მომეწონა ის, თუ როგორ იყო დაგეგმილი წინასასეზონო შეკრებები, მაგრამ "რეალში" მას შემდეგ მივედი, როცა უკვე ყველაფერი გარკვეული იყო, ამიტომაც არაფრის შეცვლა არ შემეძლო. არასოდეს დავუშვებდი, რომ პირველი საწვრთნელი შეხვედრა შეკრების დაწყებიდან მეოთხე დღის თავზე ჩამეტარებინა. 10 დღის შემდეგ იყო მატჩი "ჰანოვერთან", შემდეგ მოსკოვი, "დეპორტივო"... ასევე არ მესმის, როგორ შეიძლება ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი ჩაატარო რომელიღაც საზაფხულო ტურნირის თასზე... ასეთი რამ აღარ მოხდება".

"უკეთესი იქნებოდა, სამუშაო უფრო სწრაფად რომ წასულიყო წინ, მაგრამ ჩვენ რამდენიმე მოთამაშეს ველოდებოდით, ზოგიერთებს სხვა კლუბებიდან ჰქონდათ შეთავაზებები, რაც მათ ყურადღებას უფანტავდა. მაგრამ ჰოლანდიელი მოთამაშეების მოსვლამ გუნდი გამოაფხიზლა".

"შეკრებების დროს ვღელავდი და ხანდახან დეპრესიაც კი მქონდა, ვინაიდან საკმაოდ ბევრი თამაში წავაგეთ, არადა, მე აქ მხოლოდ და მხოლოდ მოგებებისთვის ჩამოვედი. "სევილიასთან წაგებული სუპერთასის შემდეგ, მადრიდულ დერბიში გამარჯვება უდიდესი შვება იყო ჩვენთვის. ამან რამდენიმე მოთამაშეს მოტივაცია გაუზარდა, ისეთებსაც კი, რომელთა მოტივირება ძალიან რთულია. ახლა საქმეები უფრო იოლად წავა".

### სეზონის დასაწყისი

"მიყვარს სეზონის წარმატებით დაწყება და არ მომწონს შედეგების ნელ-ნელა გაუმჯობესება. მოთამაშეებზე დადებითად იმოქმედა ჩემპიონატის კარგად დაწყებამ, რადგან ისინი დარწმუნდნენ ჩვენ მიერ არჩეულის კურსის სისწორეში".

"ვილიარეალთან" მატჩის შესვენებაზე ვთქვით, რომ ვალდებული ვიყავით მეორე გოლი გაგვეტანა. არასოდეს არ უნდა იყო კმაყოფილი მიმდინარე შედეგით და უბრალოდ არ უნდა აკვირდებოდე მოვლენათა განვითარებას. ისე ჩანდა, რომ "ვილიარეალი" არაფრის დამთმობი არ იყო, მაგრამ მეორე ტაიმის კარგმა დასაწყისმა შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ჩვენ კონტრშეტევებზე ვთამაშობდით და უფრო ეფექტურები რომ ვყოფილიყავით, საბოლოო შედეგი, შესაძლოა, უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო".

"მხოლოდ თამაშის სანახაობრივ მხარეზე აქცენტის გადატანა არასაკმარისია. ჩვენ აგრეთვე ყოველდღიურად ვმუშაობთ ტაქტიკაზე. ჩემი მოთამაშეები არ ელოდებიან, როდის მიუვათ ბურთი, ისინი მას მინდორზე ეძებენ. რობინიოს, სნეიდერს, რაულსა და რუუდს ეს ძალიან კარგად გამოსდით. მოთამაშეები შესანიშნავად მოერგნენ ამ სტილს, ამასთან, ჩვენ გვყავს ისეთი მოთამაშე, როგორიც სნეიდერია, რომელიც შესანიშნავ პასებს არიგებს".

### ბალანსი

"უკვე თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ყველა ის ფეხბურთელი გვყავს, რომელიც გუნდს სჭირდება. ჰაინცეს მოსვლამ უფრო მეტი ოპტიმიზმი შეგვძინა, ის ძალიან კარგი მცველია... მეტცელდერიც ბრწყინვალე ფეხბურთელია. საერთო ჯამში, დაბალანსებული გუნდი გვყავს".

### გუნდი

**რაული.** "როცა AS-ში რაულის სიტყვები წავიკითხე იმის შესახებ, რომ მას ევრო 2008-ზე თამაში სურს, გავიფიქრე, თუ რა სასტიკია მის მიმართ ლუის არაგონესი. ჯერ კიდევ იქამდე, სანამ "რეალის" მწვრთნელი გავხდებოდი, ვთქვი, რომ შესაძლოა, რაულისთვის გუნდის შეცვლა უკეთესი ვარიანტი ყოფილიყო. მაგრამ ეს აზრი მხოლოდ იმიტომ მომივიდა, რომ რაღაც მსგავსი ჩემს კარიერაშიც ყოფილა. რუტინული სამუშაო საშინლად მაღიზიანებდა, ასეთი რამ "ბარსელონაში" თამაშისას ხდებოდა. პუბლიკაც არ იყო აღფრთოვანებული ჩემი თამაშით და აღარ უნდოდა ჩემი ხილვა. ახლა კი ვფიქრობ, რომ რაულს სიხარულის საბაბი აქვს. ჩემი სტილი მას კარგად ერგება, ისევე როგორც რუუდს ან რობინიოს. რაულმა უბრალოდ იმაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რომ თავისი თამაშისგან სიამოვნება მიიღოს".

**გუტი.** "გუტის შექმნილ გარემოსთან და გარშემო მყოფებთან ადაპტირების შესანიშნავი თვისება აქვს. ის ნებისმიერ სიტუაციას ერგება და დინების მიმართულებით მიცურავს. მის ხასიათში უეცარი გადახრები, ახალგაზრდობაში საკუთარ თავს მაგონებს, თუმცა გუტი ჩემზე ემოციურია..."

**იგუაინი.** "გასულ სეზონში ფლანგზე მისი თამაში ექსპერიმენტი იყო. ვფიქრობ, რომ ჯობია ის თავდამსხმელად გამოვიყენოთ. უნდა განვავითაროთ გონსალოს ბომბარდირული თვისებები, ეს კი, არც ისე მარტივი ამოცანაა. თუმცა მიმაჩნია, რომ ის წელს გუნდს ფლანგზეც დაეხმარება და თავდასხმაშიც".

**კასილიასი.** "ხომ ნახეთ, როგორ გამოაქვს მას "მკვდარი" ბურთები? იკერს ოსტატობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემები არ აქვს. ჩვენ ოდნავ წინ ვწევთ დაცვის ხაზს, რათა კასილიასს უფრო მეტი სივრცე მივცეთ. საერთოდ, მეკარეებს არ უყვართ, როცა თანაგუნდელები მთელი თამაში მათთან ახლოს იმყოფებიან - ეს მათ ხელს უშლის საჭირო მომენტებში თამაშში დროულად ჩართვაში".

**ახალი მოთამაშეები.** "დრენტემ "ვილიარეალთან" დაცვის მარცხენა ფლანგზე კარგად ითამაშა, მაგრამ თამაში უკეთ წავიდა, როცა მოედანზე ჰაინცე გამოვიდა და როისტონმა წინ წაიწია. დრენტე ჰოლანდიელია, მაგრამ მას თამაშის სხვა სტილი აქვს. მისი სიცოცხლით სავსე ხასიათი ხსნის იმას, თუ რატომ უგებენ ის და რობინიო ასე კარგად მოედანზე ერთმანეთს. ისინი გასახდელშიც შესანიშნავ ატმოსფეროს ქმნიან. ვან ნისტელროის ვუთხარი, რომ მან რჩევები უნდა მისცეს ახალგაზრდა ჰოლანდიელ მოთამაშეებს... ის მათ ძალიან ეხმარება".

"რობენი დიდ წარმატებებს აღწევს და ის უკვე მომავალ კვირას შეუერთდება გუნდს. ძველ ტრავმასთან დაკავშირებით, არიენს არანაირი პრობლემა აღარ დარჩა, მაგრამ ამ დაზიანების გამო, მან "ჩელსიში" წინასასეზონო შეკრებისას სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა. ამიტომაც, კიდევ მოუწევს ფიზიკური ვარჯიშების შესრულება, რათა სრულად აღიდგინოს კონდიციები".

**სნეიდერი.** "სნეიდერის გადაბირება ჯერ კიდევ მაშინ მინდოდა, როცა სეზონს სხვა გუნდში ვგეგმავდი, მაგრამ ახლა ის ჩვენთან თამაშობს. მასთან კონტრაქტის გაფორმებამდე ლეო ბეენჰაკერს ვესაუბრე, რომელიც კარგად იცნობს სნეიდერს და გავიგე, რომ ვესლი ძალიან კარგად ურტყამს კარში, როცა ის მარცხენა ფლანგზე თამაშობს".

"ბექჰემი მარჯვენა ფლანგის მოთამაშე იყო, სნეიდერს კი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელის მსგავსი დარტყმა აქვს, უფრო დიდ ტერიტორიაზე მოქმედება შეუძლია. ის ძალიან ღელავდა "ბერნაბეუზე" დებიუტის წინ, მაგრამ ბრწყინვალე ფორმა გამოავლინა და გუნდი ამისთვის მისი დიდი მადლობელია. "რეალს" არ უჭირს ახალ სტილთან შეგუება, ვინაიდან სნეიდერი ასეთ კარგ გადაცემებს არიგებს".

### ახალგაზრდული სისტემა

"მინდოდა დე ლა რედისთვის შანსის მიცემა, რადგან ის ბოლომდე ვერ შეეგუა პრიმერას რეალიებს, მაგრამ რუბენის გარდა, მე კიდევ 25 მოთამაშე მყავს და მისთვის ძალიან რთული იქნებოდა ძირითადში მოხვედრა. ამიტომაც დე ლა რედისთვის სხვა გუნდში გადასვლა უკეთესი ვარიანტი იყო. თუ ჩვენ ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც გრანერო და ადრიანი არიან, სხვა კლუბში წასვლის საშუალება მივეცით, ამით ხალხმა არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ ახალგაზრდულ სისტემას "ვკლავთ". მათი დატოვება იოლი საქმე იქნებოდა, მაგრამ რა სარგებელია იმაში, თუ ისინი მთელ სეზონს სათადარიგოთა სკამზე გაატარებდნენ? მათთვის უკეთესია, რომ პრიმერას სხვა გუნდში სათამაშო პრაქტიკა ექნებათ".

### ჩემპიონთა ლიგა

"ჯგუფში საკმაოდ ძლიერი კონკურენტები გვყავს, მაგრამ მჯერა, რომ შემდეგ ეტაპზე გავალთ. ჩვენ ვიცით, თუ რა ძლიერი შეიძლება იყოს "ვერდერი", თუმცა მათ აღარ ჰყავთ კლოზე, დამტვრეული ჰყავთ ფრინგსი. "ლაციო" მტკიცე იტალიური გუნდია... "ოლიმპიაკოსის" რიგებში ისეთი ცნობილი ფეხბურთელები გამოდიან, როგორებიც არიან გალეტი და რაულ ბრავო".

### კონკურენტები

"დარწმუნებული ვარ, რომ "სევილია" კვლავ იქნება ჩემპიონობის პრეტენდენტი, ისევე როგორც "ბარსელონა". ადრე ამ გუნდებს "ვალენსიასაც" დავუმატებდი, მაგრამ ისე ჩანს, რომ მას ახლა გარკვეული პრობლემები აწუხებს".

"ჩემპიონთა ლიგაზე ძალიან სახიფათოა "მილანი. ის ერთადერთი გუნდია, რომელსაც შეუძლია ერთი თავით მაღლა იდგეს "სევილიაზე", როგორც ეს ამასწინ, სუპერთასზე მოხდა. იტალიელებს 2 წელია პრაქტიკულად არ შეუცვლიათ შემადგენლობა, ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს. "მილანი" არ იღლება ტიტულების მოპოვებით - ეს ის გუნდია, რომელიც წლიდან წლამდე ძალიან კარგ თამაშს აჩვენებს. "ლივერპული" სიმპათიურ ფეხბურთს არ თამაშობს, მაგრამ მტკიცე და ძლიერი გუნდია და მისი დამარცხება უკიდურესად რთული იქნება. შარშანდელი სეზონის შედეგებისთვის თვალის გადავლებაც საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რამდენი უსიამოვნება ჰქონდა "ბარსელონას".

"10-ბალიანი სისტემით, "მილანი" - ათიანია, "რეალი" - 9, "სევილია" - 8. მათ შეუძლიათ დახუჭული თვალებით ითამაშონ, ჩვენ - არა. მსოფლიოს საუკეთესო გუნდის არჩევა რომ მომიწიოს, "მანჩესტერ იუნაიტედის" შეტევას და "ჩელსის" დაცვას ავიღებდი. მაგრამ ასევე მომწონს "სევილიის" აგრესიულობა".

### კაპელო

"არ ვიცი, რა გრძნობები ჰქონდა ფაბიოს სეზონის ბოლოს. მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი, ბედნიერი ვიქნებოდი ჩემპიონატის მოგების გამო და ამავდროულად ნაღვლიანი, რადგან მუშაობის გაგრძელების საშუალება აღარ მექნებოდა. მაგრამ მას იმდენად კარგად არ ვიცნობ, რომ დარწმუნებით ვილაპარაკო ამის შესახებ".

"მოგებულმა ტიტულმა გუნდს დაძაბულობა მოუხსნა, მაგრამ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა. გარკვეულ ნეგატიურ ასპექტებსაც ვხედავ, მაგრამ ეს კაპელოს მუშაობას არ უკავშირდება. ის ძალიან დისციპლინირებული მწვრთნელია. ეს, ალბათ, "გალაქტიკოების" დროის გადმონაშთია. მხედველობაში მაქვს სამწვრთნელო სესიების ზოგიერთი ასპექტები. საუბედუროდ, ახალგაზრდა მოთამაშეები იოლად ექცევიან ამ უარყოფით ურთიერთობათა გავლენის ქვეშ და ეს შეიძლება პრობლემად იქცეს. ამიტომაც, ასე მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა სწრაფად გაიარონ ადაპტაციის პერიოდი. მათ ისევე სურთ გამარჯვებები, როგორც მე. როგორც მწვრთნელს, ჯერ არაფერი მომიგია, მაგრამ აქ ამ ნაკლის გამოსასწორებლად მოვედი".

### წარსული, აწმყო და მომავალი. გერმანიის ნაკრები

"ერთხელ, "ბარსელონა" დაუკითხავად მივატოვე, რათა ნაკრებთან ერთად ბრაზილიის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მეთამაშა. კლუბი არ მიშვებდა, რადგან მომდევნო დღეს "რაიოსთან" მატჩი გველოდა, მაგრამ მე არ შემეძლო იმ შეხვედრის გამოტოვება. ბოლოს ისინი შეეგუენ იმ აზრს, რომ ერთ ტაიმს მაინც ვითამაშებდი. მატჩის შემდეგ ზეიმი გაიმართა, მე იქ არ წავედი, რადგან მომდევნო დღეს ადრე უნდა ავმდგარიყავი. და ამას სრული აბსურდი მოჰყვა. იმ ღამითვე მითხრეს, რომ არასოდეს გამომიძახებდნენ ნაკრებში, რადგან იმ ზეიმს არ დავესწარი. მინდოდა უდო ლატეკს დავლაპარაკებოდი, რათა მას ყველაფერი გამოესწორებინა, მაგრამ სატელეფონო ოპერატორმა აურია მწვრთნელისა და ჩემი მეგობრის გვარი. და მაინც, მომხდარის შემდეგ, როცა ყველაფერი ნათქვამი და გაკეთებული იყო, გერმანიის ნაკრებში აღარასოდეს მითამაშია".

### რეალი

"როცა მადრიდში ჩავედი, ვხედავდი, რომ ხანდახან, მთელი გუნდი მიცავდა. ბარსელონაში ასეთი რამ არ ყოფილა. კლუბმა მაშინვე განმიმარტა, რა იყო გუნდში ჩემი მოვალეობები. რა თქმა უნდა, ბევრის რამის სწავლა 28 წლის ასაკშიც შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან რთულია".

"ჩემი დიდი სურვილია, რომ აქ ბევრი რამ ისე მოხდეს, როგორც ინგლისშია, სადაც შენ შეგიძლია ერთი გუნდი მრავალი წლის განმავლობაში ავარჯიშო. არც კი დავფიქრდებოდი და "რეალთან" 10-წლიან კონტრაქტს მოვაწერდი ხელს, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელია ისეთ ქვეყნებში, როგორებიც ესპანეთი ან გერმანიაა. აქ არ არსებობს მომავალი განვითარების ფუნდამენტი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

# რატომ ვერ იყიდა ვენგერმა გორდონი?

## ლემანი მეთოფეების ძირითადი მეკარე აღარ არის...

დღეს "არსენალი" "ტოტენჰემს" ეთამაშება. ცნობილია, რომ "მეთოფეების" კარს **მანუელ ალმუნია** დაიცავს. **იენს ლემანმა** უელსთან ერთი კვირისწინანდელი მატჩის წინაც თქვა, მინდორზე გასასვლელად მზად ვარო, მაგრამ ექიმებმა დასვენება ურჩიეს. ლემანი იდაყვს იშუშებს, თუმცა ტრავმაც რომ არა, ლონდონურ დერბის ალბათ მაინც გამოტოვებდა. ვინ არის "არსენალის" ძირითადი მეკარე? **არსენ ვენგერს** ეს "ტოტენჰემთან" მატჩის წინ ჰკითხეს. მწვრთნელმა მიუგო: *"ეს მალე გამოჩნდება. ყველაფერს ფეხბურთელთა მომზადების დონე გადაწყვეტს. ლემანი დაშავებულია. სიმართლე გითხრათ, ბევრი არ მიფიქრია იმაზე, თუ ვის უნდა ეთამაშა ხვალ (დღეს). "ტოტენჰემთან" ნამდვილად ალმუნია იასპარეზებს. იენსს იდაყვი ისევ უსივდება. უელსთან თამაშის წინ ნემსი არ გაუკეთეს. ამიტომ მისი გვარის განაცხადიდან ამოღება მოუხდათ."*

მოსიე ვენგერი ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენითაა ცნობილი. ის, რომ **სესკ ფაბრეგასი** ესპანური ფეხბურთის ვარსკვლავია, მისი დამსახურება გახლავთ. **ტიერი ანრისა** და **პატრიკ ვიეირას** წარმატებულ კარიერაშიც მან ითამაშა გადამწყვეტი როლი. ყველა მაგალითის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომ ინგლისელ მიმომხილველებს ერთი კითხვა ებადებათ და მასზე პასუხს ვერ პოულობენ: როგორ მოხდა, რომ ვენგერს ხელიდან გაუსხლტა შოტლანდიის ნაკრების მეკარე **კრეიგ გორდონი**? "არსენალის" სკაუტები "ჰართსის" კარის დარაჯს დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ. არსენი ამ ფეხბურთელს შესანიშნავად იცნობდა. გორდონმა კი გასულ ზაფხულს "სანდერლენდში" ამოყო თავი. "შავმა კატებმა" მის სანაცვლოდ 9 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

გორდონის საკითხი იმიტომაა აქტუალური, რომ ლემანის ლონდონური კარიერა დასასრულს უახლოვდება. შოტლანდიელი გოლკიპერი რომ "არსენალში" გადასულიყო, "მეთოფეებს" კვალიფიციური მეკარის პრობლემა თითქმის ათი წლის განმავლობაში გა-



კრეიგ გორდონი

დაწყვეტილი ექნებოდათ. დღეს კი მოგებული "სანდერლენდია". "ლივერპულთან", "მანჩესტერ იუნაიტედსა" და საფრანგეთის ნაკრებთან მატჩებმა ცხადყო, რომ ის პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო კარის დარაჯია. თანაც გორდონი სულ რაღაც 24 წლისაა. გოლკიპერისათვის კი ეს ასაკი ძალიან მცირეა. კრეიგმა შოტლანდიის ნაკრებშის შემადგენლობაში უკვე 26 მატჩის ჩატარება მოასწრო. თუ ასე გააგრძელა, თავის დროზე ის ლეგენდარული შოტლანდიელი მეკარის, **ჯიმ ლეიტონის** რეკორდსაც შესწვდება. ამ უკანასკნელმა მამაცი გულების ღირსება 91-ჯერ დაიცვა.


ლუის არაგონესი

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ

# ლუის, არ ხართ მართალი!

**ლუის არაგონესმა** ლატვიასთან მატჩისშემდგომ პრეკონფერენციაზე მოუსვლელობის მიზეზი გაგვიმხილა. გირჩევთ, ეს გადაწყვეტილება კეთილი ნების ჟესტად არ მიიღოთ. საზოგადოებასთან ურთიერთობას მთავარ მწვრთნელებს უეფას რეგლამენტი ავალდებულებს. პრესკონფერენციის უგულებელყოფა ლუისს ფულად ჯარიმად დაუჯდება, მაგრამ ეს მეთოდი მას ყოველთვის ვერ უშველის. თუ პრესის იგნორირება სისტემატურ ხასიათს შეიძენს, სელექსიონის თავკაცს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე მუშაობის საშუალებას მოუსპობს. სხვათა შორის, საკითხავია, გავალთ თუ არა ფინალურ სტადიაზე... მოკლედ, არაგონესმა ხმა ამოიღო და თქვა: *"ვწუხვარ, რომ გულშემატკივრებს ჩემი მოსაზრებების მოსმენისა და წაკითხვის საშუალება არ მიეცათ. პრესკონფერენციაზე მარტივი მიზეზის გამო არ გამოვცხადდი. უკვე რამდენიმე წელია, მასმედია თავს მესხმის. მათი მთავარი ამოცანა ჩემი შეურაცხყოფაა. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჟურნალისტთა კორპუსში ყველაზე მეტად დაფასებული ის არის, რომელიც არაგონესს ყველაზე დაუნდობლად გალანძღავს. ამ სიტუაციაში პრესკონფერენციაზე მისვლის არანაირი სურვილი არ გამაჩნდა. კრიტიკა სასარგებლოა, სჯა-ბაასი, დებატების გამართვა კი აუცილებელი... მაგრამ როცა მიზანმიმართულად გიტევენ და ცდილობენ, წონასწორობა დაგაკარგვინონ, იძულებული ხდები, ყველაფერს გაერიდო და თავს უშველო. გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი. პრესის მუშაკებს კი დაფიქრებისკენ მოვუწოდებ."*

საინტერესოა, ვინ ესხმის ამ კაცს?! კითხვის დასმა, რომელიც დისკომფორტს გგვრის თავდასხმაა?! კი, მაგრამ განა არ გვაქვს უფლება ნაკრების ამაზრზენი თამაშის გამო საკუთარი მოსაზრებები გამოვხატოთ? ჟურნალისტიკური ეთიკა არასოდეს მოგვცემს იმის უფლებას, რომ მოვლენები ტენდენციურად გავაშუქოთ. ერთ სტატიასაც ვერ იპოვით, სადაც ჩემს აზრს ვაფიქსირებ. ამჯერად, მცირე გამონაკლისს დავუშვებ და კოლეგების სახელით ვიტყვი: სენიორ ლუისს, ვიტვირთოთ ჩვენს პროფესიასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. არ ხართ მართალი. ჩვენ მხოლოდ კითხვებს გისვამთ. თქვენთვის არათუ ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფაც არავის მოუყენებია. პატივი გვეცით, რადგან ნაკრებს ხალხის პატივისცემა არ აკლია...

**რამონ კასტანიესი**
დიარიო ასი

### ცსკას ალვეში სურს

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ "ტუტომერკატო" წერს, რომ მოსკოვის ცსკას "ჰერენვენის" ბრაზილიელი თავდამსხმელის **აფონსო ალვეშის** შეძენა სურს. მას ჰოლანდიურ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, თუმცა რუსების ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, კონტრაქტის დარღვევა დიდი პრობლემა არ უნდა იყოს. ბრაზილიელის შთამბეჭდავი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სხვა ევროპულ კლუბებსაც, თუმცა, როგორც ჩანს, მოსკოველები ფავორიტები არიან. შვედური "მალმოდან" ჰოლანდიაში გადაბარგების შემდეგ, მან პირველივე სეზონში 31 თამაშში 34 გოლი გაიტანა და ჰოლანდიაში წლის ფეხბურთელად დაასახელეს, გაასწრო რა დავაში ეინდჰოვენელებს, **ფილიპ კოკუსა** და **ალექსს**. აქვე ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით: "ახალ დელ პიეროს", ემპოლელი **სებასტიან ჯოვინკოსთვის** დავაში ცსკას ძალიან ძლიერი კონკურენტი გამოუნდა "ბარსელონის" სახით. რუსები ფეხბურთელში 15 მილიონს იხდიან, მაგრამ "იუვენტუსი", ვინც ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებებს ფლობს და მოთამაშე "ემპოლიში" მხოლოდ განათხოვრებული ჰყავს, უფრო სარფიან წინადადებებს ელის.

### ფიორენტინა ზამთარში გაძლიერდება

"ᲘᲝᲒᲘ" ზამთრის სატრანსფერო პაუზისას ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელის შეძენას გეგმავენ, გვამცნობს "ტრიბალფუტბოლი". მათს ინტერესებში არიან არგენტინის 19-წლამდელთა ნაკრებისა და "ბოკა ხუნიორსის" საყრდენი ნახევარმცველი **ევერ ბარეგა**, ვისაც "ვილიარეალი" და "რეალიც" იწვევენ, ასევე ბოკელი მცველი **ხოელიუ ბარბოსა** და "კორინთიანსის" 20 წლის მცველი **კარლინიოსი**. ფეხბურთელების სატრანსფერო ფასზე ინგლისური ვებგვერდი არაფერს გვამცნობს.

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ

# ლაპორტა: G14 აჯანყდება

## პრეზიდენტმა კონფრონტაცია წამოიწყო, კატალონიური გრანდის თავკაცი ფიფასა და უეფას აფრთხილებს...

**ᲮᲝᲜ ᲚᲐᲞᲝᲠᲢᲐ** სერიოზულ ბრძოლაში ჩაება. "ბარსელონის" პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ უეფასა და ფიფას წინააღმდეგ გაილაშქრა და მათ მუშაობას სამარცხვინო უწოდა. კატალონიური გრანდის უმაღლესი ხელისუფალი მისი ფეხბურთელების ნაკრებში ხშირი მივლინებისა და ტრავმების გამო ღელავს. ლაპორტა განსაკუთრებით **ტიერი ანრის** შემთხვევამ აღაშფოთა. იტალიასთან მატჩში მიღებული ყვითელი ბარათის გამო "ბარსას" ფორვარდს შოტლანდიასთან თამაში აეკრძალა. მიუხედავად ამისა, **რაიმონ დომენეკმა** ანრი მაინც არ გაათავისუფლა და ნაკრებში დაიტოვა. სენიორ ხოანისთვის ეს ამბავი ბოლო წერტილი აღმოჩნდა. როგორც გითხარით, რამდენიმე დღის წინ მან მსოფლიო საფეხბურთო მამებს ლიად შეუტია, თუმცა მათი პასუხი ვერ მოისმინა. ლაპორტამ უკან დახევა არ ისურვა და ნამდვილ კონფრონტაციაში შევიდა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით მის განცხადებას გაგაცნობთ: *"თავს მოვალედ მივიჩნევ, ფიფა და უეფა გავაფრთხილო, რომ G-14-ის გუნდებთან ასეთი დისკრიმინაციული პოლიტიკა არ გაუვათ. ჩვენი მოთამაშეები, რომლებსაც კოლოსალურ ხელფასს ვუხდით უცერემონიოდ მიჰყავთ. სჭირდებათ თუ არა, ტრავმა აქვთ, თუ ჯანმრთელები არიან, მაინც თავისთან იტოვებენ და ამით უსერიოზულეს ზარალს გვაყენებენ. ზღვარი ყველაფერს აქვს. მაგალითისთვის ბოლო ისტორიას მოვიყვან. ლეო მესი არგენტინამ ავსტრალიაში წაიყვანა. რონალდინიო და რაფა მარკესი კი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდნენ. სამივე ვარსკვლავი მიკრო ტრავმებით დაგვიბრუნდა. ამასთან, ისეთი დაღლილები არიან, რომ ძუნძულსაც ვერ ახერხებენ. ფიფასა და უეფას მაღალჩინოსნებს კატეგორიულად ვაფრთხილებ, გონს მოეგონ და კლუბების ინტერესებს პატივი მიაგონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, G-14-ის აჯანყებას ვერ გაექცევიან. მსოფლიოს საუკეთესო კლუბები მათი იურისდიქციიდან გავლენ და ალტერნატიულ ორგანოს ჩამოაყალიბებენ. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, ფიფაც და უეფაც ელემენტარულად უსაქმოდ დარჩებიან და დაიშლებიან. ალბათ, სჯობს, ჩვენს სამართლიან მოთხოვნას ყური დაუგდონ და სწორად იმოქმედონ."*

ფეხბურთში მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულ ხალხს შესანიშნავად მოეხსენება, რომ ფიფა და უეფა მათი მისამართით ასეთი ტონით საუბარს არასოდეს ეგუებოდნენ. სავარაუდოა, რომ **ზეპ ბლატერი** და **მიშელ პლატინი** ხოან ლაპორტას აგრესიულ განცხადებას რეაგირების გარეშე არ დატოვებენ.


ხოან ლაპორტა

ᲚᲐᲪᲘᲝ

# არჩევანს რომაელი ტიფოზები გააკეთებენ

ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ კლუბის ფანებს შორის მასშტაბური გამოკითხვა ჩაატაროს. სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა სხვა სტადიონი, რომელიც რომთან ახლოს, რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. თუკი ტიფოზების 80 პროცენტი ამ იდეას მხარს დაუჭერს, მაშინ კლუბი საშინაო თამაშებს ახალ სტადიონზე გამართავს. *"ვამაყობთ, რომ საკლუბო ისტორიაში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ყოველთვის გულშემატკივრებთან ერთად ვიღებდით. ადრე ყოველთვის ასე იყო და ახლაც ასე მოხდება. "ლაციოს" ისტორია "სტადიო ოლიმპიკოზე" იწერებოდა და თითოეული გულშემატკივრისთვის ამ ადგილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დაე, თავად ტიფოზებმა გადაწყვიტონ გვჭირდება თუ არა ახალი სახლი,"* - ახმოვანებს კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას იტალიური მედია.

პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** უკმაყოფილება გამოთქვა რომის მერიის უმოქმედობის გამო, რომელიც კარგა ხანია, აჭიანურებს გადაწყვეტილების მიღებას, გამოუყოს თუ არა მიწის ნაკვეთი ქალაქის რომელიმე რაიონში ახალი სტადიონის ასაშენებლად: *"თუკი ქალაქის მერს არ ესმის, რომ ერთ სტადიონზე ორი კლუბის სახლობა სამუდამოდ ვერ გაგრძელდება, ეს მისი პრობლემაა. თუკი მიწას არ გამოგვიყოფენ, ჩვენ რომთან ახლოს რომელიმე სტადიონზე გადავალთ. არ მინდა, ვინმესთან უსიამოვნება მომივიდეს და საქმის გარჩევები დავიწყო, მაგრამ ჩემი კლუბის პრობლემას სხვების დაუხმარებლადაც გადავჭრი."*



კლაუდიო ლოტიტო

ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ

# მადრიდული კლუბი მადრიდელების გარეშე

ᲣᲙᲐᲜ დარჩა ის დრო, როცა მადრიდის "ატლეტიკოს" კანტერაში (საყმაწვილო გუნდი) ნიჭიერი ახალგაზრდები უხვად მოიძებნებოდნენ. ის დროც წარსულის საკუთრებაა, როცა მადრიდულ კლუბში მადრიდელები სჭარბობდნენ. **ხავიერ აგირეს** განკარგულებაში ახლა მხოლოდ ორი დედაქალაქელი მოთამაშეა. ისიც მხოლოდ კანტერაში. ძნელად წარმოსადგენია, რომ ისედაც რთულ სიტუაციაში ჩავარდნილი კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ძირითად გუნდში 15 და 16 წლის მოზარდები გადმოიყვანოს.

მადრიდის "ატლეტიკო"? - სვამს რიტორიკულ კითხვას "დიარიო ასის" კორესპონდენტი **ხესუს სანჩო**. აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც **გაბიმ** "ვისენტე კალდერონი" დატოვა, "როხიბლანკოს" შემადგენლობაში არც ერთი მადრიდელი აღარ დარჩა. აგირეს ამიერიდან მხოლოდ სხვა ქალაქელებისა და უცხოელების იმედი უნდა ჰქონდეს. სიმართლე გითხრათ, ჩვენი ესპანელი კოლეგის მიერ დასმული კითხვა ცოტა არ იყოს, ქსენოფობიურ ელემენტებს შეიცავს, მაგრამ ის ამ შემთხვევაში "ატლეტიკოს" ქომაგების გულისტკივილს ახმოვანებს. ინჩასებს ყოველთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, რომ მათ სათაყვანებელ კლუბში მადრიდელებს ეთამაშათ. მთელი ისტორიის განმავლობაში ეს მეტ-ნაკლებად ხერხდებოდა, მაგრამ ახლა "კალდერონს" არც ერთი დედაქალაქელი აღარ შემორჩა. პატივცემული ხესუს სანჩო სასოწარკვეთილებით აღნიშნავს, რომ მსგავსი უბედურება "ატლეტიკოს" არსებობის განმავლობაში პირველად შეემთხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემპიონობის შანსი



ირაკლი ცირეკიძე

*პირველი გვერდიდან*

ჩვენებმა გუშინაც ყოჩაღად დაიწყეს ტურნირი. **გიორგი ბაინდურაშვილს** (81) წილისყრამაც გაუმართლა და ისეთ ხალხთან მოხვდა, უფრო სუსტებს ვერც ინატრებდა. არგენტინელი **ემაუელ ლუსენტი** და მავრიტანიელი **მელონ პაულინი** მართლაც იოლად დაჯაბნა, მაგრამ მერე მასპინძელ ოლიმპიურ პრიზიორ **ტიაგო კამილოსთან** პირწმინდად დამარცხდა. უნდა ვაღიაროთ, რომ მასპინძელი ბევრად უკეთესად ირჯებოდა და ალალად დაიმსახურა მოგება. კამილო ნახევარფინალში გავიდა და ბაინდურაშვილი სანუგეშო ტურნირში გაიყოლა.

ვერ ვიტყვით, რომ **ირაკლი ცირეკიძეს** წილისყრამ გაუმართლა, მაგრამ იგი ამ წონის გამოკვეთილი ლიდერია და ნახევარფინალშიც გავიდა. იგი რისხვად დაატყდა თავს მეტოქეებს - პოლონელ ევროპის პრიზიორ **კრშიშტოფ ვეგლარცს**, კორეელ **სუნ-ჰო ჩოის** (ეს განსაკუთრებით დაჯაბნა), მონგოლი **ერდენე არიუნის** (სუფთად დააგდო) და აზერბაიჯანელ **ელხან მამადოვს**. ნახევაფინალში მისი მეტოქე იტალიელი **რობერტო მელონია**. ამ დროს უკვე გავარდნილი იყო იაპონელი მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **ჰიროში იზუმი**, რომელსაც რუსმა ევროპის ჩემპიონმა **ივან პერშინმა** მოუგო, თუმცა იქვე პერშინი იტალიელ **რობერტო მელონისთან** დამარცხდა.

მოკლედ, ირაკლის ორი მოგება აშორებდა მსოფლიო ჩემპიონობას. მე ორშაბათამდე გემშვიდობებით. ღმერთმა ქნას, მახარობელი ვიყო!



ლომერ ჟორჟოლიანი

# ლაშას ბრინჯაო და ლომერის ლიცენზია

მას შემდეგ, რაც სანუგეშოში გუჯეჯიანმა სახელოვანი ჰოლანდიელი **დენის ფან დერ ხესტი** წმინდად დასცა, უზბეკი მსოფლიოს პრიზიორი **აბდულო ტანგრიევიც** წააქცია. შეიძლება ითქვას, ჩვენებურმა დაიბრიყვა აზიელი, უკვე იმდენჯერ მოუგო. მათ შორის, მსოფლიოს წინა პირველობაზეც, ქაიროში. ამ გამარჯვებით ლაშა სანუგეშოს ფინალში გავიდა, რითაც ლიცენზია უკვე გაინაღდა, ბრინჯაოს მოსაპოვებლად კი ჩინელი **ვეი ხიანგჯუნი** უნდა დაემარცხებინა. ძიუდოს სამშობლო აზია კი გახლავთ, მაგრამ ჩინელები მას აქამდე რატომლაც არ სწყალობდნენ, თუმცა ბოლო წლებში ეს ხიანგჯუნი ფრიად წარმატებით ჭიდაობს. ოღონდ ეს ტურნირი მაინც გამორჩეულად ძლიერად ჩაატარა, თითქოს მეტოქეებს წინასწარ დაემუქრა საპეკინოდ. იგი ნახევარფინალში ლამის უპრობლემოდ გავიდა. ფიზიკურად გოლიათმა უპრობლემოდ გადათელა რამდენიმე ძლიერი ფალავანი. მათ შორის, კუბელი **ოსკარ ბრისონიც**, თუმცა ამასთან ძალიან გაუჭირდა.

გუშინდელი დღის უმეტესი ნაწილი არა პრესცენტრში, არამედ ტრიბუნაზე, ზუსტად იმ კუთხეში გავატარე, საიდანაც ფალავნები არენას ტოვებენ. მართალია, აქედან ყველაზე დაშორებული - პირველი ტატამი კარგად არ ჩანს, მაგრამ ეს მაინც ფრიად მოხერხებული ადგილია, რადგან ნაბრძოლი სპორტსმენები ჩემგან ორიოდ ნაბიჯზე მიდიან და მათზე დაკვირვება ღირს. თან, ეგზალტირებულ ბრაზილიელ ქომაგებთან უშუალო კონტაქტში ვარ, მათი ცქერა კი ძალზე საინტერესოა. გუშინ ბევრი საინტერესო რამ ვნახე ამ ადგილას, სადაც პრესცენტრიდან ვერაფრით დავინახავდი. მაგალითად, ჰოლანდიელთა ექსცენტრული მწვრთნელის, **ვან დერ ხესტების** მამის ემოციები; ირანელთა მწვრთნელმა ზედ ჩემს თვალწინ მძიმეწონოსან **ეჰსან რაჯაბის** წაგების შემდეგ როგორ გაარტყა მოწყვეტით და ისეთი ულრიალა, ჩვენში რომ იტყვიან, სახეს აგახევო. **ტამერლან ტმენოვი** ფან დერ ხესტთან მოგებული მეოთხედფინალის მერე ჩემგან ერთი ხელის გაწვდენაზე იდგა და დაკვირვებით უყურებდა ტანგრიევისა და ბრაზილიელი **ჟოაო შლიტერის** ბრძოლას, რომელშიც მისი მეტოქე ირკვეოდა.

ჰოდა, მაშინაც იქ ვიჯექი, როცა ბრისონთან მოგებული ბრძოლის შემდეგ ჩინელი გასასვლელთან ძლივს მილასლასდა და იქვე მიეგდო მოწყვეტით. ჩინური დელგმის შეჩერება ნახევარფინალში მართლაც ტალანტმა და უნიჭიერესმა ფრანგმა **ტედი რინერმა** მოახერხა. გუჯეჯიანს დამამშვიდებლის ფინალში ასე ერგო მეტოქედ ჩინელი, რომელსაც შავი დღე აყარა და ისე დამაჯერებლად მოუგო, თქვენი მოწონებული. ვფიქრობთ, მუხანათი წილისყრიდან გამომდინარე, ლაშამ მაქსიმუმი გააკეთა - სადღესიოდ ტმენოვთან, რინერთან ან მეორე რუს **ალექსანდრ მიხაილინთან** მოგება ნებისმიერი მძიმეწონოსნისთვის საკუთარ თავზე გადახტომაა. ეს სამეული ისევ ერთმანეთთან თუ წააგებს, თუმცა მათ შორის რინერი ნამდვილი ტალანტია. მან ფინალში ტმენოვი გადათელა და წლეულს მესამე, ოღონდ ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტული მოიპოვა - ჯერ ახალგაზრდებში მსოფლიო პირველობა მოიგო, მერე უფროსებში - ევროპა, ახლა კი 20 წლის ბიჭი მსოფლიო ჩემპიონია და მომავალი ოლიმპიადის გამოკვეთილი ფავორიტი.

საბრალო ტმენოვი - ვერა და ვერ ეღირსა მსოფლიო ჩემპიონობას. მოკლედ, ამ წონაში ტურნირმა საოლიმპიადოდ რამდენიმე ახალი მოჭიდავე წარმოაჩინა. რინერის წარმატება თუ მოსალოდნელი იყო, ჩინელისგან ან ბრაზილიელი შლიტლერისგან ამდენს არ ელოდნენ. შლიტლერმა ნაკრებში წარმატებით შეცვალა **დენიელ ერნანდესი**, ოღონდ საკითხავია, ევროპაშიც ასე წარმატებით თუ იჭიდავებს. შესაძლოა, ახლა შინაური კედლები დამატებით სტიმულად ექცა.

1. ტედი რინერი (საფრანგეთი)
2. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)
3. **ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)**
3. ჟოაო შლიტლერი (ბრაზილია)

ლომერ ჟორჟოლიანმა სანუგეშოში მსოფლიოს წინა პირველობის უკრაინელ ვიცე-ჩემპიონ **ვიტალი ბუბონს** დამაჯერებლად სძლია. აღსანიშნავია, რომ წლეულს ბუბონს ერთხელ უკვე მოუგო. ამით ისიც სანუგეშოს ფინალში გავიდა და ლიცენზია გაინაღდა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო - ბრინჯაოს მედლისთის გადამწყვეტი პაექრობა კუბელ **ორეიდის დესპენთან** დათმო. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, ეს მხოლოდ დასაწყისია და ლომერი ამ წონაში არავის ჩამოუვარდება, ხოლო ფიზიკურად ერთ-ერთი საუკეთესოა. მაგრამ ჯერ გამოცდილება აკლია.

აქ ჩემპიონი სწორედ მისი მომგები მასპინძელი - **ლუსიანო კორეა** გახდა, რომელმაც მსოფლიოს წინა პირველობაზე მოპოვებული ბრინჯაო ოქროზე გადაცვალა. მოკლედ, მასპინძლებს გუშინ წარმატებული დღე ჰქონდათ, მაგრამ გვჯერა, ჟორჟოლიანი კორეას კიდევ არაერთხელ დაამარცხებს და ისე იოლად, როგორც ერთხელ უკვე მოუგო წლეულს. ბუნებრივია, სუსტი არც ბრაზილიელია, მაგრამ არა რინერივით ძლიერი და გამორჩეული. საკმარისია, ჟორჟოლიანმა ცოტა მოუმატოს, უპირველესად, აგრესიული, შემტევი სტილი. იგი ჯერ კიდევ როგორღაც შებოჭილი ჭიდაობს, თითქოს მაინც უფრთხის მეტოქეებს. ყოველ შემთხვევაში, ცოტა მეტი სითამამე არ აწყენდა.

ამ წონაში მსოფლიოზე მეხუთე ადგილები დაგვებედა - წინა ტურნირზეც ქაიროში ასევე დებიუტანტი გიორგი ყიზილაშვილი მეხუთეზე გავიდა.

1. ლუსიანო კორეა (ბრაზილია)
2. დანიელ ჰადფი (უნგრეთი)
3. ორეიდის დესპენი (კუბა)
3. დანიელ ჰადფი (უნგრეთი)

# რინერს კიდევ ბევრჯერ შევხვდები!

**მას შემდეგ, რაც ლაშა გუჯეჯიანმა ასპარეზობა დაასრულა, მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- ლაშა, როგორ შეაფასებთ ამ ტურნირს, თქვენს გამოსვლას, რამდენად წარმატებით იასპარეზეთ ბრაზილიაში?**

- აქ წამოსვლამდე ძირითადად ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებაზე ვფიქრობდი, რასაც ცოტა გადავაჭარბე კიდეც და მედალიც მოვიპოვე. ბუნებრივია, წინა მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები მესამე ადგილის გაუმჯობესება მსურდა, მაგრამ მთავარი იყო, საგზური მომეპოვებინა, რათა გაისად სალიცენზიო ტურნირებში გამოსვლა თავიდან ამეცილებინა და ოლიმპიადისთვის მშვიდად მოვმზადებულიყავი. მადლობა ღმერთს, ჩანაფიქრი გამომივიდა და პეკინისთვის მშვიდად მომზადება შემიძლია.

**- ტმენოვთან წაგებულ შეხვედრას თუ არ ჩათვლით, გარედან ისე ჩანს, თითქოს იოლად მოიპოვეთ მედალი. ყველაზე რთული ბრძოლა რომელი იყო?**

- ვერ ვიტყვი, რომ მთლად თამაშ-თამაშით მოვიგე მედალი, მაგრამ მსოფლიოს წინა პირველობასთან შედარებით, ფიზიკურად ბევრად უკეთ ვგრძნობ თავს. ისე, როგორც არასდროს. ახლა ფსიქოლოგიური განწყობაც ბევრად უკეთესია.

და ტმენოვთან წაგებულ შეხვედრას რაც შეეხება, იგი ამ ფაქტორით ანუ ფიზიკური მომზადებით არ გამოიხატება. ეს ალბათ უფრო იმის გამო, რომ მეტად გამოცდილია. არადა, მასთან ყველაზე უკეთ გავედი საბრძოლოდ განწყობილი. შეიძლება ითქვას, კბილებდაკრეჭილი, მაგრამ ეტყობა, ღმერთს ასე სურდა. სიმართლე გითხრათ, სხვებთან ასეთი რამ არც დამჭირვებია. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ვინმესთან გამიჭირდა. ალბათ, შესაძლებლობების 60 პროცენტი თუ გამოვავლინე.

**- მძიმე წონაში სამი ძლიერი ფალავანი გამოიკვეთა, რომლებთან მოსაგებადაც რაღაც უფრო მეტია საჭირო, ვიდრე - დანარჩენებთან. ესენია რუსები - ტმენოვი და მიხაილინი და ფრანგი რინერი, მართლაც ძლიერი მოჭიდავე. როგორ ფიქრობთ, რა გჭირდებათ მათთან წარმატების მისაღწევად?**

- მიმაჩნია, რომ ამ სამიდან გადასალახავი ტმენოვის ბარიერი დამრჩა. წლეულს ევროპაზე მიხაილინს იმდენად დამაჯერებლად მოვუგე, მას სერიოზულ კონკურენტად აღარ მივიჩნევ. მისგან ვერანაირ ძალას ვერ ვგრძნობ.



ლაშა გუჯეჯიანი მსოფლიო ჩემპიონატიდან მეორედ ბრუნდება ბრინჯაოს მედლით

ალბათ, ასაკმა და გამოცდილებამ მოიტანა ეს ყველაფერი.

რაც შეეხება რინერს, თამამად ვამბობ - ბელგრადში მოგებული შეხვედრა დავთმე. რინერმა კი არ მომიგო, მე წავაგე. მაშინ იგი ჯეროვნად არ შევაფასე. ფინალამდე მიხაილინი და უკრაინელი სოტნიკოვი დავამარცხე და მჯეროდა, ევროპის ჩემპიონი ვიყავი. აქედან გამომდინარე, არა მგონია, ჩემთვის გადაულახავი ბარიერი და დაუძლეველი მეტოქე იყოს. ორივე ახალგაზრდები ვართ, კიდევ მრავალჯერ შევხვდებით ერთმანეთს და ყველაფერს ისტორია იტყვის. მას ვეც მიხაილინს შევადარებ და ვერც - ტმენოვს.

**- მაგრამ ტმენოვს ახლა ძალზე იოლად მოუგო ფინალი.**

- ეგ იმიტომ, რომ ტმენოვს უჭირს ფინალის ჭიდაობა. ეს საყოველთაოდაა ცნობილი. მან მსოფლიო ჩემპიონატის სამი და ოლიმპიადის ფინალი წააგო. ის მართლაც უგვირგვინო ჩემპიონია და საცოდაობაა, ტიტულის გარეშე წავიდეს სპორტიდან.

**- წლეულს ეს თქვენი მეორე მედალია. რომელია უფრო მნიშვნელოვანი - ევროპული ვერცხლი თუ ეს ბრინჯაო?**

- ნურავინ ნუ მიწყენს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატი ტურნირია, მსოფლიო პირველობა - ნამდვილი ჩემპიონატი. ამიტომ მსოფლიოზე მოპოვებული მედალი ნებისმიერი სინჯის ჯილდოს მირჩევნია.

**- პირველი ბრინჯაოს მოპოვება ძალიან ემოციურად გამოხატეთ, ახლა კი ბევრად მშვიდად შეხვდით ჯილდოს. ჩანს, შეეგუეთ იმას, რომ ლიდერი გახდით და ყველა ტურნირზე შეგიძლიათ მედლის მოპოვება.**

- იმ პირველ მედალს ჩემთვის სხვა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეკონომიკური თუ სხვა სახის პრობლემების დასაძლევად ის წარმატება ისე მჭირდებოდა, როგორც თევზს - წყალი, ადამიანს - ჰაერი. ამიტომ გამოვხატე ის ისე ემოციურად. ამიერიდან ისეთი რეაქცია მედალზე მხოლოდ მაშინ მექნება, უკეთესი სინჯისას თუ მოვიპოვებ.

**- დამაინც, ალბათ გწყდებათ გული, რომ ბრინჯაოს ვერც ამჯერად გადაახტით.**

- მე გული უფრო იმაზე მწყდება, რომ ოქროსთვის ბრძოლაც რეალურად შემეძლო. ეს მომენტი, თორემ მესამესთვის შეხვედრა რომც წამეგო, იქნებ არც მწყენოდა, რადგან ლიცენზია მოპოვებული მექნებოდა.

შოთა ხაბარელი: - **დღევანდელ გამოსვლას დადებითად და კარგად შევაფასებ. ჟორჟოლიანისგან ასეთ ძლიერ ჭიდაობას არ ველოდი. უკვე ყველამ დაინახა, რომ იგი ამ წონაში მალე ლიდერი გახდება. ცოტა მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა, ჩემპიონიც გახდებოდა, მაგრამ გამოუცდელობით წააგო. ძალიან ძლიერად და კარგად იჭიდავა, რაზეც მის მიერ დამარცხებულ მეტოქეთა სახელები თუ ტიტულებიც მეტყველებს. ასევე კარგად და ძლიერად გამოვიდა ლაშა გუჯეჯიანიც, რომელიც ამ წონაში უკვე გამოკვეთილი ლიდერია. მჯერა, რომ იგი მომავალში არც ისეთ პატარა შეცდომას დაუშვებს, რაც ახლა მოუვიდა. ძალიან კარგია, რომ ორი ლიცენზია მოიპოვეთ. ეს დიდი წარმატებაა. კარგი იქნება, ხვალაც თუ ორ ლიცენზიას მოვიპოვებთ.**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი



(მარცხნიდან) აიბას მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე კერი შმიდტი, აზერბაიჯანის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი აგაჯან აბიევი, აიბას პრეზიდენტი ჩინგ-კუო ვუ და ვლადიმერ ახალკაცი.

### ინტერვიუ ვლადიმერ ახალკაცთან

# ჩიკაგო-რომი-ათენი-პეკინი

**ახლახან, ბაქოში დასრულებულ კადეტ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად, კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) კონგრესი გაიმართა, სადაც ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე მოვლენა მოხდა. ბაქოურ პერიპეტიებსა და ეროვნული ნაკრების სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი.**

- როგორც იცით, ოქტომბრის ბოლოს, ჩიკაგოში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე, გათამაშდება პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები. თითოეულ კონტინენტს აქვს გამოყოფილი თავისი კვოტა. ოლიმპიადისთვის, ევროპას მიაკუთვნეს 91 ადგილი. ჩიკაგოში, ლიცენზიებს იღებენ მეოთხედფინალში გასული მოკრივეები. თუ ისე მოხდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე, ევროპამ ნავარაუდევზე მეტი საგზური მოიპოვა, მაშინ გაისად, ორ სალიცენზიო ტურნირზე დააკლდებათ ადგილები.

გადაწყდა ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ხელმოცარულ ევროპელებს, გაისად, ორ სალიცენზიო ტურნირზე მიეცემათ დარჩენილი საგზურების გადანაწილების შანსი. ერთი სალიცენზიო ტურნირი თებერვალში გაიმართება რომში, მეორე კი აპრილში, ათენში.

**- ბაქოშივე, აიბა-ს კონგრესს უნდა განეხილა ევროპის კრივის ფედერაციის (ეაბა) გაუქმების საკითხი...**

- დიახ, ევროპის კრივის ფედერაციის პრეზიდენტ ედუარდ ჰუსაინოვთან დაპირისპირების გამო, საერთაშორისო ფედერაცია მართლაც აპირებდა ეაბა-ს გაუქმებას და მის ნაცვლად, ევროპის კრივის რეგიონული ბიუროს ჩამოყალიბებას. ბაქოში ამ საკითხზე დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა შეხვედრები და დანამდვილებით ვერ გეტყვით, დარჩება ეაბა თუ რეგიონული ბიურო ჩამოყალიბდება. თუმცა ის კი გავიგეთ, რომ ჰუსაინოვის ნაცვლად, ევროპული კრივის თავკაცად, აიბას სურს იტალიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტ ფაჩინელის ხილვა. ისე, ფაჩინელისთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს...

ალსანიშნავია ისიც, რომ პირადად შევხვდი აიბა-ს პრეზიდენტ ჩინგ-კუო ვუს, რომელიც გულთბილად მესაუბრა და ქართული კრივის მდგომარეობით დაინტერესდა. მან დადებითად შეაფასა ის ძვრები, რაც ამ ბოლო ხანს მიმდინარეობს ჩვენს კრივში. საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილის დავალებით, კუო ვუ და აიბას პირველი ვიცე-პრეზიდენტი გაფურ რახიმოვი საქართველოში დავპატიჟე, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდნენ. მართალია, მათ ძალიან ბევრი საქმე აქვთ, მაგრამ ვიმედოვნებ, პირობას შეასრულებენ და გვესტუმრებიან. სხვათა შორის, კუო ვუ გახლავთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, კარგად იცნობს ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს და მასთან გულთბილი მოკითხვა დამაბარა.

**- მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისზე რას იტყვით?**

- ყველაფერი მიმდინარეობს გეგმის მიხედვით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით, ულრმესი მადლობა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ ელემენტარული პრობლემაც კი არ შეგვექმნას. სპორტის დეპარტამენტმა შეგვიძინა ხუთი რინგი, საიდანაც ორი ულტრათანამედროვე - ოლიმპიური რინგია. ოლიმპიურმა კომიტეტმა კი საკუთარ თავზე აიღო ნაკრების ამერიკაში გამგზავრებისა და იქ ცხოვრების ხარჯები. ამისათვის, თავიდან დაგეგმილზე 10000 ლარით მეტი მოგვცეს. ჩვენს ანგარიშზე უკვე ჩარიცხულია 58 000 ლარი. დანარჩენ საჭირო ხარჯებს კი სპორტის დეპარტამენტი დაგვიფარავს. ძალიან მონდომებულია პეტრე ცისკარიშვილიც, რომელიც სისტემატურად ინტერესდება ეროვნული ნაკრების მდგომარეობით. მისი ძალისხმევით, ერთხელ და საბოლოოდ მოელო ბოლო ნაკრები გუნდების ეკიპირების, შეკრება-ტურნირებისა თუ სხვა წვრილმანი საკითხების პრობლემას.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასვლას არ აპირებენ კუბელები...**

- კუბის ნაკრები ახლახან ესპანეთის საერთაშორისო ტურნირზე იმყოფებოდა. მათი გუნდის ორი ოლიმპიური ჩემპიონი ესპანეთში დარჩა, რამაც ძალიან განარისხა კუბის ხელისუფლება და იქაური კრივის ფედერაცია. ადგნენ და მთელი გუნდის დასჯა გადაწყვიტეს. ჩვენი ინფორმაციით, კუბა მსოფლიო ჩემპიონატს მართლაც გამოტოვებს. ასეთი ძლიერი გუნდის გამოკლება, რალა თქმა უნდა, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს, მაგრამ ჩიკაგოში კუბაზე არანაკლებ ძლიერი არაერთი ქვეყანა ჩამოვა.

**- თბილისში საერთაშორისო ტურნირის ჩატარების საკითხი რა სტადიაშია?**

- თითქმის ოცი წელიწადია, რაც საქართველოს დიდი საკრივო ტურნირისთვის არ უმასპინძლია და გვინდა, რომ ეს უსიამოვნო ტრადიცია დავარღვიოთ. აღნიშნული იდეა პეტრე ცისკარიშვილისგან წამოვიდა, რომელიც გვპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ტურნირს ღირსეულად ვუმასპინძლოთ.

შეჯიბრებას, სავარაუდოდ, დავარქმევთ "ამიერკავკასიის თასს". მისი გამართვა გვინდოდა მსოფლიო ჩემპიონატამდე, მაგრამ ახლა ჩვენც და სხვა ქვეყნებიც ისეთ გამალებულ სამზადისში ვართ, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე ვერაფრით მოვახერხებთ ტურნირის მასპინძლობას. მოკლედ, "ამიერკავკასიის თასს" აუცილებლად ჩავატარებთ წლის ბოლოს. შესაძლოა, თავიდან, იგი არ იყოს დიდად წარმომადგენლობითი, მაგრამ რაც მთავარია, ახლო მომავალში უცილებლად გახდება ტრადიციული და პრესტიჟული.

საერთოდ, საერთაშორისო ტურნირისთვის აუცილებელია ფინანსები, თანამედროვე რინგი, ტაბლო, ელექტროსასწორი, კარგი დარბაზი და სასტუმროები. განახლებული სპორტის სასახლე მწყობრშია, არც სასტუმროების, ტაბლოსა და რინგის პრობლემა გვაქვს. რაც შეეხება ელექტროსასწორებს, არ დაგიმალავთ, რომ იყო ამის პრობლემა - აქამდე მხოლოდ მოძველებული, საბჭოური ხანის სასწორები გაგვაჩნდა. საბედნიეროდ, ბაქოში ყოფნისას, დაგვრჩა ცოტაოდენი თანხა და ამით სამი თანამედროვე ელექტროსასწორი შევიძინეთ. ტურნირის ფინანსური მხარის მოგვარებას კი პეტრე ცისკარიშვილი გვპირდება. მოკლედ, "ამიერკავკასიის თასის" მასპინძლობისთვის ყველანაირად მზად ვართ.

**კობა ხატისაშვილი**

# ბათუმის ბანაკი, ზღვის ლომები, აფხაზი და ოსი სტუმრები

საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული **დავით კვაჭაძის** სახელობის კრივის სპორტსკოლა ოცი წლის წინათ დაარსდა და ამ ხნის განმავლობაში უამრავი რამ გააკეთა ჩვენი კრივისთვის. გარდა წმინდა სპორტული მხარისა, სკოლა ეროვნულ ინტერესებსაც პირნათლად ემსახურება. ამის ნათელი დასტურია კვაჭაძის სკოლის ხელმძღვანელობის პროექტი, რომელიც სამი წლის წინათ ჩამოყალიბდა და ტრადიციული გახდა.

პროექტი ითვალისწინებს საზაფხულო ბანაკების მოწყობას ბათუმში, სადაც ქართველ მოზარდებთან ერთად, მათი აფხაზი და ოსი თანატოლები იკაჟებენ სხეულს, სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები უმეგობრდებიან ერთმანეთს...

წლეულსაც, ბანაკის მასპინძელმა, ბათუმის 14-ე საჯარო სკოლამ (დირექტორი **თემურ სირაბიძე**) დასვენების ყველანაირი პირობა შეუქმნა სპორტსმენებს.

სამწუხაროდ, გარკვეული სირთულეები იქმნება აფხაზი და ოსი მოკრივეების ჩამოსვლის მხრივ. წლეულს, ოს ბავშვებს ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელები - **მერაბ მაისურაძე** და **ვანო ქრისტესიაშვილი**. ამ გუნდის უმეტესობა ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვიდანაა. რაც შეეხება აფხაზებს, ისინი გალის რაიონიდან ჩავიდნენ **ბაჩანა თორიასა** და **კახა ქომეთიანის** მეთაურობით.

მერაბ მაისურაძე: - მესამე წელიწადია, რაც ბავშვები აჭარაში ჩაგვყავს. იმ ხნის განმავლობაში, რასაც ბათუმში ვატარებთ, ჩვენი სპორტსმენები სულიერადაც ისვენებენ. მათ ოსეთში მუდმივად ესმით ადამიანების გატაცება, სიკვდილი თუ კოკოითის მთავრობის მუქარა...

მოკლედ, ბათუმში გატარებული დღეების სითბო მთელი წელი მიგვდევს ხოლმე. ამ ყველაფრისთვის დიდი მადლობა ორგანიზატორებს და დავით კვაჭაძის სახელობის სკოლის დირექტორ რევაზ მეგრელიშვილს, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ ბავშვებს მაქსიმალური კომფორტი ჰქონდეთ.

ვანო ქრისტესიაშვილი: - ჩვენმა სპორტსმენებმა საკმაოდ კარგი შეკრება გაიარეს ბათუმში, რისთვისაც განათლების სამინისტროს მადლობას ვუხდით. გვყავს საკმაოდ კარგი მოკრივეები, არის გარკვეული წარმატებებიც და თუკი ხელშეწყობა გვექნება, მომავალში უფრო მაღალ შედეგებსაც ვაჩვენებთ. დაპირებები არის და ვნახოთ...

კახა ქომეთიანი: - მოგეხსენებათ, აფხაზეთიდან გამოსვლისას, საზღვარზე ხშირად იქმნება პრობლემები და სამწუხაროდ, ამას წლეულსაც ვერ ავცდით. აფხაზმა მესაზღვრეებმა ავტობუსი გააჩერეს და იქამდე არ გამოგვიშვეს, სანამ ყველა ბავშვს დეტალურად არ გამოჰკითხეს, რისთვის მოდიოდნენ საქართველოში. ორი სპორტსმენი საერთოდ არ გამოუშვეს, ერთის ოჯახს კი სერიოზული პრობლემა შეუქმნეს და მოკრივის მშობელი დააკავეს.

მიუხედავად ყველაფრისა, იმდენად დიდია ბავშვების სურვილი, რომ გამოეცალონ აფხაზეთს და საქართველოს დარჩენილი ნაწილიც ნახონ, რომ რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლაზე წამითაც არ შეყოყმანებულან. ძალიან კმაყოფილები დავრჩით. ახლო მომავალში, დაგეგმილია ანალოგიური მოგზაურობა ბაკურიანშიც. ასეთი პროგრამები ძალიან სასარგებლოა ერის გამთლიანების საქმისთვის.

რევაზ მეგრელიშვილი: - განათლების სამინისტროს გამოყოფილი აქვს თანხა 12 სკოლისთვის, რომელიც ითვალისწინებს ამგვარ პროექტებს.

ზედიზედ სამი წელია, რაც ბათუმში ქართველებთან ერთად, ჩამოგვყავს აფხაზი და ოსი ბავშვები და თითოეული ჩამოსვლა მათთვის დიდი ზეიმია. გარდა იმისა, რომ ისინი მიჰყვებიან ცხოვრების ჯანსაღ წესს, უმეგობრდებიან ერთმანეთს, გვერდიგვერდ ცხოვრობენ, საერთო სიხარული და საწუხარი აქვთ.

ერთ შემთხვევას გავიხსენებ. აფხაზ ბავშვს, უეცრად ბრმა ნაწლავის ოპერაცია დასჭირდა (სხვათა შორის, ოპერაციის გაკეთება საკუთარ თავზე აიღო ჩვენმა მეგობარმა ექიმმა ალიოშა ზარაქაძემ, რისთვისაც დიდი მადლობას ვუხდი). მთელმა ბანაკმა ძალიან განიცადა მისი მდგომარეობა, სულ მის გვერდით ტრიალებდნენ, საჩუქრები უყიდეს და მისი გამოჯანმრთელებით გვარიანად გაიხარეს.

სამადლობელი სიტყვების მეტი არაფერი მეთქმის ჩვენი მასპინძლის - 14-ე სკოლის ხელმძღვანელობის მიმართ. ცალკე ალსანიშნავია სკოლის მახლობლად მცხოვრები ცნობილი ადამიანების ღვაწლი. მათ დიდი სამეგობრო აქვთ ჩამოყალიბებული, რომელსაც "ზღვის ლომებს" უწოდებენ. ამ ხალხმა ძალიან დიდი პატივი გვცა...

**კობა ხატისაშვილი**



## თარიღი

**ირაკლი ჭოჭუა.** დაიბადა 15.09.1979, ფოთი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (55, 60 კგ). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (2001), მსოფლიოს თასის მფლობელი (2004) და მესამე პრიზიორი (2003), ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი (1999) და მესამე პრიზიორი (1998), მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1999). 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (VI ადგილი).

**გიორგი სი□ინავა.** დაიბადა 15.09.1944, გაგრა. ფეხბურთი, ნახევარმცველი. თამაშობდა გაგრის "ტორპედოში" (1959), თბილისის "დინამოსა" (1960-69) და რუსთავის "მეტალურგში" (1971-72). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 8 მატჩი. მსოფლიო ჩემპიონატის მედალოსანი (IV ადგილი, 1966). სსრკ უმაღლეს ლიგაში ითამაშა 162 მატჩი (8 გოლი). სსრკ ჩემპიონი (1964) და ორგზის მესამე პრიზიორი (1962, 67). იყო გაგრის საფეხბურთო სკოლის დირექტორი (1982-91). ღირსების ორდენის კავალერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჭიდაობა | მსოფლიო ჩემპიონატი

## მემორანდუმი, ჩემპიონატის პრელუდია




გუშინ ფალავანთა კლუბში მსოფლიო ჩემპიონატისწინა პრესკონფერენცია გამართა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გენაძემ**. ფალავანთა კლუბშივე საზეიმოდ მოეწერა ხელი მემორანდუმს, რომელიც ჭიდაობის ფედერაციასა და "სახალხო ბანკს" შორის თანამშრომლობის გაგრძელებას ითვალისწინებს. პრესკონფერენციას "სახალხო ბანკის" პრეზიდენტი გიორგი გოგუაძეც ესწრებოდა.

კახა გენაძე: - *სახალხო ბანკსა" და ჩვენ შორის 2006 წელს გაფორმდა ერთწლიანი მემორანდუმი, რომელიც მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასიკეთო გაკეთდა. ჩვენ ქვეყნის მასშტაბით გავარემონტეთ 35 საჭიდაო დარბაზი, შევიძინეთ საჭიდაო ხალიჩები. სასიხარულოა, რომ "სახალხო ბანკს" კვლავ სურს ფედერაციასთან თანამშრომლობა. იმედი გვაქვს, ჩვენი ურთიერთობა იქნება ის საწინდარი, რომელიც ქართველ მოჭიდავეებს პეკინის ოლიმპიადაზე წარმატებას მოუტანს. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს. მას ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ, გუნდები კარგად მოემზადნენ და საბრძოლველად მზად არიან. მსოფლიო ჩემპიონობის გარდა ჩვენებისთვის დიდი სტიმული იქნება ოლიმპიური ლიცენზიები, რომლებიც ბაქოში წარმატებულ ფალავნებს ხვდება წილად.*

გიორგი გოგუაძე: - *სახალხო ბანკი ჭიდაობის ფედერაციას კვლავ გვერდში დაუდგება. ძალიან მსურს, რომ სხვა ფირმებმა ამ ეროვნულ საქმეში გვაჯობონ კიდეც, თუმცა ჯერჯერობით ასე არაა. ქართველ მოჭიდავეებს ბაქოში დიდ წარმატებებს ვუსურვებ.*

პრესკონფერენციას ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების მთელი შემადგენლობა ესწრებოდა, მწვრთნელ **ბეგი დარჩიასთან** ერთად. ნაკრები დღეს საღამოს თბილისი-ბაქოს მატარებლით გაემგზავრება აზერბაიჯანის დედაქალაქში. ხვალ ბაქოში ჰეიდარ ალიევის სპორტკომპლექსში სამ წონით კატეგორიაში (55, 60, 66) წილისყრა გაიმართება. ორშაბათს, დილის 9 საათიდან კი ასპარეზობაც დაიწყება.

**ჩვენი გუნდების შემადგენლობა და განრიგი ასეთია:**

ანტიკური ჭიდაობა. 17 სექტემბერი: **მამუკა ხოზრევანიძე** (55), **დავით ბედინაძე** (60), **ლაშა ლომაძე** (66), 18 სექტემბერი: **მანუჩარ კვირკველია** (74), **ბადრი ხასაია** (84), **რამაზ ნოზაძე** (96), 19 სექტემბერი: **რევაზ ჭელიძე** (120).

თავისუფალი ჭიდაობა. 19 სექტემბერი: **გოჩა კირკიტაძე** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60); 20 სექტემბერი: **ოთარ თუშიშვილი** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **რევაზ მინდორაშვილი** (84); 21 სექტემბერი: **გიორგი გოგშელიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

## ყაველაშვილი მიქაძის წინააღმდეგ

დასასრულს მიუახლოვდა ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი "ბორჯომის თასი", დღეს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის მთავარ კორტზე გაიმართება ფინალური მატჩი, რომელშიც 20 წლის **თინათინ ყაველაშვილი** მასზე ერთი წლით უმცროს **თათია მიქაძეს** შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ყაველაშვილი ამ ტურნირზე განუთესავი იყო, ხოლო მიქაძე "უაილდ ქარდის" წყალობით მოხვდა ძირითად ბადეში. ორივე ჩოგბურთელს პროფესიულ კარიერაში ორწლიანი წყვეტა ჰქონდა, ახლა ისინი დაკარგულს იბრუნებენ.

გუშინ ბაქოს ტურნირის გამარჯვებული ყაველაშვილი საქართველოს ექსჩემპიონ **სოფიო ქვაცაბაიას** შეხვდა. ძალიან დაძაბული მატჩი ყაველაშვილმა სამ სეტში მოიგო - 7:5, 4:6, 6:3. მეორე მატჩში თათია მიქაძემ თითქმის წაგებული მესამე სეტი (2:4) შემოაბრუნა და მეორე ნომრად განთესილი ფავორიტი **სოფიო შაფათავა** (487) დაამარცხა - 2:6, 7:5, 6:4.



თათია მიქაძე


თინათინ ყაველაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

### ჩახნაშვილი ბორდოს დაემშვიდობა

**მაკა ჩახნაშვილმა** (149) წარუმატებლად იასპარეზა ბორდოს საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. ერთეულებში მაკამ პირველივე მატჩში შეწყვიტა ასპარეზობა, წყვილებში ის პოლონელ **ალისია როსოლსკასთან** ერთად მეორე ნომრად იყო განთესილი. მეოთხედფინალში როსოლსკამ და ჩახნაშვილმა მოულოდნელად წააგეს გერმანელ **სანდრა კლოიზელთან** (126) და შვეიცარიელ **ტიმეა ბაჩინსკისთან** (92) - 5:7, 2:6.

### მარცხი მერვედფინალში

19 წლის **ნოდარ ითონიშვილი** ქაიროს საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) მეორე წრეში დამარცხდა. ნოდარმა აქამდე საკვალიფიკაციო ბადე დაძლია და ძირითადი ბადის ერთი შეხვედრაც მოიგო. მერვედფინალში მისი მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი ეგვიპტელი **შერიფ საბრი** იყო, მასპინძელმა ორ სეტში იმძლავრა - 3:6, 5:7. წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში ნოდარ ითონიშვილი და მისი მეწყვილე ეგვიპტელი **იასერ ადელ საიედი** პირველ ნომრად განთესილ ძმებს, **მოჰამედ** და **ქარიმ მაამუნებს** ხვდებიან.

სუმო

## იაპონელთა კერპს მოუგო

გუშინ **კოკაიმ** იაპონელთა კუმირი **ტაკამისაკარი** დაამარცხა და აკი ბაშოზე მოგებათა რიცხვი კვლავ გაუთანაბრა წაგებებს - 3-3. ქართველი მე-12 მაეგაშირაა და მისი უმთავრესი ამოცანა ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულება და სახიფათო ზონიდან თავის დაღწევაა. კოკაი ხშირად უგებს ხოლმე ტაკამისაკარის, ამჯერადაც მან ძალით აჯობა მეტოქეს და იორიტაოშის ილეთით დოჰიოს მიღმა გადააგდო ის. დღეს კოკაის მეტოქე მეათე მაეგაშირა **ივაკიამაა**. მძიმეწონოსანი ივაკიამა (174 კილო) წლეულს სამჯერ დამარცხდა ქართველ ფალავანთან ბრძოლაში. იმედია, ეს ტრადიცია არც მეოთხედ დაირღვევა. აკი ბაშოზე ივაკიამას 2 მოგება და 4 მარცხი აქვს. მაკუშიტას დივიზიონში მოასპარეზე ქართველები გუშინ ისვენებდნენ. შეგახსენებთ, რომ **ტოჩინოშინს** (**ლევან გორგაძე**) 3-0 ბალანსი და ძურიოს დივიზიონში დაწინაურების შანსი აქვს, **გაგამარუს** (**თეიმურაზ ჯუღელი**) კი 0-3 ბალანსი აქვს და მაკუშიტადან გავარდნა ემუქრება.

ბაშოს დღეიდან ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს, სეკივაკეს რანგში მოასპარეზე **ამინიშიკი**. ამინიშიკიმ ზედიზედ მეექვსე შეხვედრა მოიგო, ამჯერად მან ყოფილი ოძეკი **დეჯიმა** დაამარცხა. ამინიშიკის თითო მარცხით კვალში შვიდი რიკიში უდგას მათ შორის იოკოძუნა **ჰაკუჰო**. გუშინ ტრავმის გამო ტურნირი მიატოვა ვეტერანმა ჩემპიონმა **კაიომ**, რომელსაც აკი ბაშოზე მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**აკი ბაშო**

სექტემბრის სუპერტურნირი

9-23 სექტემბერი, ტოკიო (იაპონია)

VI დღე: კოკაი-ტაკამისაკარი 1:0 (იორიტაოში), ჰაკუჰო-კისენოსატო 1:0, კოტოოშუ-ჰოკუტორიკი 1:0, ტოჩინონადა-კაიო 1:0, ასასეკირიუ-კოტომიცუკი 1:0, ჩიოტაიკაი-ტოკიტენკუ 1:0, ამინიშიკი-დეჯიმა 1:0, ამა-კაკურიუ 1:0, ჰომაშო-ვაკანოსატო 1:0, კოტოშოგიკუ-მიაბიამა 1:0, ტოიონოშიმა-კაიჰო 1:0, ტაკეკაძე-კასუგაო 1:0, ივაკიამა-ტოჩიოძანი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა 6-0: ამინიშიკი (სეკივაკე); 5-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოოშუ (ოძეკი), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ტაკეკაძე (მაეგაშირა 8), კასუგაო (მ10), კიოკუტენჰო (მ 12), გოეიდო (მ 14); .. 3-3: კოკაი (მ 12).

VII დღე: კოკაი-ივაკიამა, ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, კოტომიცუკი-ჰოკუტორიკი, ჩიოტაიკაი-კაკურიუ, კოტოოშუ-დეჯიმა, ამინიშიკი-ტოკიტენკუ, ასასეკირიუ-ტოჩინონადა, ამა-კისენოსატო.

ქუჩის კალათბურთი


გიორგი ზამბახიძე

## მაგთი, ბალი და ლელო

**"მაგთიკომის" სათავო ოფისში არის ერთი რკინის ჭიშკარი, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებული შეხვედრების დროს იხსნება. ამ რკინის კარით გუშინ კომპანიის საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებთან ერთად კალათბურთელებიც შევიდნენ. წელს "მაგთიკომი" 10 წლის ხდება და ამ თარიღთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოში პოპულარული ჯიესემ-ოპერატორი საკუთარი მომხმარებლის გაჯანსაღებასაც შეეცდება.**

ქუჩის კალათბურთი, ჰაერნაოსნობის ტურნირი, სქიკროსინგი და თბილისში "მოარული" კახა კალაძე - ეს "მაგთიკომის" სპორტული აქციების მცირედი ჩამონათვალია. თუმცა, გუშინ მაგთის ოფისში საუბრის მთავარი თემა მხოლოდ კალათბურთი იყო.

თბილისის ცენტრში დღეს და ხვალ გაიმართება შეჯიბრება ქუჩის კალათბურთში,

დიდებში - "მაგთის" და 17-წლამდელთა შორის "ბალის" თასზე. ძირითად ტურნირში დიდი კალათბურთიდან წასული ვეტერანებიც ითამაშებენ. მაგალითად, 30 გუნდს შორის, გაზეთ "ლელოს" სახელს, ჟურნალისტ **ზურაბ თალაკვაძესთან** ერთად დაიცავენ ვითელები **ირაკლი ბაქრაძე** და **ლევან გეგეშიძე**, სდასუელი **გიორგი ჩხეიძე**, ეროვნულ ჩემპიონატებზე თითქმის ყველა გუნდში ნათამაშები **გოჩა წოწელია.**

ქუჩის კალათბურთის მაგთიკომისეულ ტურნირზე მედლის ღირსებას კიდევ ერთი, "რუსთავი 2-ის" გუნდი (**დიმიტრი ობოლაძე, დათო ფრანგიშვილი** და სხვები) დაიცავენ. დანარჩენი გუნდები ძირითადად ბიზნეს-სექტორისა და მოყვარული კალათბურთელებით იქნება დაკომპლექტებული. გამარჯვებულს მაგთის თასი და ფულადი ჯილდო - 1000 ლარი გადაეცემა. მეორე ადგილზე გასულს 500 ლარი ერგება წილად. აი, მესამე ადგილი "სთრით ბოლში" არ თამაშდება, სამაგიეროდ საუკეთესო მოთამაშეს და მსროლელს მესამე თაობის ტელეფონები გადაეცემათ.

"მაგთის" თასის მსგავსი ნომინაციები და პრიზები, მცირედი სახეცვლილებით (I ადგილს ფულადი პრემია 500 და II ადგილს - 250 ლარი) უკვე ბალის თასის გამარჯვებულებს ელით. ამ ტურნირში 17-წლამდელი ასაკის კალათბურთელები მიიღებენ მონაწილეობას. "ბალის" ტურნირზე მონაწილეობის სურვილი 10 გუნდმა გამოთქვა.

*"ჩვენ გვინდა ამ ახალგაზრდებს მივცეთ შანსი მოხვდნენ ქუჩის კალათბურთის ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების სათადარიგო შემადგენლობაში".* - განაცხადა **გიორგი ზამბახიძემ** საქართველოს ქუჩის კალათბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ, რომელსაც იმედი აქვს, რომ ამ ბიჭებს შორის შეიძლება მომავალი დიდი კალათბურთელიც გამოჩნდეს.

წილისყრა არაორდინალურად გაიმართა. მომავალი მეტოქეები მონაწილე გუნდების წარმომადგენლებმა მაგთის კეპიდან ამოღებული ნომრებით გაარკვიეს. თავდაპირველად გუნდები ძირითად ტურნირში, ოთხ, ხოლო 17 წლამდე ასაკის მონაწილეებს შორის ორ ქვეჯგუფში გადანაწილდნენ. საუკეთესოები საბოლოო გამარჯვებულის გამოსავლენად ერთმანეთს ოლიმპიური სისტემით დაუპირისპირდებიან.

შეჯიბრებები შაბათ-კვირას, ფილარმონიასთან, "ბითლზ კლუბის" წინ სახელდახელოდ გამართულ მოედანზე, დილის 11 საათიდან დაიწყება. "მაგთისა" და "ბალის" თასების ტურნირების გამარჯვებულების შესახებ კი შეჯიბრების საინფორმაციო მხარდამჭერი, გაზეთი "ლელო", ვრცლად ორშაბათს მოგითხრობთ.

**თამარ ჯიშკარიანი**





ორი თავით მაღლა

# ინგლისი საქართველოა?

**14 სექტემბერი. სენ დენი. A**

**ინგლისი-სამხ. აფრიკა 0:36**

ინგ: (15-9) რობინსონი (ტეიტი 58), ლუსი, ნუნი (რიჩარდსი 80), ფარელი, საკი, ქეთი, პერი (გომერსოლი 41); (1-8) შერიდანი (ფრეშვოტერი 78), რიგანი (ჩატერი 56), სტივენსი, შოუ (78), ქეი, ქორი, რისი (მუდი 53), ისტერი

აფრ: (15-9) მონტგომერი, პიტერსენი, ფური, შტაინი (ოლიფიე 76), ჰაბანა, ჯეიმზი (პრეტორიუსი 71), დიუპრე (პინარი 67); (1-8) დურანი (ფანდერლინდე 61), ჯ. სმითი (დიუპლესი 71), ბრ. ბოთა, ბაკ. ბოთა (მულერი 53), მეტფილდი, ფანჰირდენი, ჟ. სმითი (სკინსტადი 67), როსუ - 3ლ (ჟ.სმითი, პიტერსენი-2), 3გ (მონტგომერი), 5ს (შტაინი, მონტგომერი 4)

| A ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს.აფრიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 95-7 | 1 | 9 |
| ტონგა | 1 | 1 | 0 | 0 | 25-15 | - | 4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 28-46 | - | 4 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 25-53 | - | 0 |
| სამოა | 1 | 0 | 0 | 1 | 7-59 | - | 0 |

**16 .09, 18:00 სამოა-ტონგა**

მსოფლიოს ჩემპიონი აღარ ჰყავს. ინგლისი არის ჩვეულებრივი გუნდი, რომელმაც ახლა სამოასთან უნდა იწვალოს ჯგუფში მეორე ადგილზე გასასვლელად. მათი მხრიდან მოედანზე იყო "ქურციკთა" ბადალი ერთადერთი მოთამაშე - **ჯეისონ რობინსონი**, რომელმაც მეორე ტაიმში კუნთი დაიჭიმა და ჯერჯერობით კაცმა არ იცის, მომჯობინდება თუ არა 22 სექტემბრისთვის, სამოასთან მატჩამდე. მეორე იმედი ისაა, იქამდე იქნებ **ჯონი ვილკინსონმაც** მოირჩინოს ნატკენი კოჭი.

მსოფლიო თასების ისტორიაში კი მეხუთე შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ერთმა გუნდმა მეორე ნოლზე დატოვა: 1995, **სამხ. აფრიკა - კანადა 20:0, შოტლანდია - სპილოს ძვლის ნაპირი 89:0**; 1999, **შოტლანდია-ესპანეთი 48:0**; 2003, **ავსტრალია-ნამიბია 142:0**.

სამხრეთაფრიკელებმა ერთადერთი მეოთხე ლელოს გატანა და პრემიალური ქულის აღება ვერ მოახერხეს, თუმცა ეს უკვე არაფერში სჭირდებათ. მათ ორი გასეირნება დარჩათ აშშ-ისა და ტონგასთან და მშვიდად მოემზადებიან მეოთხედფინალისთვის.

"ქურციკთაგან" განსაკუთრებით ორმა კაცმა გამოიჩინა თავი და სამივე ლელოში წილი დაიდო. გარემარბმა **ჯეიპი პიტერსენმა** ორი ლელო გაიტანა და პირველზეც მან გაარღვია ინგლისელთა დაცვა მოკლე ფრთაზე. სამივე სალელოე პასი 9 ნომერმა **ფური დიუპრემ** შეასრულა.

მატჩი გამოირჩა ოთხი აცილებული არეკნითაც - ორჯერ **პერსი მონტგომერიმ** ააცილა, თითოჯერ **ფრანსუა შტაინმა** და **მაიკ ქეთმა**. მსოფლიო თასზე 13 მატჩი მიილია, ამ ხერხით კი ჯერ გოლი არავის გაუტანია. იქნებ ამ შაბათ-კვირის 6 მატჩში გატყდეს ნავსი.

სულ ბოლოს, შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა არგენტინასთან 3:33 წააგო.

**ნიკოლოზ აბაშიძე**

# ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

## მწვრთნელი და კაპიტანი განხეთქილებას უარყოფენ

ირლანდიის ნაკრების ბანაკში თურმე არეულობა ყოფილა, თუმცა გუშინ პრესკონფერენციაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ედი ოსალივანმა** და კაპიტანმა **ბრაიან ოდრისკოლმა** საჩქაროდ უარყვეს ეს ცნობა და ჭორი უწოდეს. სალივანს პრესკონფერენციაზე შეახსენეს, თითქოს რამდენიმე მოთამაშემ საჯაროდ განაცხადა, რომ მსოფლიო თასზე ნაკრების ბანაკში ყოფნით უკმაყოფილოა. ოსალივანმა განაცხადა, რომ აღშფოთებულია ასეთი რამის მოსმენით და უკვირს საიდან ასეთი ჭორი.

- მთელი კვირაა ბიჭები მონდომებით ვარჯიშობენ. ჩვენს ბანაკში ბრწყინვალე სიტუაციაა. აქაური სასტუმროც დიდებულია. თუ თქვენ ნამიბიასთან მატჩის გამო (32:17) განაწყენებას გულისხმობთ, ასეთ შემთხვევაში ყველა, ნაკრების თითოეული წევრი ერთნაირად განვიცდით. ეტყობა ჟურნალისტებმა ბიჭების გამონათქვამს არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს.

იგივე აზრიც გამოთქვა **ბრაიან ოდრისკოლმაც**: - თუ ბიჭებმა ნამიბიასთან მატჩის შესახებ განაცხადეს, რომ მსოფლიო თასზე ყოფნით ბედნიერები არ არიან, ცხადია, რასაც გულისხმობდნენ. არავის მოეწონა, თუ როგორ ვითამაშეთ აფრიკელებთან. ეგაა და ეგ.

ამის შემდეგ ოსალივანი საქმეზე გადავიდა და საქართველოს ნაკრების პირველი თამაში შეაფასა:

- ქართველთა გუნდი არგენტინასთან თითქმის მთელი მატჩი ბრწყინვალე იყო. მხოლოდ მატჩის ბოლო მეოთხედში გაუშვეს მათ თამაშის სადავეები ხელიდან. ჩვენთან თამაშშიც ნამდვილ ცეცხლს დაანთებენ მოედანზე, ძალიან ძნელი იქნება მათი შეჩერება. ჩვენ თავდაჯერება და გონიერება გვმართებს, თავიდანვე მეტისმეტი არ უნდა მოვინდომოთ.



ბრაიან ოდრისკოლი (ცენტრში) გუშინდელ ვარჯიშზე

# დატოვეთ მსოფლიო თასზე ოცი გუნდი!

## აფსუსი არ არის საქართველო და ნამიბია?

**ზე-14-ის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ჩვენთვის ძალზე საინტერესო სტატია, რომლის ავტორი ტონი კურტისია, სტატიის სათაური უკვე მიგვანიშნებს რაზეა საუბარი: "დატოვეთ მსოფლიო თასი 20-ზე". ეს სტატია იმდენად საინტერესო გვეჩვენა, რომ თითქმის მთლიანად შემოგთავაზებთ:**

- რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) დერეფნებში ხშირად გაიგებთ, რომ მიმდინარეობს კამპანია, რომლის მიზანი მსოფლიო თასზე მონაწილე გუნდების 20-დან 16-მდე შემცირებაა. რომ მომავალ ფინალში რამდენიმე მცირე სარაგბო ქვეყანას ველარ ვიხილავთ.

ამით შესაძლოა ნამიბიის, საქართველოს და ამერიკის ნაკრებები დაზარალდნენ. არგენტინის ნაკრებმა ამ გეგმას ძალიან ძლიერი დარტყმა მიაყენა, პარიზში საფრანგეთის ნაკრები დააჩოქა. ამ მოგებამ არგენტინის ნაკრები რეიტინგში მეოთხე ადგილზე ალაზევა, ერთით ზემოთ, ვიდრე თავად ფრანგები.

არგენტინელთა პროგრესი, იტალიელთა პროგრესი, წესით, IRB-ისთვის საკამრისი არგუმენტი უნდა იყოს, რომ თასზე მოხვედრაში საქართველოს, ამერიკას და ასეთ ქვეყნებს ხელი არ შეუშალოს და მსოფლიო თასის მონაწილეთა რიცხვი არ შეამციროს.

მართალია, წინ პორტუგალია ახალი ზელანდიის მატჩი გველის, რაც სავარაუდოდ, ევროპელთა რბევით დასრულდება. თუმცა რომელი ნაკრები არ დაუჩაგრია "ოლ ბლექსის" ძალას? მიუხედავად ამისა, პირველი მსოფლიო თასის შემდეგ, რომელიც 1987 წელს ჩატარდა.



არგენტინასთან მატჩმა მსოფლიოს თვალში კარგად წარმოგვაჩინა

სპორტის ეს სახეობა ვითარდება და ვითარდება, ახლა უკვე ამ სისტემას დივიდენდები მოაქვს მსოფლიო რაგბისთვის.

ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია, ინგლისი სულ მოწინავე ძალად რჩებიან, მაგრამ ფავორიტებს და აუტსაიდერებს შორის უზარმაზარი განსხვავება ყოველ ტურნირზე მცირდება. შევხედოთ იტალიელებს - ვინ იფიქრებდა, რომ ისინი ოდესმე ორ გამარჯვებას მიაღწევდნენ ექვსი ერის გათამაშებაში იმ ნაკრებებთან, რომელთანაც 50-ქულიანი სხვაობით რეგულარულად მარცხდებოდნენ.

არგენტინელმა მოგზაურებმა უკვე შეაბიჯეს რაგბის ელიტაში, მათ უკვე მიაღწიეს ისტორიულ გამარჯვებას "თვიქნემზე". სამოა, ტონგა, კანადა, ფიჯი, აშშ... ახლა ნამიბია და საქართველოც. ყველა ეს ნაკრები პროგრესირებს.

IRB კი აპირებს 2011 წლის მსოფლიო თასისთვის მონაწილეთა რიცხვი 16-მდე დაიყვანოს. თუმცა კანადის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ალ შარონი** ორგანიზაციას მოუწოდებს არ გადადგას ეს წამგებიანი ნაბიჯი და არ გადაუსვას ყველაფერ კარგს ხაზი რაც კი IRB-ის აქამდე გაუკეთებია. "*IRB-იმ ძალიან დიდი საქმეები გააკეთა, 1999 წლის შემდეგ რაგბის გლობალიზაცია არნახული ტემპით მიდის. ახალი ნაკრებები ბრწყინვალედ თამაშობენ და თუ ჩვენ გვინდა პროგრესი არ შეჩერდეს მსოფლიო თასის გამართვის ფორმატი არ უნდა შეიცვალოს*". - ამბობს ის.

ნამიბიის მაგალითი ავილოთ - ოთხი წლის წინათ მათ ირლანდიასთან 7:64 წააგეს. ახლა კი ბორდოში ანგარიში სულ რაღაც 17:32 იყო. პროგრესი აშკარაა. კიდევ ერთი ნათელი მაგალითი - საქართველო... წინა მსოფლიო თასზე მათ ინგლისი ნაკრებმა გადაუარა. ქართველებმა დანარჩენი მატჩებიც წააგეს. ლიონში პირველებმა არგენტინელებმა იგრძნეს ქართველთა პროგრესის ძალა. მათი შერკინება მატჩის მსვლელობას კარნახობდა, მათ ბეკებს რომ ხეირიანად აებათ მხარი, ვინ ცის რა მოხდებოდა. ოთხ წელიწადში მეტი სწავლებით და კარგი ტესტმატჩებით, ვინ იცის მსოფლიო თასზე როგორი საქართველოს ნაკრები ითამაშებს?

იმედი ვიქონიოთ, რომ IRB კარგად ხვდება იმის მნიშვნელობას, რომ ვერანაირი "მსოფლიო ტროფი", (ანუ მეორე დონის 8 ნაკრების ტურნირი, რომლის შემოღებასაც 16-გუნდა მსოფლიო თასის დროს აპირებენ) ვერ შეცვლის ნამდვილ ტესტ-მატჩებს. იმედია, ეს ორგანიზაცია ხელს არ შეუშლის ჯერჯერობით მცირე სარაგბო ერებს ხანდახან ელიტას შეერიოს. ოთხ წელიწადში ერთხელ მართლაც შესანიშნავი ტურნირი ეწყობა, გუნდების 16-მდე შეკვეცა კი 2011 წლის მსოფლიო თასს კატასტროფად დაუჯდება.

**15 სექტემბერი. 15:00. C ჯგუფი**

**ზელანდია-პორტუგალია**

ლიონი, სტად ჟერლანი

ზელ: 15. მალილი მულიაინა 14. ისაია ტოეავა 13. კონრად სმითი 12. აარონ მეიჯერი 11. ჯო როკოთოკო 10. ნიკ ევანსი 9. ბრენდონ ლეონარდი; 1. ნეემია ტიალატა 2. ენდრიუ ჰორი 3. გრეგ სამერვილი 4. ქრის ჯეკი 5. ალი ვილიამსი 6. ჯერი კოლინზი (კაპ) 7. ქრის მასოი 8. სიონე ლაუაკი / 16. ანტონ ოლივერი 17. ტონი ვუდკოკი 18. კარლ ჰეიმენი 19. როდნი სოოიალო, 20. კევენ მეალამუ; 21. ენდრიუ ელისი 22. ლიონ მაკდონალდი

პორ: 15. პედრო ლეალი 14. ანტონიო აგილარი 13. მიგელ პორტელა 12. დიოგო მატეუში 11. პედრო კარვალიუ 10. გონსალო მალეირუ 9. ლუის პისარა; 1. ანდრე სილვა 2. ჟოაო კორეია 3. რუბენ შპაჩუკი 4. მარსელო დორეი 5. გონსალო უვა 6. პაულუ მურინელუ 7. დიოგო კოუტინიო 8. ვასკუ უვა (კაპ) / 16. რუი კორდეირუ 17. ჟოაკიმ ფერეირა 18. დავიდ პენალვა 19. ტიაგო ჟირაუ 20. ჟოაო უვა; 21. ჟოზე პინტუ 22. დუარტე პინტუ

მსაჯი: ქრის ვაითი (ინგ)

**15 სექტემბერი. 17:00. B ჯგუფი**

**უელსი-ავსტრალია TV**

კარდიფი, მილენიუმი

უელ: 15. გარეს თომასი (კაპ) 14. მარკ ჯოუნზი 13. ტომ შენკლინი 12. სონი პარკერი 11. შეინ ვილიამსი 10. სტივენ ჯოუნზი 9. დვეინ პილი; 1. გეზინ ჯენკინსი 2. მეთიუ რისი 3. ადამ ჯოუნზი 4. იან გაფი 5. ალუნვაინ ჯოუნზი 6. კოლინ ჩარვისი 7. მარტინ ვილიამსი 8. ჯონათან თომასი / 16. თომას რის-თომასი 17. დანკან ჯოუნზი 18. მაიკლ ოუენი 19. ალექი პოპემი; 20. მაიკლ ფილიპსი 21. ჯეიმზ ჰუკი 22. კევინ მორგანი

ავს: 15. ქრის ლეითემი 14. დრიუ მიჩელი 13. სტირლინგ მორტლოკი (კაპ) 12. მეტ გიტო 11. ლოტე ტუკირი 10. სტივენ ლარქემი 9. ჯორჯ გრეგანი; 1. მეტ დანინგი 2. სტივენ მური 3. გაი შეპერდსონი 4. ნეითან შარპი 5. დანიელ ვიკერმანი 6. როკი ელსომი 7. ჯორჯ სმითი 8. ვაიკლიფ პალუ / 16. ადამ ფრეიერი 17. ალ ბაქსტერი 18. მარკ ჩიზჰოლმი 19. სტივენ ჰოილზი 20. ფილ ვოო; 21. სკოტ სტანიფორსი 22. ჯულიან ჰაქსლი

მსაჯი: სტივ ვოლში (ზელ)

**16 სექტემბერი. 16:00. B ჯგუფი**

**ფიჯი-კანადა**

კარდიფი, მილენიუმი

კან: 15. მაიკ პაიკი 14. DTH ფანდერმერვე 13. კრეიგ კალპენი 12. დეივ სპაისერი 11. ჯეიმზ პრიჩარდი 10. რაიან სმითი 9. მორგან ვილიამსი (კაპ); 1. როდ სნოუ 2. პეტ რიორდანი 3. ჯონ თიელი 4. მაიკ ბურაკი 5. მაიკ ჯეიმზი 6. ჯეიმი ქედმორი 7. დეივ ბიდლი 8. შონ-მაიკლ სტივენი / 16. აარონ კარპენტერი 17. დენ ფლეჩი 18. მაიკ ფლეჩი 19. ლუკ ტეიტი; 20. კოლინ იუქსი 21. ედ ფერჰერსტი 22. ანდერ მონრო

ფიჯ: 15. კამელი რატუვოუ 14. ვილიმონი დელასაუ 13. სერუ რაბენი 12. სერემაია ბაი 11.ისოა ნეივუა 10. ნიკი ლითლი 9. მოსესე რაულუნი (კაპ); 1. გრეემ დიუისი 2. სუნია კოტო 3. ჯონე რაილომო 4. კელე ლეავერე 5. იფერეიმი რაუაკა 6. სემისი ნაევო 7. აკაპუსი ქერა 8. სისა კოიამაიბოლე / 16. ვერენიკი საუტურაგა 17. ჰენრი ქიოდრავუ 18. ნეტანი ტალეი 19. ჯონე კოვუ; 20. ჯონე დაუნივუკუ 21. მალელი კუნავორე 22. ნორმან ლიგაირი

**16 სექტემბერი. 18:00. A ჯგუფი**

**სამოა-ტონგა**

მონპელიე, სტად დე ლა მოსონი

სამ: 15. გევინ ვილიამსი 14. სალოსი ტაგითაკიბაუ 13. ელვის სევეალი 12. სეიალა მაპუსუა 11. ალესანა ტუილაგი 10. ლოკი კრიჩტონი 9. სტივენ სოოიალო; 1. ჯასტინ ვაა 2. მაჰონრი შვალგერი 3. სენსუს ჯონსტონი 4. ჯო ტეკორი 5. კეინ თომპსონი 6. დანიელ ლეო 7. ულია ულია 8. სემო სიტიტი (კაპ) / 16. ტანიელუ ფუგა 17. მულიუფი სალანოა 18. ლეო ლაფაიალი 19. ჯასტინ პერდი; 20. ჯუნიორ პოლუ 21. ლოლო ლუი 22. დევიდ ლემი

ტონ: 15. ვუნგაკოტო ლილო 14. ტევიტა ტუიფუა 13. სუკანაივალუ ჰუფანგა 12. ეპელი ტაიონე 11. ჯოზეფ ვაკა 10. პიერ ჰოლა 9. ენელე ტაუფა; 1. სოანე ტონგაუიჰა 2. ეფრაიმ ტაუფაკა 3. კისი პულუ 4. ინოკე აფეაკი 5. პაინო ჰეჰეა 6. ჰეილ თი-პოლე 7. ნილი ლატუ (კაპ) 8. ფინაუ მაკა / 16. ალეკი ლუტუი 17. ტომა ტოკე 18. ვილიამი ვაკი 19. ემოსი კაუჰენგა; 20. სიონე ტუიპოლოტუ 21. ისილესი ტუპოუ 22. ჰადსონ ტონგაუიჰა

**16 სექტემბერი. 23:00. D ჯგუფი**

**საფრანგეთი-ნამიბია TV**

ტულუზი. სტად მუნისიპალი

საფ: 15. კლემან პუატრენო 14. ვენსან კლერი 13. დავიდ მარტი 12. დამიენ ტრაი 11. სედრიკ ემონსი 10. ფრედერიკ მიშალაკი 9. ჟან-ბატისტ ელისალდი (კაპ); 1. ჟან-ბატისტ პუ 2. დიმიტრი შარჟევსკი 3. პიერ დევილიე 4. სებასტიან შაბალი 5. ლიონელ ნალე 6. იანიკ ნიონგა 7. ტიერი დუზოტუარი 8. ჟულიენ ბონერი / 16. რაფაელ იბანესი 17. ნიკოლა მასი 18. ფაბიენ პელუ 19. იმანოლ არინორდოკი; 20. ლიონელ ბოსი; 21. იანიკ ჟოზიონი 22. ორელიან რუჟერი

ნამ: 15. ტერტიუს ლოსპერი 14. რაიან ვიტბუი 13. ბრედლი ლანხენჰოვენი 12. პიტ ფანზილი 11. ჰეინი ბოკი 10. ემილ ვესელსი 9. იური ფანტონდერი; 1. კეეს ლენსინხი (კაპ) 2. ჰუგო ჰორნი 3. იანე დიუტუა 4. ვაკა კაზომბიაზე 5. ნიკო ესტერჰოიზე (კაპ) 6. ჟაკ ბურხერი 7. მაიკლ მაკკენზი 8. ჟაკ ნიუვენჰოისი / 16. იოჰანეს მაიერი 17. იონი რედელიხჰოისი 18. ჰერმან ლინდფელტი 19. თინუს დიუპლესი; 20. იუჯინ იანჩისი 21. ლიუ-ვეინ ბოუთსი 22. მელრიკ აფრიკა

## ცურვა

### დისკვალიფიკაცია

# მელულიმ ჩემპიონის ტიტული დაკარგა

სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის (FINA) გადაწყვეტილებით, 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გამოცხადდა. მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებულ ტუნისელ **უსამა მელულის** ოქროს მედალი ჩამოერთმევა და ის პოლონელ **პრჟემისლავ სტანჩიკს** გადაეცემა.

ყოველივე კი იმის შედეგია, რომ მელული ჩემპიონატამდე რამდენიმე თვით ადრე, დოპინგზე (ამფეტამინი) ჩავარდა. მაგრამ რამდენადაც მისი საქმე სააპელაციო სასამართლოში იყო, მას მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება მიეცა. ლოზანაში ბაზირებულმა სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლომ მელულის მიერ მელბურნში ნაჩვენები ყველა შედეგი გააუქმა და მას 18-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მოგვიანებით, სასამართლოს გადაწყვეტილება FINA-მ ოფიციალურად დაამტკიცა.


უსამა მელული

მელული პირველი ტუნისელია, ვინც ცურვაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება შეძლო. 800 მეტრზე გამარჯვების გარდა, 400 მეტრზე თავისუფალშივე, ვერცხლის მედალი მოიპოვა, 400 მეტრზე შერეული სტილით ინდივიდუალურში კი მედლის გარეშე დარჩა.

მელულის დისკვალიფიკაციის შედეგად, 800 მეტრზე თავისუფალში ასევე იხეირეს ავსტრალიელმა **კრეიგ სტივენსმა**, ვინც ბრინჯაოს ნაცვლად ვერცხლს მიიღებს და იტალიელმა **ფედერიკო კოლბერტადომ**, ვინც ბრინჯაოს მიიღებს. 400 თავისუფალში ჩემპიონად რჩება კორეელი **ტაე ჰვან პარკი**, ვერცხლს მიიღებს მესამეზე გასული ავსტრალიელი **გრანტ ჰეკეტი**, რომელიც თავის ბრინჯაოს რუს **იური პრილუკოვს** დაუთმობს.

1972 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ესოდენ დიდ ტურნირის ოფიციალური შედეგები დოპინგის გამო იცვლება. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე, 400 მეტრზე თავისუფალში გამარჯვებულ ამერიკელ **რიკ დემონტს** ოქროს მედალი იმის გამო ჩამოერთვა, რომ ექიმემა ასთმის სამკურნალოდ, შეცდომით აკრძალული პრეპარატი გამოუწერეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ჩოგბურთი

### ვარსკვლავი

# დავენპორტი წინსვლას აგრძელებს

ინდონეზიის ქალაქ ბალის საჩოგბურთო ტურნირზე წარმატებულ გამოსვლას აგრძელებს ამერიკელი ჩოგბურთელი **ლინდსი დავენპორტი**, ვინც მეოთხედფინალში მსოფლიოს მესამე ჩოგანს, სერბ **ელენა იანკოვიჩს** სამ სეტში მოუგო და ფინალის საგზურისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.

სხვათა შორის, სერბი ჩოგბურთელი შეხვედრის მიწურულს შრილანკელ მსაჯ **ასითა ატიგალასთან** კამათს უფრო მეტ დროს ანდომებდა, ვიდრე თამაშს. მსაჯის "უსამართლობამ" ის ყველაზე მეტად გადამწყვეტი სეტის მიწურულს ალაშფოთა, საბოლოოდ კი, თამაშის დასრულების შემდეგ, მას ხელიც კი არ ჩამოართვა.

*"ეს ნამდვილი საშინელება იყო. ლინდსისთან თამაშის დროს, მისი ძლიერი მოწოდების გამო, ისედაც ცოტა შანსი არსებობს იმისა, რომ ბრეიკისთვის იბრძოლო. აქ კი, მცირე შანსის გამოყენებას თუ ვახერხებდი, მსაჯის წყალობით, იმ ქულებს მაინც ვკარგავდი. თუ ბურთი პერიმეტრში ვარდებოდა, ის მაინც აუტს აფიქსირებდა. ასეთ საშინელებას არავის ვუსურვებ"*, - განაცხადა იანკოვიჩმა.

სხვათა შორის, მესამე სეტში, როცა ამერიკელი 4:2-ს იგებდა, მსაჯის მორიგი შეცდომის გამო, სერბმა ჩოგანი კორტს დაანარცხა და გააფუჭა. ამისათვის ის შენიშვნას იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა მომხდარი რეაგირების გარეშე დატოვა. იანკოვიჩმა კი თავისი გამტყდარი ჩოგანი ერთ-ერთ მაყურებელს უსახსოვრა, შემდეგ კი კორტს მოუბრუნდა და თამაში განაგრძო.

შეხვედრა ორმხრივი უამრავი შეცდომით აღინიშნა. პირველივე გეიმში დავენპორტმა ბრეიკი აილო, თუმცა შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო. თითქოს, იანკოვიჩს სეტი იოლად უნდა მოეგო, მაგრამ მომდევნო გეიმებში, მან 19 გათამაშებული ქულიდან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო და სეტიც მეტოქეს დაუთმო.

მეორე სეტიც დავენპორტის უპირატესობით დაიწყო, რომელმაც წინა სეტში აღებული ტემპი შეინარჩუნა და ზედიზედ ორი საწყისი გეიმი მოიგო. აქ კი სერბი გამოერკვა, რომელმაც ზედიზედ ექვსი გეიმის მოგებით, სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტის დაწყებამდე, დავენპორტმა კორტიდან გასვლა ითხოვა, იქიდან დაბრუნებულმა კი უმალ ხელთ იგდო სათამაშო უპირატესობა. მესამე გეიმში ეს უპირატესობა ბრეიკში გამოისახა და ამერიკელი 2:1 დაწინაურდა. იანკოვიჩი კი სულ აირია და შედეგად, მან თავის მოწოდებაზე ქულა კიდევ ერთხელ, მეშვიდე გეიმში დათმო, რის შემდეგაც დავენპორტს შეხვედრის მოგება აღარ გასჭირვებია.

ნამატჩევს დავენპორტმა მსაჯის შეცდომებზე საუბარს თავი აარიდა, ნახევარფინალში გასვლა კი დიდ მოულოდნელობად შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ ნახევარფინალში ტურნირი მისთვის არ დასრულდება.


ლინდსი დავენპორტი

## TV სპორტი

### 15 სექტემბერი. შაბათი

**I არხი**

**12:15** ჩოგბურთი. ბორჯომის თასი (LIVE).
**17:00** რაგბი. მსოფლიო თასი. უელსი-ავსტრალია (LIVE).
**22:00** რაგბი. მსოფლიო თასი. ირლანდია-საქართველო (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:21** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვერდერი.
**09:09** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**09:24** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი.
**11:10** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ლოს ანჯელესი-ჩივასი.
**12:55** სპორტის ისტორია.
**13:15** სპორტის სამყარო.
**13:43** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**14:28** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
**17:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი (LIVE).
**19:03** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**19:35** სპორტის სამყარო.
**20:00** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**20:15** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბლექბერნი (LIVE).
**22:18** ფეხბურთი. Barca TV.
**22:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ემპოლი (LIVE).
**00:28** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**00:56** სპორტის ისტორია.
**01:10** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-სანტოსი (LIVE).
**03:18** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი.
**05:03** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ლოს ანჯელესი-ჩივასი.
**06:50** ფეხბურთი. Barca TV.

**EUROSPORT**

**10:30** მულტისპორტი.
**11:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. კვალიფიკაცია.
**12:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**13:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. დანია-ახალი ზელანდია. ჩინეთი (LIVE).
**15:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ავსტრალია-ნორვეგია. ჩინეთი.
**16:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ბრაზილია-ჩინეთი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. XIV ეტაპი (LIVE).
**19:30** მულტისპორტი.
**20:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ბრაზილია-ჩინეთი. ჩინეთი.
**21:00** მოტორბოლა. 24-საათიანი რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი (LIVE).
**22:30** პროფესიული კრივი. მძიმე წონა. ა. პოვეტკინი (რუსეთი)-ლ. დონალდი (აშშ). მოსკოვი. რუსეთი.
**23:30** პროფესიული კრივი. ნახევრადსაშუალო წონა. რ. ჰატონი (ბრიტანეთი)-ხ. კასტილიო (მექსიკა). ლას ვეგასი. აშშ.
**00:30** გოლფი. Solheim Cup. შვედეთი.
**01:30** ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**13:00** ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**15:00** ახალი ამბები.
**15:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. კვალიფიკაცია.
**16:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**16:30** არმრესტლინგი.
**17:00** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. VII ეტაპი (LIVE).
**19:00** მოტორბოლა. 24-საათიანი რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი (LIVE).
**20:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბელგია.
**21:00** ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**23:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბელგია.
**00:00** მოტორბოლა. 24-საათიანი რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი (LIVE).
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. VII ეტაპი.
**02:15** ახალი ამბები.

### 16 სექტემბერი. კვირა

**I არხი**

**21:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეკრეატივო (LIVE).
**23:00** რაგბი. მსოფლიო თასი. საფრანგეთი-ნამიბია (LIVE).

**რუსთავი 2**

**18:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** მინი-მოედანი.
**07:24** ფეხბურთი. Barca TV.
**07:31** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
**09:27** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**11:11** ფეხბურთი. Barca TV.
**11:18** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მიდლსბრო.
**13:14** ფეხბურთი. Barca TV.
**13:23** მინი-მოედანი.
**13:51** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-მარიტიმუ.
**15:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბუქარესტი. უნგრეთი.
**17:27** სპორტის ისტორია.
**17:35** ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:00** ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. არსენალი-ტავრია (LIVE).
**19:55** ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. არსენალი-ტავრია. მატჩის შემდეგ.
**20:11** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:41** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:00** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მე-3 ადგილისთვის. ესპანეთი (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
**23:30** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. ესპანეთი (LIVE).
**01:25** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.
**03:20** ფეხბურთი. Barca TV.
**03:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**05:17** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-მარიტიმუ.

**EUROSPORT**

**10:30** მოტორბოლა. 24-საათიანი რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი (LIVE).
**11:15** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბელგია.
**12:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბელგია (LIVE).
**12:45** მოტორბოლა. 24-საათიანი რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი (LIVE).
**13:15** ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბელგია (LIVE).
**14:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი (LIVE).
**14:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
**16:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
**17:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ინგლისი-გერმანია. ჩინეთი.
**20:00** ველოსპორტი. ვუელტა. XV ეტაპი (LIVE).
**21:00** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**21:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-აშშ. ჩინეთი.
**22:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ბრაზილია-ჩინეთი. ჩინეთი.
**23:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ინგლისი-გერმანია. ჩინეთი.
**00:30** გოლფი. Solheim Cup. შვედეთი.
**01:30** სუმო.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** მოტორბოლა. 24-საათიანი რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი (LIVE).
**!2:45** ახალი ამბები.
**13:00** ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**15:00** ახალი ამბები.
**15:15** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უკრაინა-იტალია.
**16:00** მოტორბოლა. 24-საათიანი რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი (LIVE).
**17:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბელგია.
**17:45** ველოსპორტი. ვუელტა. XV ეტაპი (LIVE).
**19:30** ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**21:00** ახალი ამბები.
**21:15** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბელგია.
**21:45** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**23:15** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი სუპერმოტოს კლასში. იტალია.
**00:00** ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები | |
|---|---|
| აშშ-შვედეთი | 2:0 |
| იაპონია-არგენტინა | 1:0 |
| გერმანია-ინგლისი | 0:0 |
| ჩრ. კორეა-ნიგერია | 2:0 |

| ინგლისი. I ლიგა | |
|---|---|
| როვერსი-ლიდსი | 0:3 |
| სუონსი-კარლაილი | 2:1 |
| ტრანმერი-ლუტონი | 2:1 |
| **კონფერენსი** | |
| ტორკი-ჰალიფაქსი | 3:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| დორტმუნდი-ვერდერი | 3:0 |

| გერმანია. II ბუნდესლიგა | |
|---|---|
| კარლ ცაისი-კობლენცი | 1:2 |
| კაიზერი-პადერბორნი | 0:0 |
| სტ. პაული-ოფენბახი | 3:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვერდერი II-ბრაუნშვაიგი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ინგოლშტადტი-კასელი | 3:0 |
| პფულენდორფი-ზიგენი | 0:0 |
| შტ. კიკერსი-ზანდჰაუზენი | 1:2 |

| საფრანგეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| აიაჩო-ამიენი | 1:0 |
| ბულონი-შატორუ | 1:3 |
| გენიონი-კლერმონი | 1:1 |
| გინგამი-მონპელიე | 0:2 |
| ლიბურნი-ბასტია | 2:4 |
| ნიორი-ანჟერსი | 0:1 |
| ტრუა-რეიმსი | 4:2 |
| დიჟონი-ჰავრი | 2:3 |
| გრენობლი-ბრესტი | 3:1 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| გრონინგენი-უტრეხტი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-როსენდალი | 2:2 |
| ვენი-ომნივორლდი | 0:0 |
| დორდრეხტი-დენ ჰააგი | 5:0 |
| ვოლენდამი-იგლზი | 5:1 |
| ცვოლე-ვეენდამი | 3:1 |
| ფორტუნა-აპელდოორნი | 5:2 |
| ჰაარლემი-ეინდჰოვენი II | 3:1 |
| ჰელმონდი-დენ ბოში | 0:1 |
| ვაალვიკი-მაასტრიხტი | 1:0 |
| გოუ ოსი-ტელსტარი | 1:0 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| სეტუბალი-ბრაგა | 3:1 |

| ავსტრია. II დივიზიონი | |
|---|---|
| ავსტრია (ლ)-ავსტრია II | 1:1 |
| გრატკორნი-ლუსტენაუ | 1:1 |
| ლეობენი-კერნტენი | 4:0 |
| ზალცბურგი II-პარნდორფი | 2:2 |
| ბად ოსი-შვადორფი | 1:2 |

| ირლანდია | |
|---|---|
| კორკი-ლონგფორდი | 3:2 |
| დროგედა-დერი | 1:0 |
| სტ. პატსი-ბრეი | 4:2 |
| უოტერფორდი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| შემროკი-გალვეი | 4:0 |

| უკრაინა | |
|---|---|
| ხარკოვი-ნაფტოვიკი | 1:0 |

| პოლონეთი | |
|---|---|
| გურნიკი-პოლონია | 4:0 |
| ლეგია-ვიძევი | 3:1 |

| ხორვატია | |
|---|---|
| ინტერი-მედიმურიე | 3:0 |

| უნგრეთი | |
|---|---|
| დებრეცენი-პაკში | 2:0 |

### კალათბურთი

| ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ლიტვა-ხორვატია | 74:72 |
| საბერძნეთი-სლოვენია | 63:62 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-სპარტაკი | 1:2 |
| სიბირი-ავანგარდი | 2:0 |
| ტორპედო-ცსკა | 1:2 |
| ცსკა-ხიმიკი | 3:3 პენ. 3:4 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰამბურგი-მანჰაიმი | 8:3 |
| დუისბურგი-ჰანოვერი | 5:7 |
| კიოლნი-აისბარენი | 2:4 |
| კრეფელდი-იზერლონი | 2:2 ო.ტ 2:3 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 4:1 |
| შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 3:4 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-კეჟმაროკი | 3:6 |
| მიკულაში-მარტინი | 1:3 |
| ნიტრა-ტრენჩინი | 1:4 |
| პოპრადი-ზვოლენი | 4:0 |
| სკალიცა-სლოვაკეთი (ახ) | 6:0 |
| სლოვანი-კოშიცე | 3:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ესეგი-ლუკო | 3:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ქლინი-სპარტა | 2:1 |
| ტრშინეცი-კლადნო | 3:3 პენ. 3:4 |
| ლიტვინოვი-ზნოიმო | 4:2 |
| პლზენი-ვიტკოვიცე | 4:4 პენ. 5:4 |
| კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 7:2 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ამბრი-ფრიბურგი | 5:0 |
| ბაზელი-რაპერსვილი | 3:3 |
| ბერნი-ციურიხი | 1:3 |
| სერვეტი-დავოსი | 1:2 |
| ლანგნაუ-კლოტენი | 4:1 |
| ცუგი-ლუგანო | 2:0 |

### ჩოგბურთი

| ATP. ჩინეთის ღია | |
|---|---|
| გონსალესი-ლი | 7:5, 7:6, 7:4 |
| ბაღდატისი-ლუბიჩიჩი | 4:6, 6:4, 6:7 |
| რობრედო-კუნიცინი | 6:3, 6:1 |
| კიფერი-ჩილიჩი | 6:3, 7:5 |

| ATP. ბუქარესტი | |
|---|---|
| მონფილსი-ჟიკელი | 6:4, 6:2 |
| სტარაჩე-ჰანესკუ | 6:7, 5:7 |
| სიმონი-არმანდო | 6:4, 6:2 |
| ბერლოკი-შჩუკინი | 7:5, 6:3 |

| WTA. ბალი | |
|---|---|
| კრანი-ნაკამურა | 6:1, 6:2 |
| ჰანტუხოვა-მორიტა | 6:2, 6:1 |
| დავენპორტი-იანკოვიჩი | 6:4, 2:6, 6:2 |
| კრისტეა-გალოვიტცი | 3:6, 6:4, 7:6 |

## სხვადასხვა

ჩოგბურთი

### ჩაკვეტაძე და სკიავონე გახსნიან

ამ უიქენდზე, მოსკოვში ქალთა შორის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც მოქმედი ჩემპიონი რუსეთი იტალიას შეხვდება.

გუშინ, გაიმართა ფინალური მატჩის წილისყრა და გაირკვა, თუ რა თანმიმდევრობით ითამაშებენ ჩოგბურთელები. პირველ დღეს, ერთეულთა თანრიგის ორი მატჩი ჩატარდება. თავდაპირველად, კორტზე **ანა ჩაკვეტაძე** და **ფრანჩესკა სკიავონე** გავლენ, შემდეგ კი, **სვეტლანა კუზნეცოვასა** და **მარა სანტანჯელოს** მატჩი გაიმართება.

კვირა კუზნეცოვასა და სკიავონეს შეხვედრით გაიხსნება, შემდეგ ჩაკვეტაძისა და სანტანჯელოს ჯერი დადგება, ხოლო ფინალი წყვილთა თამაშით დასრულდება. რუსების დუეტს **ნადია პეტროვა** და **ელენა ვესნინა** დააკომპლექტებენ, იტალიელთა წყვილში კი, **რობერტა ვინჩი** და სანტანჯელო იქნებიან.

■ ■ ■

გუშინვე, მოსკოვში კიდევ ერთი წილისყრა გაიმართა, რომელშიც 2008 წლის ფედერაციის თასის პირველ ეტაპზე მონაწილე გუნდები დაწყვილდნენ.

მეოთხედფინალური წყვილები ასე გამოიყურება: აშშ-გერმანია, ჩინეთი-საფრანგეთი, იტალია-ესპანეთი და ისრაელი-რუსეთი.

### ფედერერი და სამპრასი ღამით ითამაშებენ

საქველმოქმედო მატჩს გეგმავენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ლეგენდარული ამერიკელი **პიტ სამპრასი**. შეხვედრა 22 ნოემბერს, კუალა ლუმპურში გაიმართება.

ამ საინტერესო შეხვედრას 12 ათასი მაყურებელი დაესწრება და ის ღამით ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ ეს ჩოგბურთელები აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს - 2001 წლის უიმბლდონზე, ფედერერმა ხუთ სეტში მოუგო სამპრასს, რომელმაც ოთხი წელია, რაც კარიერა დაასრულა.

ჭადრაკი

### მშვიდობიანი პირველი ტური

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში FIDE-ს მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო, რომელშიც ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვის** გარდა, პლანეტის ყველა წამყვანი დიდოსტატი იღებს მონაწილეობას.

პირველი ტურის ოთხივე შეხვედრა ყაიმით დასრულდა: **კრამნიკი** (რუსეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **მოროზევიჩი** (რუსეთი)-**არონიანი** (სომხეთი) - 0.5:0.5; **ანანდი** (ინდოეთი)-**გელფანდი** (ისრაელი) - 0.5:0.5; **გრიშჩუკი** (რუსეთი)-**ლეკო** (უნგრეთი) - 0.5:0.5.

კალათბურთი

### ოდენს მთელი სეზონი გაუცდება

უსიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ბანაკიდან. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ამ გუნდის ახალწვეულმა, 2007 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა **გრეგ ოდენმა** მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ექიმების წინასწარი ვარაუდით, ოდენი დაახლოებით სამი კვირა ვერ შეძლებდა მოედანზე გასვლას, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ NBA-ის მომავალ ვარსკვლავად შერაცხულმა კალათბურთელმა, შესაძლოა, მთელი სეზონი გამოტოვოს.

### ჰიუსტონს ნეტსი ეპატიჟება

ცნობილია, რომ დიდ კალათბურთში დაბრუნება გადაწყვიტა "ნიუ იორკ ნიქსის" ყოფილმა მცველმა **ალან ჰიუსტონმა**. უკანასკნელად, 36 წლის კალათბურთელმა NBA-ში 2004-05 წლების სეზონში ითამაშა.

გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ჰიუსტონთან კონტრაქტი "ნიუ ჯერსი ნეტსმა"გააფორმოს.

### ოლიმპიაკოსმა სერბი გამთამაშებელი დაიმატა

ახალი სეზონისთვის შემადგენლობას აძლიერებს საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი". ამ მიზნით, გუნდმა სერბეთის ნაკრების გამთამაშებელი **მილოშ ტეოდოსიჩი** (195 სმ) შეიძინა, რომელიც გასულ სეზონში ბელგრადის "პარტიზანში" თამაშობდა. ტეოდოსიჩმა ბერძნულ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

სერბი კალათბურთელი შარშან ULEB-ის თასზე თამაშობდა და საშუალოდ 7.8 ქულას, 2.9 შედეგიან გადაცემასა და 1.2 ჩაჭრას აგროვებდა. ტეოდოსიჩს სერბეთის ნაკრებში ამჟამად მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ჰქონდა დებიუტი. ევრობასკეტზე მისმა მონაგარმა საშუალოდ 9.0 ქულა შეადგინა.

ჰოკეი

### ჰოკეი ქუჩაში

მომავალ კვირას, ჰოკეის ეროვნული ლიგა ერთ საინტერესო ინფორმაციას გაავრცელებს. მოახლოებული რეგულარული ჩემპიონატის ერთი შეხვედრა ღია ცის ქვეშ უნდა გაიმართოს. მატჩი 1 იანვარს ჩატარდება და ერთმანეთს "ბაფალო" და "პიტსბურგი" შეხვდებიან.

გუნდები ერთმანეთს ბაფალოს სტადიონზე დაუპირისპირდებიან, რომელიც 73 ათას მაყურებელს იტევს.

პირველად, NHL-ის მატჩის "ქუჩაში" გამართვა 2003 წლის 22 ნოემბრით თარიღდება. მაშინ 57 ათასი მაყურებელი გახდა იმის მომსწრე, თუ როგორ დაამარცხა "მონრეალმა" 4:3 "ედმონტონი".

კრივი

### ალი ნობელის პრემიას უმიზნებს

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **მუჰამედ ალი** ნობელის პრემიაზე წარადგინეს. ალისთან ერთად, ნომინანტი გახლავთ საქველმოქმედო საქმიანობაში მოკრივის ექსმრჩეველი, **პიტერ გეორგი**.

ალი და გეორგი დიდი ხანი იბრძოდნენ გაერთიანებული ერების ეგიდით ბავშვთა გენერალური ასამბლეის შექმნისთვის. ახლა ეს ორგანიზაცია კალიფორნიაშია დარეგისტრირებული და მას დაახლოებით 100-მდე უფლებამოსილი წარმომადგენელი ჰყავს მთელ მსოფლიოში, რომლებიც ბავშვების სიცოცხლისთვისა და კეთილდღეობისთვის იბრძვიან.

მოკრივის გარდა, ამ ასამბლეასთან ბევრი ცნობილი ადამიანი თანამშრომლობს - **ელიზაბეტ ტეილორი, ვუპი გოლდბერგი, დრიუ ბერიმორი, როდ სტიურტი, ბრუკ შილდსი** და სხვები.

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. სკაიგეიტი

# მაკლარენს ბედთან შეგუება მოუწევს

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) მსოფლიო მოტორ სპორტის საბჭომ ფორმულა ერთის მიმდინარე ჩემპიონატის კონსტრუქტორთა პირველობიდან მოხსნა ინგლისური გუნდი "მაკლარენი", ამ უკანასკნელის შეფმა **რონ დენისმა** მყის ჩაატარა პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ აუცილებლად გააპროტესტებს ფია-ს გადაწყვეტილებას.

*"საქმის მოსმენის დროს მოყვანილმა მტკიცებულებებმა, რომლებიც ფია-ს ჩვენი გუნდის წევრებმა მიაწოდეს, ცხადყო, რომ უპირატესობის მოსაპოვებლად, ჩვენ "ფერარიდან" გაჟონილი ინფორმაცია საერთოდ არ გამოგვიყენებია. ამ ეტაპზე, ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ჩვენი გუნდის ორივე პილოტი ჩემპიონატში გამოსვლას უდანაკარგოდ გააგრძელებს. იმავდროულად, შემიძლია განვაცხადო, რომ ასეთ მკაცრ სასჯელს იმის გამო, რომ ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი მეტოქე გუნდის ტექნიკურ ინფორმაციას არალეგალურად ფლობდა, არ ვიმსახურებდით",* - განაცხადა რონ დენისმა.

"მაკლარენის" შეფი ირწმუნება, რომ მისი გუნდის მთავარმა კონსტრუქტორმა **მაიკ კოფლენმა** და მისმა ფერარელმა კოლეგა **ნაიჯელ სტეპნიმ** იტალიური გუნდის ტექნიკური ინფორმაცია საკუთარი საჭიროებისთვის მოიპოვეს. ცნობისათვის, ეს ორივე ინჟინერი მოლაპარაკებას აწარმოებდა იაპონურ გუნდ "ჰონდასთან", რომელსაც კადრების გადახალისება აქვს დაწყებული.

დენისის თქმით, საქმის განხილვის დროს მოყვანილი არცერთი მტკიცებულება არ ადასტურებდა, რომ "მაკლარენი" კოფლენის ხელთ არსებულ ინფორმაციას იყენებდა. სხვათა შორის, მანვე განაცხადა, რომ შესაძლოა, მის გუნდს მის მიერვე უნგრეთის დიდი პრიზის წინ ფია-სთვის მიწოდებული ინფორმაცია დაუჯდა ყველაზე ძვირად.

გუშინ ფია-მ "მაკლარენის" პილოტ **ფერნანდო ალონსოსა** და ტესტპილოტ **პედრო დე ლა როსას** სატელეფონო საუბრებისა და ელექტრონული ფოსტის ჩანაწერები გამოაქვეყნა. ფედერაციისვე ცნობით, ინგლისური გუნდის ბრიტანელმა პილოტმა, ჩემპიონატის ლიდერმა **ლუის ჰემილტონმა** განაცხადა, რომ არ ფლობს მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას.

*"ყველა ინფორმაცია, რომლებიც "ფერარისგან" გვაქვს, სანდოა. ისინი ნაიჯელ სტეპნიმ მოგვაწოდა, ვინც მათი ყოფილი მთავარი მექანიკოსია. არ ვიცი, მას ახლა რა პოსტი უკავია, მაგრამ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ის კაცია, ვინც ავსტრალიის რბოლის დროს გაგვაგებინა, რომ კიმი რაიკონენი ჩერდებოდა. ის ჩვენს მთავარ კონსტრუქტორთან მეგობრობს და სწორედ მას მიაწოდა ეს ინფორმაცია",* - ნათქვამია დე ლა როსას მიერ ალონსოსთვის 25 მარტს მიწერილ წერილში. იმავე წერილში ლაპარაკია იტალიური გუნდის სარბოლი ბოლიდის წონის ბალანსზე.

ალონსოსთვის ამ წერილის მიწერამდე, დე ლა როსას კაფლენისთვის უკითხავს, ხომ არ იცის მან "წითელი მანქანის" წონის ბალანსის შესახებ რაიმე. ესპანელმა იქვე დასძინა, რომ მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს ინფორმაცია, რომელსაც პირველ რიგში, სიმულატორზე გასინჯავდა. მოგვიანებით, დე ლა როსამ კოფლენს წერილობით მიმართა და "ფერარის" სამუხრუჭე სისტემის შესახებ ინფორმაცია სთხოვა.

სხვათა შორის, საქმის პირველი მოსმენის დროს, ფია-ს არ გააჩნდა "მაკლარენის" პილოტებს შორის მიმოწერის მონაცემები. მაშინ ვერ დამტკიცდა, რომ ინგლისური გუნდი კაფლენის მიერ სტეპნისგან მიღებულ ინფორმაციას იყენებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ "მაკლარენი" მაშინ სანქციას გადაურჩა.

იტალიური პოლიციის მონაცემებით, ჩემპიონატის დაწყებიდან, ოთხი თვის განმავლობაში სანამ კოფლენი და სტეპნი ჯერ კიდევ მუშაობდნენ თავიანთ პოსტებზე, მათ შორის 35 სატელეფონო საუბარი შედგა. გარდა ამისა, ამ ორმა პირმა ერთმანეთს საჭირო ინფორმაცია 288 SMS-შეტყობინებითაც მიაწოდა. 3 ივლისს კი "მაკლარენმა" კოფლენი დაითხოვა.

პოლიციას ასევე დაფიქსირებული აქვს ის ფაქტი, რომ სტეპნისა და კოფლენს შორის კონტაქტები რბოლების წინ და "ფერარის" მალაიზიური ტესტპროგრამის დროს ხშირდებოდა. პილოტების ჩვენებათა საფუძველზე, გამოძიებამ დაამტკიცა, რომ კოფლენისგან მოპოვებულ ინფორმაციას დე ლა როსა ალონსოს უზიარებდა.

დაბოლოს, იმ 100-მილიონდოლარიანი ჯარიმის შესახებ, რომლის გადახდაც ფია-მ "მაკლარენს" დააკისრა. აუდიტორულ ჯგუფ "ფორმულა მანის" შეფასებით (ეს ჯგუფი მეთვალყურეობს ფორმულა ერთის ფინანსურ მდგომარეობას), რეალურად "მაკლარენს" ას მილიონზე ნაკლების გადახდა მოუწევს. ამ თანხიდან გუნდს დაახლოებით 68.9 მილიონი დოლარის გადახდა არ მოუწევს. ეს ის თანხაა, რომელიც დენისის საჯინიბოს, მიმდინარე ჩემპიონატის კონსტრუქტორთა პირველობაზე გამარჯვების შემთხვევაში უნდა მიეღო. რეალურად კი გადასახდელი 31 მილიონი რჩება. დენისი ამბობს, რომ მისი გუნდის სეზონური ბიუჯეტი თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარია და რომ ამ ჯარიმის გადახდა არ გაუჭირდება.

შეგახსენებთ, რომ "მაკლარენის" აქციათა 15-15 პროცენტს დენისი და მისი ძველი პარტნიორი, საუდელი მილიარდერი, **შეიხ მანსურ ოიეხი** აკონტროლებენ, 40 პროცენტი "მერსედეს-ბენცს" ეკუთვნის, დანარჩენ 30 პროცენტს კი ცოტა ხნის წინ ბაჰრეინული ჰოლდინგი "მუმთალაქათი" დაეუფლა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ველოსპორტი

ვუელტა

XII ეტაპი

ელინიდან ტორე-პაჩეკომდე (176.4 კმ)

1. ანდრეას კლიერი (გერმანია, ტე-მობილი) 4:01.52 (43.8 კმ/სთ); 2. ტომ სტამსნიიდერი (ჰოლანდია, გეროლშტაინერი) 0.01; 3. ჯერემი რუა (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 0.24; 4. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 4.03; 5. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) 4.03; 6. ანჯელო ფურლანი (იტალია, კრედიტ აგრიკოლი) 4.03; 7. როი სენტიენსი (ჰოლანდია, პრედიქტორ-ლოტო) 4.03; 8. მაგნუს ბაქსტედტი (შვედეთიტ, ლიკიგაზი) 4.03; 9. ალექსანდრ უსოვი (რუსეთი, AG2r პრევოიანსი) 4.03; 10. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) 4.03...

კლასიფიკაცია 13 ეტაპის შემდეგ

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 52:14.21; 2. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.01; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.27; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.02; 5. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 4.35; 6. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4.42; 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.49; 8. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 5.56; 9. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 6.28; 10. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 6.39...

## კალათბურთი

ევრობასკეტი 2007

1/4 ფინალი

**რუსეთი–საფრანგეთი 75:71**

21:23, 18:19, 14:14, 22:15

**რუსეთი:** ხრიაპა (16 ქ. 7 მ. 6 პ. 2 ჩ), ჰოლდენი (15 ქ), მორგუნოვი (14 ქ), პაშუტინი (11 ქ), კირილენკო (6 ქ. 6 მ. 7 ჩ. 4 დ).

**საფრანგეთი:** დიაო (17 ქ. 6 მ. 2 ჩ), პარკერი (15 ქ), ტურიაფი (8 ქ. 7 მ. 3 დ).

**ესპანეთი–გერმანია 83:55**

18:14, 22:13, 26:16, 17:12

**ესპანეთი:** კალდერონი (17 ქ), ნავარო (12 ქ), ფერნანდესი (12 ქ), მ. გასოლი (10 ქ. 5 მ. 2 დ), პ. გასოლი (7 ქ. 5 მ. 2 ჩ. 3 დ).

**გერმანია:** ნოვიცკი (11 ქ. 6 მ), იაგლა (10 ქ. 7 მ), ჰამანი (2 ქ. 6 პ).


სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა